კანონმდებლები

## შემოდგომაზე დათვლილი წიწილები

**გუშინ საქართველოს პარლამენტის ბიუროს დახურულ სხდომაზე საპარლამენტო კომიტეტების წევრთა რაოდენობა განისაზღვრა.**

21 წევრისაგან დაკომპლექტდება იურიდიულ საკითხთა, კანონიერებისა და ადმინისტრაციული რეფორმების, აგრეთვე, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის და დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტები.

17 წევრი შევა აგრარულ საკითხთა, ეკონომიკური პოლიტიკის, საფინანსო-საბიუჯეტო, საგარეო ურთიერთობათა, თავდაცვისა და უშიშროების, ჯანდაცვისა და სოციუზრუნველყოფის, თვითმმართველობისა და რეგიონული პოლიტიკის, გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტებში.

ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო საკითხთა და წესების, ეროვნულ ურთიერთობათა და სამოქალაქო ინტეგრაციის, მთიანი რეგიონებისა და განსახლების, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების საპარლამენტო კომიტეტები 15-15 დეპუტატით დაკომპლექტდება.

## ლიდერები და წევრები

**გუშინ პარლამენტის ბიუროს სხდომაზე საბოლოოდ დაზუსტდა საპარლამენტო ფრაქციათა შემადგენლობა.**

საპარლამენტო კოალიცია უმრავლესობა – 144 წევრი, ლიდერი ნიკო ლეკიშვილი; კოალიციაში შემავალი ფრაქციები: – ფრაქცია მოქალაქეთა კავშირი – 115 წევრი, თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი; ფრაქცია „საქართველოს რეგიონები – მაჟორიტარები“ – 15 წევრი, თავმჯდომარე ვლადიმერ ქარსელაძე; ფრაქცია „აფხაზეთის გათავისუფლება“ – 14 წევრი, თავმჯდომარე გივი ლომინაძე;

ფრაქციათა კოალიცია „საქართველოს აღორძინება“ – 60 წევრი, ლიდერი ჯუმბერ პატიაშვილი; კოალიციაში შემავალი ფრაქციები: ფრაქცია „აღორძინების კავშირი“ – 13 წევრი, თავმჯდომარე ჯემალ გოგიტიძე; ფრაქცია „ტრადიციონალისტი“ – 14 წევრი, თავმჯდომარე აკაკი ასათიანი; ფრაქცია „21-ე საუკუნე“ – 10 წევრი, თავმჯდომარე ვახტანგ ბოჭორიშვილი; ფრაქცია „სოციალისტი“ – 13 წევრი, თავმჯდომარე ვახტანგ რჩეულიშვილი; ფრაქცია „ერთიანი საქართველო“ – 10 წევრი, თავმჯდომარე ჯუმბერ პატიაშვილი.

ამ ორი კოალიციისაგან დამოუკიდებლად შეიქმნა ფრაქცია „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ – 16 წევრი, თავმჯდომარე გოგი თოფაძე.

**პრაიმ-ნიუსი.**

**ნარკომანია – კორუფციის მიზეზთაგანი, ნარკომანი – კორუფციის მსხვერპლი** *გვ. 4.*

**საიდუმლოებანი – ბეჭდის დიდი ენციკლოპედია** *გვ. 5.*

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №321 (3362) შაბათი, 27 ნოემბერი, 1999 წელი. ფასი შეთანხმებით.

კონტაქტები

## ინვესტიციები წყალგაყვანილობის აღსადგენად

მსოფლიო ბანკი თბილისის წყალგაყვანილობის რეაბილიტაციის პროექტისათვის 25 მილიონი აშშ დოლარის დაბანდებას აპირებს.

ამის შესახებ უთხრა ჟურნალისტებს მსოფლიო ბანკის მუდმივი წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა საქართველოში ჯოზეფ ოუენმა, რომელიც გუშინ სახელმწიფო მინისტრს ვაჟა ლორთქიფანიძეს შეხვდა.

მისი თქმით, ინვესტიციები, ძირითადად, ქალაქის წყალგაყვანილობის ქსელის აღდგენას მოხმარდება.

ამ საკითხების განსახილველად მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობა საქართველოს 10 დღეში ეწვევა.

იხ. მე-2 გვ.

კონფერენცია

## ახალი რეგიონული კავშირი

26 ნოემბერს თბილისში მთავრობის კრწანისის რეზიდენციაში შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის წევრი რვა სახელმწიფოს, ასევე სერბიისა და თურქმენეთის ეროვნული კოოპერაციული კავშირების ხელმძღვანელები და წარმომადგენლები შეიკრიბნენ, რათა მონაწილეობა მიიღონ საქართველოს „ცეკავშირის“ მიერ ორგანიზებულ ორდღიან საერთაშორისო კონფერენციაში – „ინტეგრაციული პროცესები კოოპერაციაში“.

იხ. მე-2 გვ.

ტარიბანის ნავთობსარეწზე

## საკუთარი ეზოს ხილი სხვისაზე გემრიელია

„საქნავთობის“ გენერალური დირექტორი გია მახარაძე (მარცხნივ) და „ფრონტერას“ გენერალური დირექტორი ზაზა მამულაიშვილი (მარჯვნივ) უცხოელ სპეციალისტებთან ერთად.

ჯერ საქართველოზე გამავალი კასპიის დიდი ნავთობისა და ტრანსკასპიური გაზის პერსპექტივამ, ხოლო შემდეგ მისმა სტამბოლის სამიტზე წარმატებულმა დაგვირგვინებამ იმდენი ენებათაღელვა გადაგვატანინა, რომ სანავთობო სიურპრიზებით ვეღარავის გააკვირვებ. და მაინც განმაცვიფრა კახეთში, ტარიბანის ველზე ნავთობსარეწი ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აგებულმა ჭაბურღილმა, ხოლო აქ მომუშავე

იხ. მე-3 გვ.

დაჯილდოება

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1999 წლის 24 ნოემბერი ქ. თბილისი

### ნ. დროზდოვის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული დოკუმენტური კინოხელოვნების განვითარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა, ნაყოფიერი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის კინოსტუდია „მემატიანეს“ რეჟისორი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, კინოდრამატურგი **ნიკოლოზ დროზდოვი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

მისალმება

## კარლო მორეტის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით

მოგესალმებით საქართველოს დამსახურებული ინჟინრის კარლო მორეტის საიუბილეო საღამოს მონაწილეებს. არ შემეძლო ამ თარიღს არ გამოვხმაურებოდი, რადგან დღეს თქვენ აღნიშნავთ იმ კაცის იუბილეს, რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული არა მარტო საქართველოს საუკეთესო მშენებლობათა ორგანიზაცია და განხორციელება, არამედ საუკეთესო ქართველ მშენებელთა აღზრდაც.

ორივე საქმე ეროვნული და არდასავიწყარი გახლავთ.

პატივისცემით,
ედუარდ შევარდნაძე.

საზოგადოება

## კორუფციამ შეიძლება კულტურაც დაღუპოს

დღეს მთელი მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ვალია – მთელი ძალით შეუტიოს ჩვენს ქვეყანაში გაბატონებულ უმძიმეს მანკს – კორუფციას. ამ საერთო-სახალხო ბრძოლაში უნდა ჩაებას უკლებლივ ყველა, ვისაც სურს, რომ რაც შეიძლება სწრაფად იქნეს დაძლეული ეს დამღუპველი სენი.

კორუფციის წინააღმდეგ დაუნდობელ და შეურიგებელ ბრძოლას გამოეხმაურა საქართველოს პრეზიდენტისადმი მიწერილ წერილში ჩვენი დროის დიდი მუსიკოსი, გამოჩენილი ქართველი დირიჟორი ჯანსუღ კახიძე. წერილში გამოთქმულია გულწრფელი შეშფოთება იმის გამო, რომ კორუფციამ ღრმად გაიდგა ფესვები ცხოვრების ყველა სფეროში, თუმცაღა, კულტურა ამ თვალსაზრისით ყველაზე ნაკლებად კორუმპირებულია. მაგრამ, სამწუხაროდ,

იხ. მე-2 გვ.

სახელმწიფო მინისტრი

## გაერო აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში პოზიციას აქტიურებს

ეუთოს სტამბოლის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებების ფონზე, რომლებშიც ერთხელ კიდევ მკაფიოდ დადასტურდა ევროპაში სტაბილურობასა და მშვიდობაზე საერთაშორისო გაერთიანების საერთო პასუხისმგებლობა, გაერო საქართველოში, აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში, თავის პოზიციას აქტიურებს. საქართველოში გაეროს სამხედრო მეთვალყურეთა მისიის ახალი ხელმძღვანელი დიტერ ბოდენი ხაზგასმით აცხადებს, რომ განწყობილია ქმედითი და ნაყოფიერი მუშაობისათვის. „მზად ვიყავი აქ ჩამოსასვლელად, რადგან მიმაჩნია, რომ სასარგებლო საქმის გაკეთება შეიძლება“, განუცხადა მან 26 ნოემბერს გამართულ შეხვედრაზე საქართველოს სახელმწიფო მინისტრს ვაჟა ლორთქიფანიძეს და აღნიშნა, რომ ამ შეხვედრას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან

იხ. მე-2 გვ.

რუბრიკის პრემიერა

## გიხაროდენ!

წუხელ, ორთაჭალაში მდებარე №4 სამშობიარო სახლში გოგონების „რთველი“ იყო. მარინე ძამუკაშვილს ორი გოგონა შეეძინა, აინერ მურთაზოვასაც – ორი. გოგონები შეეძინათ დალი ბედოშვილს, ოლია ჩიბურდანიძეს, მანანა ხვედელიძეს, ხოლო ცირა დიდიძესა და შორენა ცომაიას – ვაჟები.

პატარებს ერთ კვირაში სახელებს დაარქმევენ და საქართველოს მოქალაქეობის რწმუნებასაც მისცემენ.

ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და ბევრ ღიმილს უსურვებენ მათ ახლობლები.

* * *

მე-2 სამშობიაროში 9 ბავშვი – 6 ბიჭი და 3 გოგონა დაიბადა. სიკეთე და ბედნიერება დაბედებოდეთ XXI საუკუნის პატარებს, – ასეთია მათი მშობლების სურვილი.

* * *

ეკა და დათო შაიშმელაშვილებს უკვე ნინიკო ჰყავთ. მას 3 თვე შეუსრულდა. გოგონა შაიშმელაშვილების ოჯახის პირველი შვილი და შვილიშვილია. ორივე მხარის პაპები და ბებიები პირველ სიხარულს, ჯანმრთელობას, სილამაზეს, მშობლებისა და ქვეყნის სასახელოდ გაზრდას და კარგ ქართველ ქალობას უსურვებენ.

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ თქვენი და თქვენი ახლობლების პატარების ამქვეყნად მოვლინების შესახებ და თქვენთან ერთად ჩვენც გულწრფელად მივულოცავთ.**

ჩვენი ტელეფონებია: 99-34-04, 99-73-24.

ინფორმაცია

### ძველი მოტივი

საპარლამენტო ფრაქციათა კოალიცია „საქართველოს აღორძინების“ ლიდერმა, აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ასლან აბაშიძემ, შესაძლოა, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატის მანდატზე უარი თქვას.

როგორც პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში აჭარის უზენაესი საბჭოს პრესსამსახურის ხელმძღვანელმა თამაზ ბაკურიძემ განაცხადა, ასლან აბაშიძემ, შესაძლოა, ეს გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით მიიღოს, რომ იგი არ აპირებს თბილისში ჩასვლას დედაქალაქში მასზე მოსალოდნელი ტერაქტის განხორციელების მიზეზით.

ასლან აბაშიძე მასზე მოსალოდნელი ტერაქტის განხორციელების შიშით 8 წელიწადია არ ჩამოსულა თბილისში.

### არმია ჩეჩნეთში რჩება

რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობას დაგეგმილი აქვს ჩეჩნეთში თავისი შეიარაღებული ძალების საერთო საჯარისო შენაერთის მუდმივ საფუძველზე დისლოცირება, – იტყობინება პრაიმ-ნიუსის საკუთარი კორესპონდენტი მოსკოვიდან.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე რუსეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსის პირველმა მოადგილემ ვალერი მანილოვმა განაცხადა, ამ საკითხზე მზადდება პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისი პროექტი, რომელიც მთავრობამ წინასწარ მოიწონა.

მანილოვის ინფორმაციით, ჩეჩნეთში მსგავსი შენაერთის დისლოცირება თავსდება ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ადაპტირებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფლანგო შეზღუდვების ჩარჩოებში.

მანილოვის თქმით, ჩეჩნეთში ფედერალური ძალების გაერთიანებული დაჯგუფების ჯარებმა, ძირითადად, დაასრულეს კონტრტერორისტული ოპერაციის მეორე ეტაპი და მესამე ეტაპის ამოცანების შესრულებას იწყებენ.

### დღეს ისევ არჩევნებია

დღეს მაჟორიტარული სისტემით არჩევნების მეორე ტური გაიმართება ახალციხის №37 და ჩხოროწყუს №69 საარჩევნო ოლქებში.

ჩხოროწყუში ერთმანეთს „შეერკინებიან“ მოქალაქეთა კავშირის კანდიდატი არნოლდ ქვანია და საარჩევნო ბლოკის „საქართველოს აღორძინების“ წარმომადგენელი ვალერიან იზორია. ახალციხის საარჩევნო ოლქში გოჩა გვარამაძეს (სმკ) დაუპირისპირდება ნუგზარ პარუნაშვილი – ბლოკი „ეროვნულ-დემოკრატიული ალიანსი – მესამე გზა“.

### „აბსოლუტური სისულელე“

„აბსოლუტური სისულელე“ უწოდა საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ამირან გამყრელიძემ რუსეთის გენერალური შტაბის წარმომადგენლების მიერ გუშინ მოსკოვში გაკეთებულ განცხადებას იმის შესახებ, რომ დაჭრილი ჩეჩენი ბოევიკები საქართველოს ტერიტორიაზე მკურნალობენ.

### „ბოინგი“ – საქართველოს ცაში

გერმანულ კონცერნ „ხაპაგ ლოიდთან“ მიმდინარე მოლაპარაკება საქართველოსათვის ლიზინგის წესით ორი „ბოინგ-737-500“ ტიპის თვითმფრინავის გადმოცემის შესახებ უახლოეს დღეებში დასრულდება.

ამ საკითხთან დაკავშირებით წინასწარი შეთანხმება უკვე მიღწეულია.

პირველ „ბოინგს“ საქართველო 15 დეკემბრისათვის მიიღებს, მეორეს სავარაუდოდ – მაისის დასაწყისში.

### ნავთობსადენის დასაცავად

ნატოს პროგრამით „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ 2000-2001 წლებში დაგეგმილი სწავლების სცენარი ნავთობსადენის დაცვის უზრუნველყოფას ითვალისწინებს.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სათანადო გადაწყვეტილების შემდეგ, ქართული მხარე სცენარს ნატოს შესთავაზებს დასაფინანსებლად.

### მარხვა

წლევანდელი შობის მარხვა ამ ათასწლეულის ბოლო მარხვაა, რომელიც განსაკუთრებული გულმოდგინებით უნდა დავიცვათ.

ამასთან დაკავშირებით სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II მრევლს აძლევს ლოცვა-კურთხევას შობის მარხვაში თავი შეიკავონ თევზის მიღებისაგან.

მარხვა იწყება 28 ნოემბერს და გახსნილდება შობას – ახალი სტილით 7 იანვარს.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრაიმ-ნიუსმა, საქინფორმმა.**

სასამართლო

## აღარც იური ტყემელაშვილი მოსწონთ

### ყოფილი ვიცეპრემიერი საქმის ხელახალ გამოძიებას და „უკანონო“ პატიმრობიდან გათავისუფლებას ითხოვს

საერთოდ, ყველაფრის დაწყება ძნელია, მით უმეტეს, სასამართლო პროცესისა. მაგრამ ის, რაც გურამ აბსანძისა და სხვათა პროცესზე ხდება, შეიძლება საოცრებადაც კი ჩაითვალოს.

ჯერ იყო და ყოფილი ვიცეპრემიერისა და ფინანსთა მინისტრის ინტერესების დამცველებმა სოსო ბარათაშვილმა და მალხაზ ჯანგირაშვილმა თავიანთი შუამდგომლობებით ლენგერ ბოჭორიშვილი აიცილეს, ახლა კი იური ტყემელაშვილიც აითვალისწუნეს.

იხ. მე-4 გვ.

გვირეკავენ, გვეკითხებიან

**თელასის მთაწმინდის რაიონის განყოფილებაში გადამახდევინეს ელექტროენერგიის დავალიანება 100 ლარი, იქამდე კი გადამიჭრეს ხაზი, ახლა ამბობენ, რომ თელასმა გამოაცხადა: ახალი მრიცხველების დაყენებამდე მოსახლეობას მთელი ვალები ჩამოეწერაო.**

**ძალიან გთხოვთ, გაგვარკვიოთ, თუ ეს მართალია, დაგვიბრუნებენ თუ არა ამ განცხადების გამოკვრის შემდეგ გადახდილ თანხებს?**

**ზურაბ ცინცაძე, პედაგოგი.**

როგორც გვაცნობეს, ეს ხმები არ შეეფერება სინამდვილეს, ვალები არ ჩამოუწერიათ, მოხდა მხოლოდ მათი გადავადება, რათა მოსახლეობამ ნაწილ-ნაწილ დაფაროს ძველი დავალიანება, ამასთან სისტემატურად იხადოს სინათლის ქირა ყოველ თვეში. რაც შეეხება შუქის გადაჭრას, რამდენიმე თვის დავალიანების და გაფრთხილების მიღების შემთხვევაში – მართლზომიერია.

თელასის იურიდიული
სამსახურის იურისტი
მაია ჩიკვილაძე.

**დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90, 93-28-54.**

უკანასკნელ საათს

ხორვატიის პრეზიდენტის ტუჯმას ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულია. მას რამდენიმე ოპერაცია გაუკეთეს. გუშინ პარლამენტის გადაწყვეტილებით სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობას 50 დღით პარლამენტის სპიკერი შეასრულებს.

გუშინ იუგოსლავიაში დააკავეს ბოსნიისა და ჰერცეგოვინას 5 მოქალაქე, რომელთა მიერ შექმნილი ჯგუფი სახელწოდებით „სპაიდერი“ (ობობა) მიზნად ისახავდა პრეზიდენტ მილოშევიჩის ლიკვიდაციას.

ბელგრადმა საფრანგეთის სპეცსამსახურებს ამ ჯგუფთან კავშირი დააბრალა, საფრანგეთმა ყველაფერი უარყო.

ფინანსები

## ლარის კურსი

*საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 27 ნოემბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:*

| | | |
|---|---|---|
| გერმანული მარკა | 1 | 1.0400 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.0000 ლარი |
| ევრო | 1 | 2.0340 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0755 ლარი. |

დღეს

ამინდი



დასავლეთ საქართველოში
ცვალებადი მოღრუბლულობა, თოვლი.
ბარში: ღამით 0-5;
დღისით +1-6.
მთაში: ღამით -3+2;
დღისით -2-3.
მაღალ მთაში: ღამით -1-6;
დღისით -0-5.

აღმოსავლეთ საქართველოში
ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგან თოვლი. დასავლეთის ქარი 10-15 მ/წამში.
ბარში: ღამით 0-5;
დღისით +2-7.
მთაში: ღამით +1-6;
დღისით -4+1.
მაღალ მთაში: ღამით +5-10;
დღისით -1-6.

თბილისში
ცვალებადი მოღრუბლულობა, მცირე თოვლი.
ღამით 0-2; დღისით +4+6.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

კანონმდებლები

# პლენარული სხდომა — დღე მესამე

26 ნოემბერს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ცვლილებები შეიტანეს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში.

ცვლილებები, რომლებიც ფრაქცია „ტრადიციონალისტთა“ წინადადებით მომზადდა, პარლამენტის პლენარული სხდომების დაწყების დროს შეეხო. ამიერიდან პარლამენტის დილის პლენარული სხდომები 11 საათზე დაიწყება და ნახევარსაათიანი შესვენების გარეშე 14 საათამდე გაგრძელდება. რაც შეეხება საღამოს სხდომას, იგი, ჩვეულებრივ, 16 საათიდან 18 საათამდე იმუშავებს.

* * *

საქართველოს პარლამენტის მიერ 26 ნოემბერს მიღებული დადგენილებით პარლამენტის სასახლეში დაუშვებელია, მათ შორის საქართველოს პარლამენტის წევრისათვის, ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის ტარება.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ ამის თაობაზე განაცხადა, დადგენილების მიღება განპირობებულია პარლამენტის სასახლეში მართლწესრიგის უზრუნველყოფის მიზნით.

ამ წინადადების ავტორია პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი, რომელსაც მიზანშეწონილად მიაჩნია იმპერატიულად დააფიქსიროს პარლამენტის რეგლამენტში პარლამენტის წევრის მიერ პარლამენტის სასახლეში ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის ტარების დაუშვებლობა. გამონაკლისი ამ წესიდან განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით და საქართველოს პარლამენტის შენობანაგებობებისა და მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვის რეჟიმით.

კულუარები

## „განიარაღებიდან“ შტატების შემცირებამდე

„სომხეთის პარლამენტში განვითარებული მოვლენები ყველას კარგად ახსოვს. უნდა არსებობდეს ისეთი რეჟიმი, რომელიც სხდომათა დარბაზში და საერთოდ, პარლამენტის შენობაში ნებისმიერ ადამიანს აუკრძალავს იარაღის ტარებას. ეს, რა თქმა უნდა, არ შეეხებათ დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებს, – განაცხადა პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ რევაზ ადამიამ. მისი თქმით, წინა მოწვევის პარლამენტში სამიოთხი დეპუტატი მუდმივად ცეცხლსასროლი იარაღით დადიოდა. როგორც რევაზ ადამიამ აღნიშნა, პარლამენტის შენობის შემოსასვლელში იარსებებს სპეციალური სეიფი, სადაც დეპუტატებს შეეძლებათ დატოვონ იარაღი. „მე კარგად მახსოვს 1992 წლის პარლამენტი, სადაც შეხლაშემოხლა იარაღის ამოღებამდეც კი მისულა. სიტუაცია მაშინ ბოლომდე არ დაძაბულა“, განაცხადა პარლამენტარმა, რომლის კომიტეტიც პარლამენტის რეგლამენტში აღნიშნული დამატებების შეტანის ინიციატორად გამოვიდა.

* * *

პარლამენტის ბიუროს პირველ სხდომაზე პარლამენტის აპარატის და აპარატის შემცირების თაობაზეც გამოითქვა მოსაზრებები.

„პარლამენტის აპარატის რაოდენობა სულ ცოტა 30 პროცენტით შემცირდება. შემცირება პარლამენტის ყველა სამსახურს შეეხება. ჩვენ მოვუწოდებთ აღმასრულებელ ხელისუფლებას თავიანთი მანქანების რაოდენობაც შეამცირონ“, – განაცხადა საპარლამენტო ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა. როგორც მან თქვა, საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება იმ კომისიის შექმნის თაობაზე, რომელიც ამ საკითხებზე იმუშავებს.

როგორც მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, ქვეყნის ბიუჯეტს ბიუროკრატიული ხარჯები უზარმაზარ ტვირთად აწევს. აღსანიშნავია, რომ ამ კატეგორიის მომსახურების ხარჯების შემცირების საკითხი ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ თავმჯდომარემ საკმაოდ დიდი ხნის წინათ წამოჭრა.

* * *

საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეების მოადგილეების თანამდებობებს არც ბლოკის „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ წევრები მიიღებენ. ეს განაცხადა ამ ბლოკის მიერ ჩამოყალიბებულ საპარლამენტო ფრაქციის „მრეწველების“ თავმჯდომარის მოადგილემ ზურაბ ტყემალაძემ.

„ჩვენი დეპუტატები მზად არიან იმუშაონ როგორც კომიტეტების რიგითმა წევრებმა. არ გვინდა კომიტეტის თავმჯდომარის არც პირველი და არც რიგითი მოადგილის თანამდებობები“, – აღნიშნა მან.

რაც შეეხება საკითხს, გაერთიანდებიან თუ არა „მრეწველები“ პარლამენტში წარმოდგენილ რომელიმე პოლიტიკურ სუბიექტთან, როგორც ზურაბ ტყემალაძემ აღნიშნა, ბლოკის წევრებს ამის სურვილი რომ ჰქონოდათ, გადაწყვეტილებას აქამდე მიიღებდნენ.

**საქინფორმი.**

---

სახელმწიფო მინისტრი

# გაერო აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში პოზიციას აქტიურებს

**(პირველი გვერდიდან)**

სწორედ სახელმწიფო მინისტრი უძღვება წლების განმავლობაში აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგებისათვის მოლაპარაკების პროცესს.

ამ ხნის მანძილზე სამშვიდობო პროცესში ბევრი რამ შეიცვალა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება ის არის, რომ შუამავლის როლი გაერომ იკისრა. ამას საქართველოს ხელისუფლება განსაკუთრებით მიესალმება, რადგან პროცესის გაჭიანურების მიზეზი უმრავლეს შემთხვევაში ადრინდელი შუამავლის, რუსეთის პოზიცია იყო. უდავოდ პროგრესულ მოვლენად აფასებს სახელმწიფო მინისტრი მხარეთა შორის ორმხრივი კონტაქტების დამყარებას, რაც უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ურთიერთნდობის აღდგენის თვალსაზრისით, მით უმეტეს, რომ ამ კონტაქტების დროს განიხილება არა მარტო პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური საკითხებიც. ცენტრალური ხელისუფლება მზად არის, მჭიდროდ ითანამშრომლოს სოხუმის ხელისუფლებასთან უშიშროების საკითხებშიც.

და მაინც, ამ გარკვეული დადებითი მოვლენების ფონზე, სახელმწიფო მინისტრი აცხადებს, რომ კონფლიქტის მოწესრიგების პროცესი რეგრესის გზით მიმდინარეობს. „ვერავითარ პროგრესს ვერ მივაღწიეთ ლტოლვილთა დაბრუნებისა და პოლიტიკური სტატუსის გარკვევის თვალსაზრისით. დღეს უკვე აღარ არის საკმარისი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარება. ეს მნიშვნელოვანი იყო 3-5 წლის წინათ. ახლა საჭიროა, რომ ეს პრინციპი რეალურად ამოქმედდეს“, ასეთია მისი პოზიცია, რომელსაც ამყარებს წლების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება. ამის ერთ-ერთი მაგალითია 1995 წელს ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავდა ლტოლვილთა დაბრუნებას აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე. გარდა ამისა, ლაპარაკი იყო ერთიან სახელმწიფო ატრიბუტიკაზე, საქართველოზე როგორც საერთაშორისო სამართლის ერთიან სუბიექტზე (და არა „საერთო სახელმწიფოზე“, რომლის იდეაც რუსეთის მხარეს დაებადა). ახლა აფხაზებმა პოზიცია შეიცვალეს და უარს ამბობენ სტატუსის შესახებ მოლაპარაკებაზე იმ მოტივით, რომ მათ აფხაზეთის სტატუსი განსაზღვრული აქვთ...

ასე რომ, საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას მკაფიოდ აქვს ჩამოყალიბებული მოლაპარაკების პრიორიტეტები. ეს არის აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი და ლტოლვილთა დაბრუნება. თუმცა სახელმწიფო მინისტრი მიუთითებს, რომ „ლტოლვილთა დაბრუნების პრობლემა არ უნდა დაჩრდილოს პოლიტიკურმა საკითხებმა“. დაბრუნება უმთავრესი პრობლემაა. ოღონდ უზრუნველყოფილი უნდა იყოს უშიშროების შესაბამისი გარანტიები „ჩვენ ისევაც გაურკვეველი სტატუსის პირობებში ვაბრუნებთ ხალხს. მათ აინტერესებთ, სად ბრუნდებიან – საქართველოში თუ უკვე სხვა ქვეყანაში“.

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა განახლდეს საკოორდინაციო საბჭოს მუშაობა. დიტერ ბოდენი, რომელსაც ზურგს უმაგრებს გაეროს გენერალური მდივნისა და მეგობარი ქვეყნების უმრავლესობის მკაფიო მხარდაჭერა, სწორედ საბჭოს მუშაობაზე ამყარებს განსაკუთრებულ იმედს. მისი აზრით, ასევე სასარგებლო იქნება საქართველოს ხელისუფლებასთან სპეციალური ჯგუფის შექმნა, რომელიც მხოლოდ აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების პრობლემაზე იმუშავებს.

## რუსეთ-საქართველოს შორის კოსმოსურ პროექტებში პარტნიორობა გრძელდება

რუსეთის კოროლიოვის სახელობის სარაკეტო-კოსმოსური კორპორაციის „ენერგიის“ ხელმძღვანელთა ოფიციალური დელეგაციის ვიზიტი თბილისში გრძელდება. 26 ნოემბერს დელეგაციის წევრები საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ვაჟა ლორთქიფანიძემ მიიღო. მან განაცხადა, რომ საქართველო ყოველთვის ხელს უწყობდა და კვლავაც დაუჭერს მხარს რუსეთის სარაკეტო-კოსმოსურ კორპორაციასთან კოსმოსური ტექნიკის დარგში კოლეგიურ და მეგობრულ თანამშრომლობას, რასაც ორივე მხარისათვის სასარგებლო მნიშვნელობა და შედეგები აქვს.

როგორც საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის დირექტორმა ელგუჯა მეძმარიაშვილმა აღნიშნა, რუსეთის სარაკეტო-კოსმოსური კორპორაციის წარმომადგენლების ვიზიტი ერთი მხრივ, სიმბოლური ხასიათისაა – მოხდა ექსპერიმენტის შეჯამება, საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი პირებისათვის ანგარიშის ჩაბარება, მეორე მხრივ, ეს სამუშაო ვიზიტიც გახლდათ – გაიმართა პარტნიორთა საქმიანი შეხვედრები, შედგა ტექნიკური საბჭოს სხდომა, სადაც ახალი ერთობლივი პროექტების განხორციელება დაიგეგმა.

**საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური – საქინფორმი.**

---

სამძიმარი

## დიდი ქალბატონის ბაბო დადიანი-მასხარაშვილის გარდაცვალების გამო

გულისტკივილით შევიტყვე, რომ გარდაიცვალა ბაბო დადიანი-მასხარაშვილისა, დიდი ქალბატონი, ქართველ და აფხაზ დიდგვაროვანთა, დადიანთა და შარვაშიძეთა ღირსეული შთამომავალი, მრავალ ჭირთა და განსაცდელთა გამოვლილი, ქალი, რომელმაც გადასახლებისა და პოლიტიკური დევნის მიუხედავად, შთამომავლობას შემოუნახა ჩვენი წინაპრების საოცარი და ნათელი სახეები და სულ ახლახან ლიტერატურის მუზეუმში შესანიშნავ ფოტოგამოფენად წარმოგვიდგინა.

მან გადაგვირჩინა ჩვენი ისტორიის ერთი მშვენიერი ფურცელი.

ქალბატონმა ბაბომ გვიჩვენა, როგორ ამაყად უნდა შეხვდე ბედის განაჩენს, როგორ უნდა გაძლო და გააძლებინო სხვასაც. როგორ უნდა შეინახო ღირსება და როგორ უნდა იყო თავისუფალი საპყრობილეშიც კი.

იგი ქართველი ქალის სამაგალითო განსახიერება გახლდათ თავისი გარეგნობით, დიდი სიყვარულის უნარით, ჭირთათმენით, არისტოკრატიზმით.

ბაბო დადიანი ოთხმოცდათექვსმეტი წლისა გარდაიცვალა და მან დაგვიმტკიცა, რომ ეს ასაკი ქმედითი ასაკია და ამ ასაკშიც შეიძლება საქვეყნო საქმის კეთება. ასეთი ადამიანები დიდი მაგალითია ჩვენთვის.

მე სამძიმარს ვუცხადებ არა მარტო მის ოჯახს, არამედ ყველას, ვინც კი აღტაცებული იყო ამ საოცარი ქალბატონით.

**ედუარდ შევარდნაძე.**

---

კონტაქტები

## ინვესტიციები წყალგაუვანილობის აღსადგენად

**(პირველი გვერდიდან)**

ოუენმა აღნიშნა, რომ სახელმწიფო მინისტრთან გამართული შეხვედრისას საუბარი შეეხო საქართველოში ამჟამად შექმნილ ეკონომიკურ ვითარებას.

კერძოდ, ყურადღება გამახვილდა როგორც ფისკალური პოლიტიკისა და საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებაზე, ასევე ტელეკომუნიკაციების პრივატიზაციის პრობლემებზე.

ოუენი მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავრობაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებები ხელს შეუწყობს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. საქართველომ მსოფლიო ბანკისაგან დღეისათვის სულ დაახლოებით 400 მილიონი აშშ დოლარი მიიღო.

---

საზოგადოება

## კორუფციამ შეიძლება კულტურაც დაღუპოს

**(პირველი გვერდიდან)**

ამ სენის შედეგად ყველაზე მეტად განათლებასთან ერთად ზიანდება კულტურა და ხშირად აუნაზღაურებლადაც კი.

ქართველი მუსიკოსი სინანულით აღნიშნავს, რომ თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის ასობით ხელოვანი დღეს – თეატრის უმოქმედობის გამო განიცდის პროფესიულ დეგრადაციას და ამის მიზეზად ქართველი საზოგადოებრიობა მიიჩნევს კორუფციას, რომელიც მოიცავს ხელისუფლების მთელი რიგი სტრუქტურები.

ჯანსულ კახიძე ყველა თავის თანამოაზრესთან ერთად მიესალმება ქვეყნის უზენაესი ჭირისუფლის ბატონ ედუარდ შევარდნაძის მიერ კორუფციის წინააღმდეგ დაწყებულ დაუნდობელ ბრძოლას და არწმუნებს სახელმწიფოს მეთაურს, რომ ამ ბრძოლაში მზად არიან ერთგულად დაუდგნენ გვერდით და ერთობლივი ძალისხმევით გააგრძელონ ბრძოლა მმართველობის მთელ ვერტიკალზე, ვიდრე კორუფცია საბოლოოდ არ აღმოიფხვრება და დამარცხდება.

**საქინფორმი.**

---

დოკუმენტი

საქართველოს პრეზიდენტის

### ბრძანებულება

1999 წლის 6 ნოემბერი ქ. თბილისი

**თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ცენტრის შექმნის შესახებ**

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული თანამედროვე ტექნოლოგიების საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭოს მიმდინარე საქმიანობის ორგანიზების მიზნით:

1. შეიქმნას თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ცენტრი, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი.
2. დამტკიცდეს თანდართული დებულება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ცენტრის შესახებ.
3. ბრძანებულების შესრულების კონტროლი უზრუნველყოს საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველმა მოადგილემ – საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის უფროსმა პ. მამრაძემ.

**ე. შევარდნაძე.**

## თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ცენტრის დებულება

**I. ზოგადი დებულებანი**

1. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ცენტრი (შემდგომში – ცენტრი) შექმნილია საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს.

2. ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიზანია საქართველოს პრეზიდენტთან არსებული თანამედროვე ტექნოლოგიების საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭოს (შემდგომში – საბჭო) დებულებით განსაზღვრული ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელების უზრუნველყოფა.

3. ცენტრს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ანგარიში (მათ შორის – სავალუტო), ლოგოტიპი, ბეჭედი საქართველოს გერბის გამოსახულებითა და საკუთარი სახელწოდების აღნიშვნით ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე, აგრეთვე, იურიდიული პირისათვის დამახასიათებელი სხვა რეკვიზიტები.

4. ცენტრი თავისი საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, საბჭოს დებულებით და ამ დებულებით.

5. ცენტრის საქმიანობის კოორდინაციას ახორციელებს საბჭო.

6. ამ დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი აქტის საფუძველზე.

**II. ცენტრის მიზნები და ამოცანები**

7. ცენტრის ძირითადი მიზნები და ამოცანებია:

ა) საბჭოს მიმდინარე საქმიანობის ორგანიზება;

ბ) უახლესი თანამედროვე ტექნოლოგიების, სატელეკომუნიკაციო და საინფორმაციო სისტემების დანერგვა საქართველოში.

გ) საერთაშორისო პროექტის **„Silkasai-Georgia“** სამეცნიერო-ტექნიკური კონცეფციის რეალიზაცია;

დ) **„Silkasai-Georgia“**-ს მიწისზედა მომსახურების ინფრასტრუქტურის ორგანიზება;

ე) ინვესტიციებისა და ახალი ტექნოლოგიების მოზიდვა და გამოყენება თანამედროვე, სატელეკომუნიკაციო და საინფორმაციო სისტემებისათვის.

ვ) მონაწილეობა საერთაშორისო ტელეკომუნიკაციურ-საინფორმაციო ტექნოლოგიების პროგრამებში, პროექტებში, კონსორციუმებსა და სხვა ორგანიზაციებში.

ზ) დისტანციური სწავლების ორგანიზება;

თ) ტელემედიცინის და სხვა თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებისათვის ხელშეწყობა.

**III. ცენტრის მართვა**

8. ცენტრს ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტთან არსებული თანამედროვე ტექნოლოგიების საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი, ცენტრის მთავარი კოორდინატორი.

9. ცენტრის მთავარი კოორდინატორი:

ა) ხელმძღვანელობს ცენტრს და პერსონალურად პასუხისმგებელია მისი საქმიანობისათვის:

ბ) წარმოადგენს ცენტრს და მოქმედებს მისი სახელით:

გ) ამზადებს წინადადებებს ცენტრის სამუშაოთა ფინანსირების მოცულობისა და თანამიმდევრობის შესახებ; განსაზღვრავს ცენტრის სტრუქტურას, საშტატო განრიგს, ცენტრში მომუშავეთა შრომის ანაზღაურების რაოდენობას;

დ) ხსნის ანგარიშს ბანკში;

ე) სარგებლობს ცენტრის საქმიანობისათვის საჭირო სხვა უფლებებით.

**IV. ცენტრის ქონება და სახსრები**

10. ცენტრის ქონებას შეადგენს სახელმწიფოს მიერ გადაცემული ქონება, აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული შემოსავლები და შემოწირულობანი.

11. ცენტრს შეიძლება ჰქონდეს საკუთარი შენობა-ნაგებობები, კავშირგაბმულობის საშუალებები, ინვენტარი, ფულადი სახსრები და სხვა ქონება, რომელიც აუცილებელია მისი საქმიანობისათვის.

**V. ცენტრის საქმიანობის კონტროლი**

12. ცენტრის საქმიანობის კონტროლი ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**VI. ცენტრის უფლებები**

13. ცენტრის უფლებებია:

ა) შექმნას დროებითი სამუშაო ჯგუფები კოსმოსურ ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ ცალკეულ პრობლემებსა და პროექტებზე წინადადებების მომზადებისა და რეალიზაციისათვის; მიიზიდოს ამ საქმიანობისათვის სპეციალისტები, მათ შორის ხელშეკრულების საფუძველზე:

ბ) შექმნას სტრუქტურები საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო მომსახურების განვითარებისათვის;

გ) დაამყაროს ურთიერთობა თანამედროვე და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და მომსახურების სფეროში დასაქმებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;

დ) თავისი რესურსების ფარგლებში დააფინანსოს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, პროექტები და სხვა ღონისძიებანი, რომლებიც დაკავშირებულია თანამედროვე, სატელეკომუნიკაციო და ინფორმაციულ სისტემებში ახალი ტექნოლოგიების დანერგვასთან.

**VII. ცენტრის ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია**

14. ცენტრის ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

---

კონფერენცია

## ახალი რეგიონული კავშირი

**(პირველი გვერდიდან)**

ფორუმის მიზანია რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავება, მშვიდობიანი თანაარსებობისა და სტაბილურობის შენარჩუნება, შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებში ვაჭრობისა და ეროვნული მრეწველობის განვითარების ხელშეწყობა. ჩვენი ქვეყნის მთავრობის სახელით კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ივანე ჩხარტიშვილი.

კონფერენციის მონაწილეებმა განიხილეს ეკონომიკური თანამშრომლობის პერსპექტივა და შეიმუშავეს შემდგომი ერთობლივი საქმიანობის მექანიზმები.

თბილისის შეხვედრის პირველი დღე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ საქართველოს მხარის ინიციატივით შეიქმნება ახალი საერთაშორისო ორგანიზაცია – შავი ზღვის რეგიონის სახელმწიფოთა ეროვნულ-კოოპერაციულ ორგანიზაციათა კავშირი. იგი ამ რეგიონის ქვეყნებში კოოპერაციული ორგანიზაციების საქმიანობას უფრო ეფექტიანს გახდის, ეს ფაქტი კი შესაბამისად შავი ზღვის აუზის სახელმწიფოთა ეკონომიკური აღმავლობის კიდევ ერთ მყარ გარანტად გვევლინება. სავარაუდოდ, ახლადშექმნილი ორგანიზაციის შტაბ-ბინა თბილისში განთავსდება.

როგორც თავის გამოსვლაში საქართველოს ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ გიორგი ქათამაძემ განაცხადა, საბაზრო ეკონომიკის ახალმა პირობებმა შავი ზღვის რეგიონის სახელმწიფოების, განსაკუთრებით კი პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნების კოოპერაციული ორგანიზაციები ახალ მოთხოვნათა წინაშე დააყენა. ამ პრობლემების დაძლევის ერთ-ერთი საუკეთესო შესაძლებლობა კი რეგიონის სახელმწიფოთა ეროვნულ კოოპერაციულ კავშირთა გაერთიანებაა, რაც, თავის მხრივ, დღეს მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციისა და ინტეგრაციის ნაწილი გახდება.

რეგიონის ქვეყნების უფრო აქტიური და წარმატებული ურთიერთთანამშრომლობის მიზნით საქართველოს მხარემ კიდევ ერთი ინიციატივა წამოაყენა: ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში შეიქმნას ინფორმაციულ-ანალიტიკური მარკეტინგის რეგიონული სამსახური. იგი შესაძლებლობას მისცემს ამ ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს მიიღონ სწორი სტრატეგიული გადაწყვეტილებები. კერძოდ, ცენტრის საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებულია ეკონომიკურ ბაზარზე დისბალანსის დარეგულირება, საქონელბრუნვისა და მომსახურების, ასევე საინვესტიციო კლიმატის სწორი წარმართვა, ერთობლივი საწარმოების შექმნა. მარკეტინგის საერთაშორისო ცენტრის შექმნა, ასევე, ხელს შეუწყობს რეგიონში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღმოფხვრასაც.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ დღევანდელი რეალიებიდან გამომდინარე, რომელსაც დღეს უკვე ფაქტად იქცა „დიდი აბრეშუმის გზის“ აღდგენის პროექტი და მასში მონაწილეობს ბისეკის წევრი თითქმის ყველა სახელმწიფო, ეროვნულ კოოპერაციულ ორგანიზაციათა კავშირის შექმნას განსაკუთრებული პოლიტიკური და ეკონომიკური დატვირთვა აქვს, რომლის კარი ღიაა არა მარტო ბისეკის წევრი, არამედ ევრაზიული სატრანსპორტო დერეფნის მიმდებარე ყველა ქვეყნისათვის.

ფორუმი შუმაობას 27 ნოემბერს დაასრულებს, რის შემდეგაც შავი ზღვის რეგიონის ეროვნული კოოპერაციული კავშირების ხელმძღვანელები ხელს მოაწერენ შეხვედრის საბოლოო ოქმსა და დოკუმენტს ახალი ორგანიზაციის შექმნის თაობაზე.

**საქინფორმი.**

---

### შპიგუნსაც ჩვენ გვაბრალებენ

რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს არ მოუმართავს თავისი ქართველი კოლეგებისათვის, გადაემოწმებინათ ინფორმაცია ჩეჩნეთში მარტში გატაცებული რუსეთის გენერლის, ჩეჩნეთში ფედერაციის შსს წარმომადგენლის, გენადი შპიგუნის საქართველოს ტერიტორიაზე შესაძლო ყოფნის შესახებ, – განუცხადა პრაიმ-ნიუსს საქართველოს შსს შტაბის უფროსმა ედუარდ გენძეხაძემ.

მისი თქმით, საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები აკონტროლებენ ოპერატიულ ვითარებას ჩეჩნეთთან მოსაზღვრე საქართველოს რეგიონებში და არ გააჩნიათ რუსეთის გენერლის იქ ყოფნის დამადასტურებელი ინფორმაცია.

როგორც გენძეხაძემ აღნიშნა, მოსკოვში ამასწინანდელი ვიზიტისას, საქართველოს შსს მინისტრმა კახა თარგამაძემ მოუწოდა რუსეთის მხარეს, შესამოწმებლად წარუდგინონ ჩეჩენი ბოევიკების მიერ საქართველოს ტერიტორიის გამოყენებასთან დაკავშირებული კონკრეტული ფაქტები, მაგრამ მოწოდება მოწოდებად დარჩა.

პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ვალერი ჩხეიძემ განაცხადა, რომ რუსეთის მხარის მიერ ცნობების გავრცელება, თითქოს გენადი შპიგუნი საქართველოს ტერიტორიაზე ჰყავთ ტყვეობაში, „პროვოკაციულ ხასიათს ატარებს“.

### პუტინის აზრით

რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი დარწმუნებულია, რომ ჩეჩნეთში პოლიტიკურ მოწესრიგებაზე საუბარი მხოლოდ ამ რესპუბლიკაში კონტრტერორისტული ოპერაციის დასრულების შემდეგაა შესაძლებელი, – იტყობინება პრაიმ-ნიუსის საკუთარი კორესპონდენტი მოსკოვიდან.

უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნია პუტინს „იმ პირობების ლიკვიდაცია, რომლებმაც ჩეჩნეთის რესპუბლიკა საერთაშორისო ტერორიზმის ბუდედ აქცია“. „აუცილებელია რესპუბლიკის ტერიტორიაზე კანონიერებისა და მართლწესრიგის აღდგენა, ხალხისათვის ცხოვრებისა და შრომის არა შუა საუკუნეების, არამედ ნორმალური პირობების აღდგენა“, – განაცხადა პრემიერმა გუშინ გაზეთ „ვეკისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

მისი თქმით, მომავალში ტერორისტები რუსეთის მუსულმანურ რესპუბლიკებში შეეცდებოდნენ ვითარების აფეთქებას. „სწორედ ამ გარემოებამ განსაზღვრა, დასავლეთის გაგებით, ეუთოს სტამბოლის სამიტზე რუსეთის პრეზიდენტის უპრეცედენტოდ მკაცრი პოზიცია“, – აღნიშნა პუტინმა.

### რუსთავის მერიამ, შესაძლოა, პარტიებს სასამართლოშიც უჩივლოს

რუსთავის მერია ადგილობრივი პოლიტიკური ორგანიზაციების წინააღმდეგ საჯარიმო სანქციების შემოღებას აპირებს იმის გამო, რომ პარტიებმა და პოლიტიკურმა ბლოკებმა წინასაარჩევნო პერიოდში ქალაქში გაკრული საარჩევნო პლაკატები მერიის მიერ დადგენილ დრომდე, 20 ნოემბრამდე არ ჩამოხსნეს.

როგორც პრაიმ-ნიუსს უთხრა რუსთავის ვიცე-მერმა ლევან დუგლაძემ, ქალაქის მერიის ხელმძღვანელობა ამ დღეებში განსაზღვრავს პარტიების წინააღმდეგ შემოსაღები საჯარიმო სანქციების ხასიათს.

მისი თქმით, პარტიები ამის თაობაზე წინასწარ იყვნენ გაფრთხილებული და მათგან შესაბამისი პირობაც იყო მიღებული, მაგრამ ამ მიმართულებით მათ არაფერი მოუმოქმედიათ.

დუგლაძემ არ გამორიცხა, მერიის მიერ პარტიების წინააღმდეგ, ამ საკითხთან დაკავშირებით, სასამართლოში სარჩელის შეტანა.

**ინფორმაციები მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.**

## ტარიბანის ნავთობსარეწზე

# საკუთარი ეზოს ხილი სხვისაზე გემრიელია

(პირველი გვერდიდან)

უცხოელები – მშიური ტარიბანისა და კავკასიონზე ახლადჩამოყრილი თოვლის განუმეორებელმა სილამაზემ. პირველის შემოქმედნი მსოფლიოში სახელგანთქმული „ფრონტერა რისორსიზ კოსპირეიშნის“ მენავთობეები არიან, ხოლო მეორისა – ქართული მიწის მადლიანი ბუნება.

აქაური მენავთობეები, უცხოელებიც და ქართველებიც, დიდი მოვლენისთვის ემზადებიან – ჭაბურღილი, რომელიც „საომრად“ შემართულა, 30 ნოემბერს ტარიბანაზე „პირველ ხნულს“ გააელებს. ამიტომაც აქ სადღეღამისო განრიგით მუშაობენ, ყოველი ღონით იღვწიან იმისთვის, რომ დათქმულ დროს მიწის ქვეშ დაბუდებული მადანი ბურღის ხმამ გამოაღვიძოს.

— ჩვენ ენაზე ამას ჭაბურღილის გაწყობა-გამართვა ჰქვია, – მეუბნება ეროვნული კომპანია „საქნავთობის“ გენერალური დირექტორი გია მახარაძე, – რომლის წარმატებულად წარმართვა, უდიდეს პასუხისმგებლობასთან ერთად, უმაღლეს პროფესიონალიზმთანაც არის დაკავშირებული. ჩვენს უცხოელ პარტნიორებს არც ერთი აკლიათ და არც მეორე, მაგრამ მაინც ვღელავთ, მით უფრო, რომ ბურღვის დაწყების დღესასწაულზე ქვეყნის პრეზიდენტის მობრძანებას ველოდებით.

სწორედ ამს თაობაზე მსჯელობენ, კამათობენ ჩვენი და უცხოელი სპეციალისტები, ყოველ შესაძლო მომენტს ითვალისწინებენ, ანგარიშობენ, წონიან, რათა მცირედი უზუსტობაც კი არ დაუშვან. აქვეა „ფრონტერას“ გენერალური დირექტორი ზაზა მამულაიშვილი, რომელიც ბურღვის კონტრაქტორს, ტემპერამენტიან ალბერტო გალეჯონს (წარმოშობით იტალიელია) რაღაცაზე გაცხარებით ეკამათება. შემდეგ მშვიდდება და იტალიელ სპეციალისტს ეკითხება:

**— ხომ შეიძლება ბურღის გამშვები პულტი პირველმა პრეზიდენტმა ჩართოს?**

— რა თქმა უნდა, შეიძლება, – ღიმილით ამბობს ბატონი ალბერტო, – და არა მარტო შეიძლება, ჩვენთვის ეს დიდი პატივიც იქნება.

**— ეს ყველაფერი კარგია, – ვეუბნები პროექტის მენეჯერს რობერტ პოლაკს, – მაგრამ დარწმუნებული ხართ, რომ ნავთობი ნამდვილად ამოვა?**

— დარწმუნებული ვართ და თანაც როგორ. აქ რომ ნავთობია, ისიც მეტყველებს, რომ თავის დროზე 41 ჭაბურღილი მუშაობდა. მართალია მცირედს იღებდნენ, მაგრამ... ჩვენ შევეცდებით დიდი რაოდენობის კომერციული ნავთობი მოვიპოვოთ. ამის გარანტია გვაქვს და ბურღვის დაწყებიდან 3-4 თვეში ყველანი, ოპტიმისტებიც და სკეპტიკოსებიც, ყოველივეს საკუთარი თვალით ნახავენ.

მაშინვე ვინანე, ასეთი შეკითხვა არც უნდა დამესვა. უცხოელი ინვესტორი იმის ჩიტი არ არის, უპერსპექტივო საქმეში მილიონები გადაყაროს. „ფრონტერას“ კი, რაც აქ გაკეთებული და აშენებულია, უკვე მილიონობით დოლარი დაუჯდა.

— ჰაერზე არაფერი გაკეთებულა, – საუბარში ერთვება ბატონი გია მახარაძე, – „ფრონტერამ“ წინასწარი საძიებო სამუშაოები შეასრულა, რომლის შედეგები მეცნიერულად ჰიუსტონში დამუშავდა. მათი მონაცემების მიხედვით ტარიბანაზე ნავთობის რესურსი 500 მილიონიდან 1 მილიარდამდე ბარელის ტოლია.

**— ეს რესურსი, მაგრამ ამოსაღები ნავთობის მარაგი რამდენია?**

— ეს ჯერ დასადგენია. პირველი ჭაბურღილი, რომელიც ამ დღეებში დაიწყებს მუშაობას, ფაქტობრივად, საძიებო სამუშაოების გაგრძელებაა. ეს ადგილი, რაზეც ჭაბურღილი დგას, 3300 მეტრზე გაიბურღება. მართალია ამოღებულ ნავთობს გადავამუშავებთ, მაგრამ მას კომერციული დანიშნულება არ ექნება. აი, გაზაფხულზე კი, როცა პირველი ჭაბურღილი მუშაობას დაამთავრებს და მეორე დაიწყებს ბურღვას, ის უკვე გამოავლენს კომერციული ნავთობის შესაძლებლობებს.

**— სულ კი, რამდენი ჭაბურღილის ამოქმედებაა დაგეგმილი?**

— ეს დამოკიდებულია პირველი ორი ჭაბურღილის მუშაობის შედეგზე. თუ ყველაფერი ისე წავიდა (ღმერთმა ქნას), როგორც ვვარაუდობთ, 2000 წლის ბოლომდე დაგეგმილია კიდევ 10 ახალი ჭაბურღილის გაბურღვა. აი, მაშინ კი ტარიბანის საბადოს პერსპექტივის სრული სურათი გვექნება.

**— ესე იგი, თუ უშუალოდ მიწაში არ ჩავიხედეთ, ზემოდან ნაღდ მაჩვენებელს ვერ დავადგენთ?**

— ასეა. როგორც თერაპევტი სვამს დიაგნოზს, ხოლო ქირურგი ოპერაციული ჩარევით ადგენს რამდენად სწორია ეს დიაგნოზი, ნავთობის მრეწველობაში ასევეა მიწის გაბურღვა, მხოლოდ მას შეუძლია მოგვცეს ნავთობის მარაგის რამდენადმე ზუსტი სურათი.

რამდენი მეტრია ჭაბურღილის სიმაღლე? 42 მეტრი. როგორც აღვნიშნე, ის უახლესი ტექნიკის ნიმუშია და წარმადობაც გაცილებით დიდი აქვს – 320 ტონა ტვირთამწეობისაა. როგორც მშენებლობის მთავარმა ინჟინერმა ტარიელ ცისკარიშვილმა განმარტა, რუსულ ჭაბურღილებსაც საკმაოდ დიდი ტვირთამწეობა ჰქონდათ, მაგრამ ტექნოლოგიური თვალსაზრისით ამასთან ახლოსაც ვერ მიდიოდნენ – ამერიკული დაზგა უაღრესად დახვეწილია, ბურღვა გაცილებით სწრაფია და მუშაობაში ნაკლებად გართულებადი.

დავინტერესდი, ამჟამად ტარიბანაში რამდენი ძველი ჭაბურღილი მუშაობს. როგორც მითხრეს, ასეთი ჭაბურღილი ხუთია, რომელთა საერთო ყოველდღიური დებეტი 2,5 ტონას არ აღემატება. ახალი ჭაბურღილი კი წინასწარი გაანგარიშებით დღიურად საშუალოდ 100 ტონაზე მეტს თუ არა, ნაკლებ ნავთობს არ მოგვცემს.

როგორ აპირებენ მიღებული ნავთობის გადამუშავებასა და ტრანსპორტირებას? ბატონ ზაზა მამულაიშვილის თქმით, პირველადი ნავთობი აქვე ნავთობსაცავებში გადამუშავდება, შემდეგ მანქანებით დედოფლისწყაროს რკინიგზის სადგურში გადაიზიდება, ხოლო იქიდან ვაგონებით – ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში. თუ მარაგი დიდი იქნება, რკინიგზა საამისოდაც მზადაა, ყოველ შემთხვევაში ვაგონების სასესხებლად მეზობელთან არ წავა.

მანამდე კი ორიოდე სიტყვით იმ საოცრებაზეც მინდა გითხრათ, რაც „ფრონტერას“ მიერ ტარიბანის ველზე, ამ ნახევრად უდაბურ მიწაზე მოწყობილ მენავთობეთა საცხოვრებელ ბანაკში, მე ვიტყოდი, ნამდვილ ოაზისში ვნახე. აქ მომუშავეთათვის სწორედაც რომ სასწაულებრივი კომფორტია შექმნილი. თეთრად გაქათქათებულ კემპინგში ინჟინრები ერთსაწოლიან, ხოლო მუშები ორსაწოლიან იზოლირებულ ოთახებში ცხოვრობენ, სადაც არის ტუალეტიც, საშხაპეც და სამრეცხაოც. აქვეა პირველადი დახმარების სამედიცინო პუნქტი, რომელსაც ორი ექიმი ემსახურება. მუშაობს სასწრაფო დახმარების მანქანაც. ბანაკს აქვს დამოუკიდებელი ელექტროკვება, საკუთარი წყალგაყვანილობა, სატელიტური კავშირი, რომლის მეშვეობითაც შეუძლიათ მსოფლიოს ყველა სასურველ წერტილს დაუკავშირდნენ.

ახლა სასადილო დარბაზს არ იკითხავთ? აქ უახლესი იტალიური ტექნიკით აღჭურვილ სამზარეულოში მზადდება როგორც იტალიური, ისე ქართული საჭმელები, რომელსაც უცხოელებიც და ქართველებიც თანაბარი სიამოვნებით შეექცევიან. განსაკუთრებით მოსწონთ იტალიური პიცა, ქართული მწვადი და ხინკალი, რასაც იტალიელი მზარეულები ბუფი ბარტორომეო და მარციკოლა მაურო ისეთი პროფესიონალიზმითა და გემოვნებით ამზადებენ, რომ კაცი თითებს ჩაიკვნეტს.

მენავთობეები, როგორც წესი, დღეში სამჯერ იკვებებიან. როცა ბურღვა დაიწყება, მომუშავენი კერძებს უშუალოდ სამუშაო ადგილზე მიიღებენ.

რაც მთავარია, ყველგან და ყველაფერში დაცულია უსაფრთხოება და სისუფთავე, ეკოლოგიური გარანტია. ამაში უცხოელ ინვესტორს, ისევე, როგორც ბევრ სხვა საქმეში, უბრალოდ, ნაკლს ვერ მოუძებნი. სამუშაო და საცხოვრებელ უბნებზე ისეთი სისუფთავეა, როგორც იტყვიან, მიწაზეც კი ბრინჯი აიკრიფება.

... მაშ ასე, ორიოდე დღეც და ტარიბანის ბებერ მიწაზე ამერიკული ჭაბურღილი დაიბუბუნებს. მთელი საქართველო არა მარტო დიდი კასპიური ნავთობის, არამედ საკუთარი დიდი ნავთობის მოლოდინშიცაა, რასაც ქვეყნის სტაბილურობისა და ეკონომიკის აღმავლობისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა ენიჭება.

ამბობენ, საკუთარი ეზოს ხილი სხვისაზე გემრიელიაო. დაველოდოთ, საკუთარი ნავთობი დავაჭაშნიკოთ და გემოზე მერე ვიმსჯელოთ.

**ოთარ ხუციშვილი,**
„სრ“ სპეც. კორ.

ჯავარ ლომაძის ფოტო.

გასამართი სამუშაოები მალე დამთავრდება.

ნავთობსარეწის სასადილოში.

ტარიბანის საცხოვრებელი მოდული.

მზარეული – მთავარი ფიგურა.

## გზა განვლილი და გასავლელი

რუბრიკას უძღვება
ნაპოლეონ ქარქაშაძე

# აგრარული უნივერსიტეტის დედაბოძი

საქართველოს სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტი 1934 წლიდან არსებობს. ფაკულტეტს აგრარიკოს-ეკონომისტთა კადრების მომზადების საქმეში ხანგრძლივი და მდიდარი ტრადიცია აქვს.

ეკონომიკის ფაკულტეტის ჩამოყალიბების ფუძემდებლები იყვნენ დიდი ქართველი მამულიშვილები, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწეები, პროფესორები ივანე ჯაში და ნიკოლოზ ლაჭყეპიანი.

1992 წლიდან ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანია პროფესორი რევაზ ასათიანი.

ეკონომიკის ფაკულტეტზე კადრები მზადდებოდა მხოლოდ ერთი სპეციალობით – „სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია“. სამოციანი წლებიდან ჩამოყალიბდა ახალი სპეციალობა – „ბუღალტრული აღრიცხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში“. ამჟამად კი ფაკულტეტი „აგრარული ეკონომიკის“ მიმართულებით ეკონომისტთა კადრებს შემდეგი პროფილით ამზადებს: აგრობიზნესის მენეჯმენტი; საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები (აგროსამრეწველო კომპლექსის საგარეო-ეკონომიკური კავშირები); ფინანსები და საბანკო საქმე (აგროსამრეწველო კომპლექსის), აღრიცხვა, კონტროლი და აუდიტი (აგროსამრეწველო კომპლექსში), მიწის რესურსების მართვა (ეკონომისტ-მიწათმომწყობი).

ასევე, დაიწყო სპეციალისტების მომზადება ახალი ეკონომიკური პროფილებითაც: საგადასახადო საქმე, საბაჟო საქმე, ტურიზმისა და სასტუმროების ბიზნესი.

ეკონომიკის ფაკულტეტზე, როგორც ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე, გაიხსნა ორი ახალი სპეციალობა: სამართალმცოდნეობა (იურისტის კვალიფიკაციით) და ჟურნალისტიკა (ჟურნალისტის კვალიფიკაციით).

ეკონომიკის ფაკულტეტზე, დღევანდელი მდგომარეობით ბაკალავრებისა და მაგისტრების მომზადებას ემსახურება თერთმეტი მაპროფილებელი კათედრა და ერთიც საუნივერსიტეტო – „ენების და ტერმინოლოგიის საფუძვლების“ კათედრა.

ფაკულტეტზე მოღვაწეობს 80-ზე მეტი მეცნიერ-პედაგოგი, რომელთა შორის არიან 20 მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი, 45-მდე მეცნიერებათა კანდიდატი და დოცენტი.

ფაკულტეტის ყველა მაპროფილებელ კათედრაზე მიმდინარეობს ასპირანტთა მომზადება აგრარული ეკონომიკის მიმართულებით.

აგრარიკოს-ეკონომისტთა კადრების აღზრდის საქმეს ფაკულტეტზე სხვადასხვა დროს ემსახურებოდნენ აღიარებული მეცნიერ-პედაგოგები, პროფესორები ივანე ჯაში, ნიკოლოზ ლაჭყეპიანი, პეტრე ქლენტი, ნიკო იაშვილი, ივანე ბალანჩივაძე, ვახტანგ კახეთელიძე, გაბრიელ მეგრელიშვილი, ნოე პაიჭაძე, იოსებ ორაგველიძე, გრიგოლ კუპრეიშვილი, დავით ბერუჩაშვილი, აკაკი მახარაძე, კონსტანტინე მიროტაძე, გრიგოლ ჭკუასელი, სიმონ ნიკოლაიშვილი, ნიკო გვიშიანი, ალექსანდრე ბაჯელიძე, ალექსანდრე ნარჩომაშვილი, რაფიელ კვირკველია, მიხეილ ასათიანი, გრიგოლ მეუნარგია, შალვა ქორიძე, ილია ლეჟავა, მეთოდე ჭელიძე, სუსანა აბრამიანი, სევერიან თადეიშვილი, სოსო ფანცხავა, უშანგი ხოფერია, რევაზ ძაგნიძე, მამია სვანი, იასონ კვირიკაძე, ილია ჩუბინიძე, გერონტი სალუქვაძე, ვარლამ მარკოზაშვილი, ლავროსი ენუქიძე, დემიანე ონიანი და სხვები.

**საინტერესო სტატისტიკა:**

ეკონომიკის ფაკულტეტმა არსებობის მანძილზე, (1934 წლიდან დღემდე) მოამზადა 7390 სპეციალისტი, მათ შორის ეკონომიკისა და მართვის – 4307, ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსების 2942 და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების 141 სპეციალისტი.

ჩვენი კურსდამთავრებულნი მუშაობენ ქვეყნის ეროვნული მეურნეობის თითქმის ყველა დარგში, როგორც ეკონომიკური სამსახურის სფეროში, ასევე ხელმძღვანელ თანამდებობებზე – სახელმწიფო მართვის თითქმის ყველა საფეხურზე.

ეკონომიკის ფაკულტეტის კათედრებს ჩამოყალიბებისა და განვითარების საინტერესო ისტორია და საკმაოდ დიდი სამეცნიერო პოტენციალი გააჩნიათ.

აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოთა ორგანიზაციის კათედრას 40 წლის მანძილზე განაგებდა მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი, დიდი ქართველი მამულიშვილი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ივანე ჯაში, რომელიც 1930-1945 წლებში იყო ერთდროულად ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სასწავლო და სამეცნიერო დარგში, შემდეგ 1945-1973 წლებში ინსტიტუტის პრორექტორი სამეცნიერო დარგში, პროფესორი ივანე ჯაში 1957 წლიდან გარდაცვალებამდე იყო საკავშირო უმაღლესი განათლების სამინისტროსთან არსებული უმაღლესი საატესტაციო კომისიის პლენუმის წევრი და ღირსეულად იცავდა საქართველოს ინტერესებს ამ მეტად საპასუხისმგებლო ორგანოში.

პროფესორ ივანე ჯაშის სახელის უკვდავსაყოფად უნივერსიტეტის ეზოში დაიდგა მისი ბიუსტი, კათედრას მიენიჭა მისი სახელი და დაწესდა ივანე ჯაშის სახელობის სტიპენდია.

1981 წლიდან კათედრის გამგეა ანდრო კიკნაველიძე – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

კათედრაზე მოღვაწეობენ: პროფესორი გიორგი ნიკოლეიშვილი (მეაბრეშუმეობის სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა სახელმწიფო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორები გივი ჭკადუა (საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი), სერგო თურმანიძე, ბეჟან სიმონიშვილი, დოცენტები გურამ ძაგნიძე, გივი ეშაკიძე, დოდო ტატულიშვილი, თამარ ღუდაური, ეკა გიორგაძე, კათედრაზე ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მოღვაწეობდა პროფესორი დავით ძნელაძე, ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე.

კათედრაზე იქმნებოდა სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები, მათ შორის აღსანიშნავია: პროფესორ ივანე ჯაშის „სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ორგანიზაცია“, და ავტორთა კოლექტივის – აკადემიკოს ანდრო კიკნაველიძის ხელმძღვანელობით გამოცემული სახელმძღვანელო „წარმოების ორგანიზაცია სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში“, პროფესორ პეტრე ქლენტის ხელმძღვანელობით დამუშავდა „საქართველოს სოფლის მეურნეობის გაადგილების, სპეციალიზაციის და გაძღოლის სისტემები“, რომელიც სამ ტომად გამოიცა ქართულ და რუსულ ენებზე, აკადემიკოს ანდრო კიკნაველიძის ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით დამუშავდა „მარცვლეულის წარმოების, განვითარების სახელმწიფო მიზნობრივი კომპლექსური პროგრამა“, რომელიც შეტანილია საქართველოსთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ პროგრამათა ნუსხაში.

სოფლის მეურნეობის ეკონომიკის კათედრის გამგეა პროფესორი ჰამლეტ გიორგაძე, კათედრაზე მოღვაწეობენ პროფესორი მაყვალა ოდიშელი, დოცენტები: თენგიზ ლაჭყეპიანი, ანტონ მამნიაშვილი, სოსო ყურაშვილი, ლეილა გეგუნავა, ლალი შოშიაშვილი. კათედრის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირითადი მიმართულებაა აგრარული პოლიტიკა და სასურსათო უსაფრთხოება საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის კათედრის გამგეა პროფესორი მელიტონ ბახია, აქ მოღვაწეობენ პროფესორები რევაზ ასათიანი, რობერტ ანდღულაძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი, დოცენტები ციური მჭედლიშვილი, გიგლა გაბაიძე, დალი ბაიდაური.

პროფესორების რ. ასათიანის და მ. ბახიას ავტორობით გამოცემულია სახელმძღვანელოები მენეჯმენტსა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვაში.

სტატისტიკისა და ბუღალტრული აღრიცხვის კათედრას 20 წლის მანძილზე, გარდაცვალებამდე, ხელმძღვანელობდა საქვეყნოდ აღიარებული მეცნიერ-პედაგოგი, ცნობილი აგრარიკოს-სტატისტიკოსი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ნიკოლოზ ლაჭყეპიანი, რომლის სახელსაც ატარებს კათედრა, შემდეგ პროფესორი გერონტი სალუქვაძე.

1986 წელს სტატისტიკისა და ბუღალტრული აღრიცხვის კათედრა გაიყო ორ დამოუკიდებელ კათედრად: სტატისტიკის, ფინანსებისა და ეკონომიკური ანალიზის კათედრა; ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრა, რომლებსაც ხელმძღვანელობენ პროფესორები შალერ ბენია და ლავრენტი ჩიბურდანიძე. კათედრაზე მოღვაწეობენ პროფესორები დავით ქაციბაია, ივანე გოდერძიშვილი, დოცენტები ნათელა ხარაიშვილი, ნელი ლავთაძე, მზია ჩოკოლაშვილი, ვალერიან კაკაშვილი, ნუგზარ იოსებაშვილი, მანანა მჭედლიშვილი, ლეილა ქურთიაშვილი, ბადრი ჩხაიძე, ნოდარ ბერძენაძე, რომან ჩაჩუა, რევაზ ძაძამია, თემურ ტიკარაძე, ასისტენტები ნანა შაველაშვილი, მედეა გველესიანი და ნაირა ტაბატაძე.

პროფესორ ივანე გოდერძიშვილის ავტორობით რამდენჯერმე გამოიცა საბაზო სახელმძღვანელოები „ბუღალტრული აღრიცხვის თეორია“ და „ბუღალტრული აღრიცხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში“.

ეკონომიკური კიბერნეტიკის კათედრის გამგეა ზურაბ ელიზბარაშვილი – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კათედრაზე მოღვაწეობენ დოცენტები ამირან კვანტალიანი, ნანა თელევა, ლერი ნოზაძე, ლია თეთრუაშვილი, მაია დოლიძე. კათედრაზე 1970-1992 წლებში მოღვაწეობდა პროფესორი ვარლამ მარკოზაშვილი (ალბათობის თეორიისა და მათემატიკური პროგრამირების ცნობილი სპეციალისტი).

პროფესორ ზ. ელიზბარაშვილის ავტორობით გამოიცა ორიგინალური სახელმძღვანელოები ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელირებაში. კათედრას გააჩნია თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო-სამეცნიერო კომპიუტერული ცენტრი, სადაც სტუდენტები ეუფლებიან ოპერატორისა და პროგრამისტის მეორად პროფესიას.

საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა კათედრას ხელმძღვანელობს პროფესორი ბიძინა სარჯველაძე. კათედრაზე მოღვაწეობენ აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე, დოცენტები: თენგიზ სანებლიძე, ალექსანდრე კაკაშვილი, რუსუდან სირბილაძე, ავთანდილ ოქროცვარიძე, მარინა ბოსტოღანაშვილი.

აკადემიკოს ნაპოლეონ ქარქაშაძის ავტორობით გამოიცა საბაზო სახელმძღვანელოები „მსოფლიო სოფლის მეურნეობა“ (I და II ნაწილი), ხოლო პროფესორ ბ. სარჯველაძეს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის კოლხეთის ათვისების მეცნიერული რეკომენდაციების შემუშავებასა და ლიმონარიუმების განვითარების საქმეში, ამჟამად ის არის სახელმწიფო პროგრამა „თბილის“ საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და წარმატებით ხელმძღვანელობს ამ პერსპექტიულ საქმეს.

კათედრის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირითადი მიმართულებაა საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის საგარეო-ეკონომიკური კავშირები და მათი სრულყოფა საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში.

მიწათმოწყობის კათედრა დამოუკიდებლად 1979 წლიდან არსებობს. მას ნაუმ ტურაბელიძე – სამიწათმოწყობო საქმის და მიწის კადასტრის აღიარებული სპეციალისტი, პროფესორი, აგრარული განათლების საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი ხელმძღვანელობს. კათედრაზე მოღვაწეობენ პროფესორები ნიკო ჭინჭარაული, გიორგი გობეჩია, დოცენტი ელგუჯა ლობჟანიძე, ნელი ბერიძე, თამარ ჩიკვაიძე.

კათედრის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირითადი მიმართულებაა მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების პრობლემები საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით.

ეკონომიკური თეორიის (პოლიტიკური ეკონომიის) კათედრა დამოუკიდებლად არსებობს 1938 წლიდან. კათედრის გამგეები სხვადასხვა დროს იყვნენ: პროფესორები გაბრიელ მეგრელიშვილი, ნოე პაიჭაძე, აკაკი მახარაძე, გივი გოშაძე, მამია სვანი, დემიანე ონიანი. ამჟამად კათედრას განაგებს პროფესორი მერაბ ხურცილავა. აქ მოღვაწეობენ პროფესორი ჯუდი გეწაძე, დოცენტები დარეჯან საბაშვილი, დავით ბუხრაშვილი და მაია ფეიქრიშვილი.

სამართალმცოდნეობისა და საბაჟო საქმის კათედრა, რომლის გამგეა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ზაზა ქორიძე, 1998 წლის ბოლოს ჩამოყალიბდა. მანამდე სამართალმცოდნეობის დისციპლინები შედიოდა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისა და სამართლის კათედრაზე.

კათედრის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირითადი მიმართულება – საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამართლებრივი უზრუნველყოფა და ქვეყნის სამართლებრივი სისტემის სრულყოფის პრობლემებია.

ენისა და ტერმინოლოგიის საფუძვლების კათედრას ხელმძღვანელობს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კლასიკური ფილოლოგიის დარგის აღიარებული სპეციალისტი, ღირსების მედლის კავალერი ცისანა გიგაური.

კათედრაზე წარმოდგენილია რუსული და სხვა უცხო ენების (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, ლათინური) და ტერმინოლოგიის საფუძვლების სასწავლო დისციპლინები.

კათედრას გააჩნია თანამედროვე დონეზე მოწყობილი ორი ლინგაფონის კაბინეტი (რუსული და ინგლისური ენების).

გვაქვს ასევე ჟურნალისტიკისა და ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა, რომლის ჩამოყალიბებაც განაპირობა ფაკულტეტზე ჟურნალისტიკის სპეციალობის შემოღებამ. კათედრას სათავეში უდგას ჟურნალისტიკის დარგის გამოჩენილი სპეციალისტი, დოცენტი ივანე მჭედლიშვილი.

ეკონომიკის ფაკულტეტზე სტუდენტებს ემსახურება საფაკულტეტო კომპიუტერული ცენტრი, კომპიუტერული ლაბორატორია, ასევე ყველა მაპროფილებელ კათედრასთან არსებული სასწავლო ლაბორატორიები და კაბინეტები.

ფაკულტეტზე მომუშავე აგრარიკოს-ეკონომისტები და მათ მიერ აღზრდილი სპეციალისტები ყოველთვის იდგნენ ქვეყნის სამსახურში და ახლაც, საბაზრო ეკონომიკის მშენებლობისას, კვლავაც შეიტანენ თვალსაჩინო წვლილს. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის აგრარული პოლიტიკის, და აგრარული რეფორმის ეროვნული პროგრამის შემუშავებაში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღეს ეკონომიკის ფაკულტეტის მაპროფილებელმა კათედრებმა და წამყვანმა მეცნიერ-ეკონომისტებმა.

ეკონომიკის ფაკულტეტი თავისი წარმატებებით და პრობლემებით ეგებება აგრარული უნივერსიტეტის სახელოვან სამოცდაათი წლის იუბილეს.

**რევაზ ასათიანი,**
ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი და აგრარული განათლების საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი;

**შალერ ბენია,**
სტატისტიკის, ფინანსებისა და ეკონომიკური ანალიზის კათედრის გამგე, პროფესორი, აგრარული განათლების და ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიების ნამდვილი წევრი.

### მინისტრები ერთმანეთს ბრიუსელში შეხვდებიან

16 დეკემბერს ბრიუსელში გაიმართება ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა. შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელი ირაკლი მენაღარიშვილი.

### მოხუცებს იტაცებენ

აფხაზმა „ბოევიკებმა“ გალის რაიონის სოფელ ნაბაკევში მცხოვრები მოხუცი ცოლ-ქმარი შოთა და ნანული ეხვაიები გაიტაცეს გასულ ხუთშაბათს.

ეხვაიების შვილი „ბოევიკებმა“ ერთი წლის წინათ მოკლეს.

### დეპარტამენტი არ ადასტურებს

საქართველოს ავიაციის დეპარტამენტი არ ფლობს ინფორმაციას რუსეთის ქალაქებსა და სოხუმის მახლობლად მდებარე ბაბუშერას აეროპორტს შორის ავიამიმოსვლის აღდგენის გეგმების შესახებ.

როგორც პრაიმ-ნიუსს საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროს საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა გიორგი ნიჟარაძემ განუცხადა, მოსკოვში „კატეგორიულად უარყოფენ“ მასმედიაში ამის შესახებ გავრცელებულ ცნობებს.

### ქართული ავიაკომპანია

ახალი ავიაკომპანია „აირ ზენა – საქართველოს ავიახაზების“ შექმნის შესახებ იურიდიული დოკუმენტაციის გაფორმება წლის ბოლომდე დასრულდება.

ამ კომპანიას სახელმწიფოსთან ერთად, რომელიც მის მფლობელობაში არსებულ „საქართველოს ავიახაზებს“ ჩადებს, კერძო ავიაკომპანიები – აირ ზენა“ და „ეარ ჯორჯია“ დააფუძნებენ.

### ცხინვალს თავისი აზრი აქვს

ოფიციალური ცხინვალი მოითხოვს, რომ ეუთომ არ განიხილოს სამხრეთ ოსეთის შეიარაღება როგორც საქართველოს ჯარის შემადგენელი ნაწილი.

„სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა და მის ჯარს არავითარი კავშირი არა აქვს საქართველოს არმიასთან,“ – განუცხადა პრაიმ-ნიუსს თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვის და საგანგებო მდგომარეობების სამინისტროს მაღალი თანამდებობის წარმომადგენელმა, რომელმაც უცნობად დარჩენა ისურვა.

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განლაგებული სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელები სამხრეთ ოსეთის საჯარისო ნაწილების სწავლებაზე პროტესტს არ გამოთქვამენ, განუცხადა პრაიმ-ნიუსს თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ჩინოსანმა.

### არმიისათვის

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ჩინეთიდან უსასყიდლოდ მიიღო 120 000 აშშ დოლარის ღირებულების 60 ათასი მეტრი საველე ტანსაცმლის ქსოვილი.

როგორც პრაიმ-ნიუსს თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურში აცნობეს, ქსოვილის გადმოცემის შესახებ შეთანხმებას ჩინეთში 1 სექტემბერს საქართველოს თავდაცვის მინისტრის დავით თევზაძის ვიზიტის დროს მოეწერა ხელი.

ქსოვილით დატვირთული კონტეინერის გახსნას, თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელებთან ერთად, საქართველოში აკრედიტებული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო ატაშე, უფროსი პოლკოვნიკი დუნ გოლინი დაესწრო.

ინფორმაციები მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.

## კომპეტენტური აზრი

# ნარკომანია — კორუფციის მიზეზთაგანი, ნარკომანი — კორუფციის მსხვერპლი

დამთავრდა არჩევნები. ჩვენ გავიმარჯვეთ. ჩვენ — საქართველომ, საქართველოს გონებამ და სულის სიმტკიცემ. მოქალაქეთა კავშირის გამარჯვება ქართული გენის გამარჯვებაა, იმ გენის, რომელმაც საქართველო ისტორიის ბეწვის ხიდზე გამოატარა.

სტამბოლის სამიტი კი ქართული პოლიტიკური აზროვნების და მისი ავტორის ედუარდ შევარდნაძის ტრიუმფია. იმ პოლიტიკური ჭვრეტის ტრიუმფი, რომელმაც მიკროსკოპული გეოპოლიტიკური შანსი მიუსადაგა თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკურ სიტუაციას და იმდაგვარად წარმოაჩინა საქართველო, რომ ყველასათვის ნათელი გახდა — მსოფლიო თანამეგობრობის კეთილდღეობა XXI საუკუნეში მჭიდროდ უკავშირდება საქართველოს კეთილდღეობას. ეს სამიტზე ხელმოწერილ დოკუმენტებში აისახა და ისტორიულ ფაქტად იქცა. საქართველოს საერთაშორისო სარბიელზე დამკვიდრებამ საშუალება მისცა ედუარდ შევარდნაძეს კვლავ ქვეყნის საშინაო პრობლემებზე გადაეტანა ყურადღება. ახლადარჩეული პარლამენტის წევრებთან შეხვედრისას მან განაცხადა, რომ ამიერიდან მისთვის პრიორიტეტული პრობლემაა კორუფცია.

საქართველოს კეთილდღეობა გარკვეულწილად დაკავშირებულია კორუფციასთან წარმატებულ ბრძოლაზე, თავის მხრივ, კორუფციასთან წარმატებული ბრძოლა კი მნიშვნელოვნად უკავშირდება ნარკომანიის, თანამედროვე ტერმინოლოგიით — დამოკიდებულების ან წამალთდამოკიდებულების გავრცელების შეზღუდვას. საქართველოში დღეს არაპირდაპირი გამოთვლებით 120 000-მდე ნარკომანი და ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელია. მათ შორის ზოგიერთი ყოველ დღე მოიხმარს ნარკოტიკს — „ნემსზე ზის", ზოგიც — გარკვეული პერიოდულობით. დავუშვათ, ნარკოტიკის დღიური მოხმარებისათვის ერთ ნარკომანს სჭირდება მხოლოდ 30 დოლარი, წელიწადში ეს 11 000 დოლარს შეადგენს. დავუშვათ, ასეთი პირი მხოლოდ 20 000-ია საქართველოში, გამოდის, რომ მათ წელიწადში 22 მილიონი დოლარი მაინც სჭირდებათ. ფაქტობრივად, ეს ციფრი მნიშვნელოვნად უფრო დიდია. ამ ფულს ნარკომანი ხელფასის სახით ვერ მიიღებს, ან მშობელმა უნდა უშოვნოს, ან თვითონ.

ნარკომანიის მაგიერ საერთაშორისო ლიტერატურაში იმიტომ მკვიდრდება ტერმინი დამოკიდებულება, რომ ცნება ნარკომანია მოიცავს დამოკიდებულების განვითარებას არა მარტო ნარკოტიკების მიმართ, არამედ ყველა იმ ნივთიერების მიმართ, რომლებიც, თუმცა, არ მიეკუთვნება ნარკოტიკების იურიდიულად დამოწმებულ ჯგუფს, მაგრამ იწვევს ნარკოტიკების ანალოგიურ ეფექტს, მაგალითად, ალკოჰოლი, თამბაქო. რამდენიმე ხნის წინათ საფრანგეთის ჯანდაცვის მინისტრმა გააანალიზა ნარკოსიტუაცია საფრანგეთში და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ალკოჰოლი საფრანგეთს ჰეროინის დარ ზიანს აყენებს. ცხადია, ეს განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ალკოჰოლი ე. წ. „ლეგალურ ნარკოტიკებს" ეკუთვნის. მისი დამზადება, შეძენა, ხმარება არ ისჯება კანონით. ალკოჰოლი წარსულისგან განსხვავებით დღევანდელი საქართველოსთვის, აგრეთვე, დიდ პრობლემად იქცა.

არ მინდა ვინმეს, განსაკუთრებით, პარლამენტის წევრებს შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ ამ პრობლემას საქართველოში არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება. საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც „საქართველოში ნარკომანიისა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის 1998-2000 წლების სახელმწიფო პროგრამა", რომელიც 1996-1997 წლების ანალოგიური პროგრამის ლოგიკური განვითარებაა, ან თუნდაც სამთავრობო კომისიის მუშაობის შედეგები და სხვა, მაგრამ დღევანდელ პირობებში ნარკომანიის წინააღმდეგ მიმართული ძალისხმევა არ აღმოჩნდა საკმარისი სამი ძირითადი მიზეზის გამო.

**პირველი მიზეზი** ნარკომანიის პრობლემების თითქმის სრული დაუფინანსებლობაა, განსაკუთრებით 1999 წელს. ამ პრობლემაზე არ შევაჩერებ თქვენს ყურადღებას, ეს საერთო უბედურებაა. **მეორე მიზეზი** შემდეგია: ნარკობიზნესმა ალღო აუღო საქართველოს ახალ გეოპოლიტიკურ სტატუსს (სხვათა შორის, უფრო ადრე, ვიდრე ბევრმა მთავრობის ოპოზიციონერმა) და მიზანდასახული მუშაობა დაიწყო ამ მიმართულებით. თვითნასწავლი ნარკოტიკების გამსაღებლები, როგორც ჩანს, საერთაშორისო გამოცდილების მქონე ჯგუფებმა შეცვალეს, რომლებიც კუსტარულად დამზადებული ნარკოტიკების მაგივრად, საქართველო აავსეს ჰეროინით და ეხლა „ექსტაზის", კოკაინის და ზოგიერთი სხვა სინთეზური ნარკოტიკების შემოტანის და გავრცელების არხების ფორმირებას ახდენენ.

სინთეზური ნარკოტიკები იმით განსხვავდებიდან კუსტარულისგან, რომ უფრო ნაირგვარი და ფართე გასაღების არეალი გააჩნიათ. მაგალითად, ჰეროინის ორი-სამი გაკეთება საკმარისია, რომ ნარკოტიკების იშვიათად მომხმარებელი ნარკომანი „შეჯდეს ნემსზე".

„ექსტაზი" — ამაღგზნებელი ნარკოტიკია, გამიზნულია ახალგაზრდობისათვის, კოკაინი ნაირსახეობების მიხედვით (მოსაწევი, საინექციო, საყნოსავი) მოსახლეობის სხვადასხვა ფენებში სხვადასხვა მოთხოვნილებით სარგებლობს. ამასთანავე, ამ ნარკოტიკების გადატანა და დამალვა უფრო ადვილია, ვიდრე ბუნებრივის, თანაც მათი ნარკოტიკული ეფექტი მნიშვნელოვნად აღემატება კუსტარული ნარკოტიკების ზეგავლენას.

როგორც ხედავთ, ნარკომაფია „მეცნიერულ დონეზე" მუშაობს, თავისი თანამშრახველების მაღალი ანაზღაურებით. სიტუაციის დრამატიზმი კიდევ იმით არის განპირობებული, რომ თუ, ვთქვათ, მშენებლობის, გნებავთ, განათლების, ჯანმრთელობის დეფექტების შევსება, აღდგენა ბევრ შემთხვევაში მოგვიანებითაც შეიძლება, ნარკომანიის რესოციალიზაცია, მისი მორჩენა ურთულესი და მეტად ძვირადღირებული, ნაკლებად ეფექტიანი პროცესია. ამავე დროს როგორც ნარკომანია, ისე ალკოჰოლიზმი — დღეს ეს აბსოლუტურად დასაბუთებულია მეცნიერების მიერ — მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შთამომავლობაზე. მართალია, ეს გავლენა ხშირ შემთხვევაში არ იწვევს სიმახინჯეს, მაგრამ განსაზღვრავს მთელ რიგ ფსიქიკურ და ფიზიკურად ნაკლებად შესამჩნევ ცვლილებებს ბავშვებში, რომლებიც მათ გონებრივ განვითარებაზე უარყოფით გავლენას ახდენს. თანაც ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის იოლ მსხვერპლად აქცევს. დღეს საქართველოში უკვე მრავლად არის დამოკიდებულთა მეორე თაობები, ე. ი. — ნარკომანიით და ალკოჰოლიზმით დაავადებულთა ნარკომანი შვილები.

რას ვუპირისპირებთ ჩვენ დღეს საქართველოში შექმნილ მდგომარეობას? ძირითადად პოლიციის მეტ-ნაკლებად წარმატებულ მცდელობას გადაელობოს ნარკოტიკების საქართველოში თუ საქართველოს გაელით მიმდინარე ნაკადს და დაკნინებულ სამედიცინო ნარკოლოგიურ სამსახურს.

საქართველოს ნარკოლოგებს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნისგან (რუსეთის ჩათვლით) განსხვავებით პრაქტიკულად არ გააჩნია ნარკომანთა მკურნალობის ფინანსები, არა აქვთ საშუალება მოამზადონ და გადაამზადონ კადრები, გამოსცენ პირველი ქართული სახელმძღვანელო ნარკოლოგიაში, რომლის გარეშე ძნელია ნარკოლოგ ექიმთა კადრების ლიცენზირებაზე ლაპარაკი, არა აქვთ საშუალება გაზეთებში გამოაქვეყნონ შესაბამისი მასალები, რადგან გარდა „საქართველოს რესპუბლიკისა", თითქმის ყველა დანარჩენი გაზეთი მოითხოვს ფულს გამოქვეყნებისათვის, არ გააჩნია დრო ტელევიზიაში, ნარკომანთა სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია მხოლოდ ქაღალდზე დაწერილი არსებობს, საპატიმრო აღვილები საერთოდ ყურადღების მიღმაა, 1996-1997 წლებში აღდგენილი ნარკოლოგიური ექსპერტიზის და ნარკოლოგთა ქსელი დანგრევის პირას არის მისული, მკურნალობისკენ მოწოდება და მკურნალობის ახალი მეთოდების შესახებ მოსახლეობისათვის ცნობის მიწოდება კი იბეგრება და სხვა.

უფრო მეტი სრულიად გასაგები მიზეზების გამო, საქართველოში აღარ არსებობს სახელმწიფო საკუთრება, მაგრამ განა დასაშვებია, რომ ნარკოლოგიის ინსტიტუტის ქონება გადაეცეს ქონების მართვის სამინისტროს იმ მოტივით, რომ ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი სააქციო საზოგადოებაა. ეს მაშინ, როდესაც ნარკოლოგიის ინსტიტუტის არც ერთ თანამშრომელს არც ერთი აქცია არ გააჩნია. ვინ ჭკუათმყოფელი დაიჯერებს, რომ ქონების მართვის სამინისტრო ნარკოლოგიის განვითარებას უპირატეს ყურადღებას მიაქცევს, ვიდრე საკუთარ მოგებას, ან როგორ შეიძლება ნარკოლოგიის პრობლემების, მიზნებისა და ამოცანების გააზრება მოხდეს ქონების მართვის სამინისტროში. ვინ შეიძლება გადაწყვიტოს, რა სჯობია ქართველი ერისთვის — 10 000 ლარი დაიხარჯოს ნარკოლოგიის სახელმძღვანელოსათვის, თუ ეს თანხა მოხვდეს ქონების მართვის სამინისტროს ანგარიშზე. საქმეს გააუმჯობესებს, მაგრამ ძირეულად არც ის შეცვლის, თუ აქციების რაღაც ნაწილი დაურიგდება ინსტიტუტის თანამშრომლებს. ამ შემთხვევაშიც თითოეული მათგანი ძირითად ყურადღებას საკუთარ მოგებას მიაქცევს, ხოლო ეროვნული პრობლემები — კადრების მომზადება-გადამზადება, უცხოეთის გამოცდილების შესწავლა და დანერგვა, წელიწადში ერთი მეცნიერი მუშაკის მომზადება მაინც და მასთან დაკავშირებული სამეცნიერო კვლევები, სტატისტიკური მასალის შეგროვება-ანალიზი და სათანადო რეკომენდაციების გამომუშავება მთავრობისათვის, რაიონებსა და რეგიონებში ახალი მეთოდების დანერგვა და გადამოწმება და ა. შ. ხომ ცხადზე უცხადესია, რომ ეროვნული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი ნარკოლოგიაში არ შეიძლება მხოლოდ თვითდაფინანსებით არსებობდეს? ეს თითქმის იგივეა, რომ პატიმრებს მოვთხოვოთ საკუთარი კვებისა და ბადრაგის ფული თვითონ გადაიხადონ, მით უმეტეს, რომ მას ქვეყნის სამსახური ევალება. ამდენად, ნარკოლოგიას უნდა ჰქონდეს კანონით გათვალისწინებული შემოსავალი ალკოჰოლური და თამბაქოს პროდუქციის რეალიზაციიდან, ნარკოლოგიური დაწესებულებები კი უნდა გათავისუფლდნენ დაბეგვრიდან. ასეთი პოლიტიკა უფრო დიდ ფულად შემოსავალს მისცემს სახელმწიფოს, ესეც აპრობირებულია საზღვარგარეთ.

ნარკომანიის გავრცელებასთან ბრძოლის პირველი ორი მიზეზი მჭიდროდ არის დაკავშირებული, იქნებ განპირობებულიც, მესამე მიზეზით. **მესამე მიზეზი** კი საქართველოს წინა მოწვევების პარლამენტის მიერ საქართველოში დამოკიდებულების — ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმის პრობლემების თითქმის სრული იგნორირებით არის გამოწვეული.

ნარკომანია ერის ინტეგრალური პრობლემაა და ამდენად შესაბამის ინტეგრალურ კანონმდებლობას მოითხოვს. მხედველობაში გვაქვს როგორც ნარკომანიის ძირითადი ეროვნული კონცეფცია, ისე ამ პრობლემების ასახვა სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული თუ სხვა სახის ნორმატიულ დოკუმენტებში. მაგალითად, ალკოჰოლური სასმელების ფასწარმოქმნა; ალკოჰოლური და თამბაქოს ნაწარმის გაყიდვიდან ნარკოლოგიის პრობლემებზე გარკვეული თანხის გამოყოფა; ნარკოლოგიური დაწესებულებების დაბეგვრა; ნარკოლოგიური სარეაბილიტაციო სისტემისათვის სახელმწიფო და საგადასახადო ხელშეწყობა; ალკოჰოლური სასმელების ვაჭრობის წესების განსაზღვრა, იქნებ სახელმწიფო მონოპოლიის შემოღება მაგარ სასმელებზე; ანტინარკოტიკური პროპაგანდის ფინანსირება; განათლების სისტემაში — სკოლებშიც და უმაღლესებშიც „ანტინარკოტიკური" სწავლების შემოღება; სახელმწიფო მოხელეების ნარკოტიკული კონტროლის შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრა; მუნიციპალიტეტების ყოველდღიური საქმიანობა ნარკომანიისა და ლოთობის წინააღმდეგ; ბავშვების თავისუფალი დროის პრობლემების მოგვარება და სხვა ღონისძიებები, რომლებიც კარგად არის ცნობილი მთელ მსოფლიოში ჩვენთვისაც, პროფესიონალებისთვისაც, მაგრამ არ ხორციელდება იმის გამო, რომ არ გააჩნიათ ფინანსური და საკანონმდებლო გამაგრება. ფინანსური უზრუნველყოფაც კანონმდებლობით უნდა იყოს დადგენილი და არ იყოს დამოკიდებული ვინმეს კეთილ ნებაზე.

უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში აშშ ფედერალური ბიუჯეტი 16-ჯერ გაზარდეს, ცალკეული შტატების გამოკლებით, ის 1999 წლისათვის 16 მილიარდი დოლარით განისაზღვრებოდა. აშშ-ში მიუხედავად პრივატიზაციის უმაღლესი ხარისხისა, ნარკოლოგიის და რამდენიმე სხვა ინსტიტუტი ძირითად სახელმწიფო დაფინანსებაზეა. სწორედ ნარკოლოგიის ინსტიტუტი ამზადებს ფინანსების განაწილების გეგმას ნარკოლოგიის იმ პრობლემათა დაძლევად, რომლებიც პრიორიტეტულად მიიჩნევა ჯანდაცვის სამინისტროს და მთავრობის მიერ, ალბათ, იმიტომ, რომ ნარკოლოგია თავისი ფეთქებადი პოტენციალით დღევანდელ სამყაროში საერთაშორისო ტერორიზმის გვერდით განიხილება.

ვიცი, რომ ცუდი ამბის მაუწყებელ მიკრიკს სჯიან, ზოგჯერ თავს კვეთენ, მაგრამ დიდი იმედი გვაქვს საქართველოს პარლამენტის და ამიტომ შევეცადეთ დაგვერწმუნებინა ახლადარჩეული პარლამენტარები, ნარკოლოგიის პრობლემა პარლამენტის მუდმივ სამუშაო საკითხთა სიაში შეიტანონ.

**გელა ლეჟავა,**
მედიკო-ბიოლოგიური აკადემიის აკადემიკოსი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ნარკოლოგიის ს/კ ინსტიტუტის დირექტორი, ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი სამთავრობო კომისიის წევრი;

**ზურაბ შენგელია,**
ნარკოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი ნარკოლოგი.

## პროფესიონალები

# ტერორისტულ აქტში ეჭვმიტანილები ქალაქიდან გაღწევას რკინიგზის ლიანდაგის გავლით აპირებდნენ

საქართველოში 1990-იანი წლების დასაწყისში მიმდინარე პროცესებმა მძიმედ დააზარალა რკინიგზის ტრანსპორტი. გვახსოვს, როგორ გახშირდა დატაცება და ყაჩაღობა. სისტემატურად ფეთქდებოდა ხიდები, ნადგურდებოდა რკინიგზის აპარატურა, იძარცვებოდა მოძრავი შემადგენლობები. ხშირად საგანგებოდ გამოჰყავდათ მწყობრიდან ისინი. მარტო 1992 წელს რკინიგზაზე, ტვირთის დატაცების შედეგად, ზარალმა 18 მილიარდ მანეთს მიაღწია. აფეთქების შედეგად დაზიანდა 46 დიდი, საშუალო და პატარა ხიდი.

შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების, საქართველოს რკინიგზით მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთის უდანაკარგოდ გადაზიდვის, სარკინიგზო მაგისტრალების დაცვის მიზნით სატრანსპორტო პოლიციის ერთიანი სისტემის შექმნა გახდა აუცილებელი და გაუქმდა სარკინიგზო ტრანსპორტის დეპარტამენტთან არსებული შეიარაღებული დაცვა, შეიქმნა სატრანსპორტო პოლიციის მთავარი სამმართველოს რკინიგზის ობიექტების დაცვის პოლიციის პოლკი, რომელიც 1993 წლის 1 მარტიდან მოქმედებდა. პოლკი ექსტრემალურ სიტუაციაში ყალიბდებოდა, თან მსახურობდა. ამ დროს გამეფებულ ქაოსსა და განუკითხაობაში რკინიგზის სტრატეგიული დანიშნულების ობიექტებისა და გასაცილებელი ობიექტების დაცვა არ იყო იოლი, რადგან ძნელ ვითარებას ელექტროენერგიის, გათბობისა და დაწესებული ფორმების არქონაც ერთვოდა, ამასთან, იარაღისა და საბრძოლო მასალების დეფიციტიც საგრძნობი იყო, ხოლო ხელფასები იმდენად მიზერული, რომ მოთხოვნილების მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებდა. სამორიგეოდ გასული პოლიციელები ხშირად მთელი დღე-ღამით, კვირაობით ვერ ბრუნდებოდნენ შინ, პოლკის პირადი შემადგენლობა აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვის ღონისძიებებში. რომელთა დროს იღუპებოდნენ თანამშრომლები. ცხრა მათგანი დაიღუპა, ერთი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. მათი საქმიანობა ქვეყანას შეუმჩნეველი არ დარჩენია. ცხრა მათგანს მიენიჭა სამთავრობო ჯილდო, სამწუხაროდ, ოთხს სიკვდილის შემდეგ.

ამ სამსახურის შექმნის დღიდან რკინიგზაზე შეწყდა ხიდებისა და სხვა, ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ობიექტების აფეთქების ფაქტები, გააქტიურდა ბრძოლა მოძრავი შემადგენლობებიდან სახალხო სამეურნეო ტვირთის დამტაცებლების წინააღმდეგ და, მართლაც, ტვირთის დატაცებით გამოწვეულმა ზარალმა კლება დაიწყო.

თუ 1988 წელს ზარალი 26,600 ათასი მანეთი იყო, 1989 წელს — 10,900 ათასი მანეთი... 1991 წელს — 58,500 ათასი მანეთი, 1992 წელს ზარალმა 58,500 ათას მანეთს გადააჭარბა, ხოლო 1993 წელს პიკს მიაღწია — 55 მილიარდ 313 მილიონ კუპონს, 1994 წელს — 137,8 ათასი ლარი იყო, 1995 წელს — 91,1 ათასი ლარი, 1996 წელს ზარალმა შეადგინა 412 ლარი, 1997 წლიდან მოყოლებული დანაკარგი საერთოდ არ ყოფილა. უდანაკარგოა წლევანდელი წელიწადიც და ეს ციფრები დაცვის სამსახურის წარმატებული მუშაობის დასტურია.

ერთი სიტყვით, საქართველოს პრეზიდენტის მიერ დასახული კურსი, საქართველოს გაელით ევროპა-აზიის დერეფნის ამოქმედებასთან დაკავშირებით, რკინიგზაზე წარმატებით ხორციელდება და ამის მაჩვენებელია სწორედ რკინიგზის მიერ გადაზიდული ტვირთების მოცულობის ყოველწლიური ზრდა. როგორც აქ ამბობენ: ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ტვირთბრუნვა საქართველოს რკინიგზაზე 2-ჯერ და მეტად გაიზარდა, რასაც დიდად შეუწყო ხელი ტვირთების საიმედო დაცვამ. ის ორი აუცილებელი პირობა, ტვირთის იაფი და დროული გადატანა, ამავე დროს საიმედოდ დაცულ პირობებში, რომლითაც, უწინარეს ყოვლისა, დაინტერესებული არის გადამზიდი, საქართველოს რკინიგზის მიერ სრულდება.

1994 წელს დასავლეთ საქართველოში გახშირდა რკინიგზის ვაკისიდან წიდის დატაცება, რამაც სარკინიგზო ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობას საგანგაშო მდგომარეობა შეუქმნა. ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დამნაშავეთა 22 ჯგუფი გამოვლინდა, შესრულდა პროფილაქტიკური სამუშაოები, რის შედეგადაც აღიკვეთა მოსალოდნელი საფრთხე.

1995 წელს თბილისი-დამხარისხებლის სადგურში მოძრავი შემადგენლობებიდან დიდძალი საწვავის დამტაცებელთა ორგანიზებული ჯგუფი გამოვლინდა. სამწუხაროდ, დამტაცებლებს შორის დანაშაულში ამხილეს სატრანსპორტო პოლიციის სამი თანამშრომელი.

სატრანსპორტო პოლიციაში სხვადასხვა სახის დანაშაულს ებრძვიან, მათ შორის საშიშ ბოროტმოქმედებსაც. ასე მაგალითად: სამტრედია-აბაშის სარკინიგზო გადასარბენზე მდინარე ცხენისწყლის რკინიგზის ხიდის დაცვის მუშაკებმა დააკავეს საშიში რეციდივისტი თოშხუა, მეტსახელად „კოჭოია", რომელსაც 40-ზე მეტი მძიმე დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, მათ შორის, რამდენიმე მკვლელობა.

1998 წლის 9 თებერვალს, საქართველოს პრეზიდენტზე განხორციელებული ტერორისტული აქტის აქტიური მონაწილეების დაკავება მას მერე დაიწყო, რაც სატრანსპორტო პოლიციელებმა საკუთარი მოვალეობა პირნათლად შეასრულეს, ამბობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტის რკინიგზაზე, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტზე უმნიშვნელოვანესი ობიექტებისა და ტვირთების დაცვის სამმართველოს უფროსი, **პოლიციის პოლკოვნიკი ნუკრი ძნელაძე.**

— პრეზიდენტზე თავდასხმის მცდელობა ჩვენმა პოლიციელებმა იმავე წამს მაცნობეს, დაუყოვნებლივ გამოვაცხადეთ გაძლიერებული დაცვა. ჩვენს დასაცავ ობიექტებზე გავაორმაგეთ პოლიციელთა რიცხვი. შემდეგ გაირკვა, რომ დაკავებულები, ტერორისტულ აქტში ეჭვმიტანილი რამდენიმე პირი, მათ შორის ეჯიბია და თოდუა ქალაქიდან გაღწევას სწორედ რკინიგზის ლიანდაგის გაელით აპირებდნენ. ჩვენმა ბიჭებმა ისინი სწორედ მაშინ დააკავეს, როცა ის-ის იყო ქალაქიდან უნდა გასულიყვნენ.

ჩვენი საქმიანობა, მართალია, სპეციფიკურია, მაგრამ სისხლხორცეულად არის დაკავშირებული კრიმინალური თუ ადმინისტრაციული პოლიციის ნებისმიერ სამსახურთან, ვინაიდან, ჩვენს მიერ პირნათლად შესრულებული მოვალეობა თითქმის ყველა სახის დანაშაულის გამოვლენის საწინდარია. ამავე დროს, ჩვენ სამსახურს არა მარტო პოლიციური დანიშნულება აქვს, არამედ მნიშვნელოვანი ეკონომიკურ-პოლიტიკური დატვირთვაც. მაგალითად: შუა აზიის სახელმწიფოებისთვის ტვირთის გადასაზიდად ალტერნატიული გზებიც (ირანის, რუსეთის გაელით) არსებობს, მაგრამ ვინაიდან საქართველო-აზერბაიჯანის დერეფანი უფრო საიმედო გამოდგა, შესაბამისად ტვირთბრუნვაც მატულობს.

რესპონდენტი ნუკრი ძნელაძე, რომელიც უნარიანი მუშაობისთვის სულ ახლახან მედლით „მხედრული მამაცობისთვის" დააჯილდოვეს, თბილისელი, ახალგაზრდობაში ცნობილი სპორტსმენი იყო. მისი თაობის მოჭიდავეებთან დღემდე მეგობრობს, ვაჟკაცური ბუნება შემორჩა. მან ჯერ პოლიტექნიკური ინსტიტუტი, მერე მოსკოვის მილიციის სკოლა, იურისტის კვალიფიკაციით, დაამთავრა. 23 წელიწადია შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობს, ვერ ურიგდება საქმისადმი გულგრილ დამოკიდებულებას და არც არავის პატიობს ამას. ამიერკავკასიის რესპუბლიკებისათვის გაეროს სასურსათო პროგრამით გათვალისწინებული პროგრამის განხორციელებაში აქტიური დახმარებისათვის, მისი დასრულებისთანავე, ეროკავშირმა მადლობა გადაუხადა საქართველოს მთავრობას ამ გრანდიოზულ ღონისძიებაში მონაწილეობისათვის, ვინაიდან ჰუმანიტარული ტვირთის გადაზიდვისას საერთო დანაკლისი მინიმალური იყო (3 პროცენტი).

მართალია, ამ სამსახურის თანამშრომლებისათვის აუცილებელი შენობა-ნაგებობები შეკეთდა, ზოგან ახალიც აშენდა, მაგრამ ჯერჯერობით მაინც მწირი რჩება ამ სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კავშირგაბმულობის საშუალებები, სპეცტექნიკა და სხვა, რაც მათ წინაშე დასახული ამოცანის შესრულებას ართულებს, თუმცა ვერ აფერხებს. ისინი წარმატებით ახორციელებენ საქართველოს სამთავრობო ხელშეკრულებებს და რეალობაც ასეთია: უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში სარკინიგზო ტრანსპორტით გადაზიდული ტვირთის დატაცების არც ერთი სერიოზული ფაქტი არ აღრიცხულა. თუმცა, არც უპრობლემობაა და ერთზე განსაკუთრებულად წუხს სამმართველოს უფროსი. კერძოდ, იმაზე, რომ გახშირდა რკინიგზაზე ფერადი ლითონების შემცველი დეტალების დატაცების ფაქტები. კერძოდ: მცირე რაოდენობის ფერადი ლითონების დატაცების მიზნით მოსახლეობა (უფრო მეტად არასრულწლოვანები, მატერიალურად უკიდურესად გაჭირვებული ადამიანები) რკინიგზის ვაგონებიდან ხსნიან მეტად საჭირო ნაწილებს და ძალიან იაფად აბარებენ ფერადი ლითონების ჯართის დამამზადებელ პუნქტებს, რომლებიც უმეტესად, რკინიგზის მიმდებარე ტერიტორიებზე მდებარეობს და განსაკუთრებით მომრავლდა მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტმა ფერადი ლითონის ჯართის დამზადებასა და გატანის თაობაზე მიიღო კანონი.

— არა მგონია სახელმწიფოს ამ პუნქტებიდან იმდენი შემოსავალი ჰქონდეს, რამდენითაც რკინიგზა თუ სხვა მნიშვნელოვანი ობიექტები ზარალდება, მწყობრიდან გამოსული ვაგონების აღდგენას სოლიდური თანხა და უდიდესი ძალისხმევა სჭირდება. ეს კი ისევ და ისევ ბიუჯეტს აკლდება, — ამბობს ნუკრი ძნელაძე და მიაჩნია, რომ ამგვარი დანაშაულის აღსაკვეთად მარტო პოლიციის ძალისხმევა არ კმარა. აუცილებელია, კვლავ აიკრძალოს ფერადი ლითონების ჯართის დამზადება და რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გატანა.

ბატონ ნუკრის იმედი აქვს, ხელისუფლება და მთავრობა ამ პრობლემისკენაც მოიხედავს და ის თანხა, რომელიც ამგვარ ზარალს ეწირება, ბიუჯეტისა და რკინიგზელთა კეთილდღეობისთვის წარიმართება. სხვა მხრივ, ის, რომ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში სარკინიგზო ტრანსპორტით გადაზიდული ტვირთის დატაცების არც ერთი სერიოზული ფაქტი არ აღრიცხულა, იმაზე მიუთითებს, რომ სატრანსპორტო პოლიციის ამ სამსახურში შესაძლებლობის მაქსიმუმი კეთდება.

**ქეთევან ჩემია.**

# აქ მეხანძრეებს ამზადებენ

საქართველოში სახანძრო საქმე ნაკლები პოპულარობით სარგებლობდა, ყოველ შემთხვევაში, უახლოეს წარსულში მაინც. ხოლო საბჭოურ, კერძოდ, უძრაობის პერიოდში მეხანძრის სახელი აუცილებლად დომინოს თამაშთან, ანუ უსაქმურობასთან იგივდებოდა და ამავე დროს იუმორნარევ ციტატასთან — „არ ჩააქროთ, მოვდივართ"-თან იყო წილნაყარი. საქართველოს საზოგადოებამ და განსაკუთრებით თბილისის მოსახლეობამ მხოლოდ ბოლო წლებში გააცნობიერა, თუ რაოდენ დიდ რისკთან და სირთულეებთანაა დაკავშირებული სახანძრო საქმე და ამ სისტემაში სამსახური. ძნელია დაივიწყო ის პროფესიონალიზმი, ვაჟკაცობა და შემართება, რასაც ავლენდნენ ქართველი მეხანძრეები უსახსრობის, უხელფასობის პერიოდში (ეს უკანასკნელი დღემდე გრძელდება), როდესაც ხვეწნა-მუდარით მოპოვებული რამდენიმე ლიტრი საწვავით და ხშირად საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, ფაქტობრივად, შიშველი ხელებით უწევდათ შერკინება ვერაგ და დაუნდობელ სტიქიასთან, სტიქიასთან, რომელიც არავითარ კანონზომიერებას არ ემორჩილება.

ჩვენში ცოტამ თუ იცის, რომ საქართველოს შსს აკადემიაში არის კათედრა, რომელიც პროფესიონალ მეხანძრეებს ამზადებს და ამ პროფილით იგი ერთადერთია ჩვენს ქვეყანაში.

სწორედ შსს აკადემიის ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკისა და ტექნიკის კათედრის საქმიანობის გაცნობის მიზნით ინტერვიუ ვთხოვეთ ამავე კათედრის უფროსს, **პოლიციის პოლკოვნიკ თეიმურაზ რაჭველიშვილს.**

***— ბატონო თეიმურაზ, წლეულს საქართველოში აღინიშნა მეხანძრეთა პროფესიული დღესასწაული. მთლიანად საქართველოს სახანძრო საქმეზე საუბარი, ალბათ, ცალკე თემაა. თქვენ როგორც შსს აკადემიის ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკისა და ტექნიკის კათედრის ხელმძღვანელი, რას გვეტყოდით უშუალოდ კათედრის საქმიანობაზე და მომავალ მეხანძრეთა დღევანდელობასა თუ მომავლის პერსპექტივაზე?***

— დღეისათვის შსს აკადემიის ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკისა და ტექნიკის კათედრა ერთადერთია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს ამიერკავკასიაში, რომელიც ამზადებს უმაღლესი განათლების ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკისა და უსაფრთხოების ინჟინრებს. ამიერკავკასიის რესპუბლიკებისათვის აღნიშნული სპეციალისტების მომზადება საბჭოთა კავშირის დროს, როგორც წესი, ხდებოდა რუსეთში, კერძოდ, ხარკოვსა და მოსკოვში. გარდა ამისა, ისეთივე პროფილის სასწავლებლები და სკოლები მოქმედებდა ჩერკასკში, ლენინგრადში, ტაშკენტში, ირკუტსკში და სხვა.

***— საქართველო ამ მხრივ გამონაკლისი იყო?***

— თბილისში მხოლოდ სერჟანტთა მოსამზადებელი სასწავლო ცენტრი იყო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც დღის წესრიგში საქართველოსათვის სპეციალისტების მომზადების საკითხი დადგა, საჭირო გახდა საკმაოდ სოლიდური თანხების გადახდა.

1992 წელს საქართველოდან წარგზავნილ კურსანტებს ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების სასწავლებლებში სწავლის უფლება აღარ მისცეს, რის გამოც თბილისის სახანძრო-ტექნიკურმა კოლეჯმა, რომელიც შეიქმნა სახანძრო დაცვის სასწავლო ცენტრის ბაზაზე, იტვირთა მათთვის სასწავლო პროცესის დამთავრება და დღეს უკვე აკადემიის კედლებში ამზადებს სახანძრო საქმის სპეციალისტებს. სახანძრო საქმის სპეციალისტების მომზადება როგორც საშუალო, ასევე უმაღლესი განათლებით, იოლი საქმე არ არის. უმაღლესი განათლების სახანძრო საქმის სპეციალისტის მომზადება ყოფილ საბჭოთა კავშირში სწავლების სრული კურსი — 7 წელი გრძელდებოდა და იგი ერთ-ერთ ძვირადღირებულ დარგად ითვლებოდა.

ფაქტობრივად, ყველაფრის თავიდან დაწყება მოგვიწია. ქართულ ენაზე არ არსებობდა სასწავლო ლიტერატურა და მეთოდური სახელმძღვანელოები. არც ისეთი სასწავლო-ტექნიკური ბაზა, როგორც ყოფილ საბაზო სასწავლებლებში. მაგრამ მიუხედავად ამისა, კათედრის პირადი შემადგენლობა, რომელიც დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით, აკადემიის ხელმძღვანელობისა და სახანძრო დეპარტამენტის თანადგომით, შეძლებისდაგვარად, თავს ართმევს დაკისრებულ მოვალეობას. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელი ბოლო ფაქტია ის, რომ სახანძრო დაცვის დეპარტამენტმა გადმოგვეცა საჭირო აპარატურა თბოფიზიკის ლაბორატორიის მოსაწყობად. კათედრაზე აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ქართული სალექციო ფონდებისა და სხვა სასწავლო მეთოდური ლიტერატურის შესაქმნელად. საკუთარი ძალებით მიმდინარეობს კლასების აღჭურვა თვალსაჩინოებებით. საერთო გაჭირვების ფონზე, რა თქმა უნდა, ჩვენც გვიჭირს. ეს უწინარეს ყოვლისა, ეხება ახალი თანამედროვე სახანძრო-ტექნიკური აღჭურვილობის უქონლობას, განვიცდით ინფორმაციულ ვაკუუმს, მაგრამ იმედია, დროთა განმავლობაში, როცა ქვეყნის ეკონომიკა მომძლავრდება, შესაბამისად გაუმჯობესდება ჩვენი მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობაც, მოგვეცემა საშუალება მჭიდრო კავშირები დავამყაროთ საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნების ანალოგიურ სასწავლებლებთან.

ესაუბრა
**ბორის ძნელაძე.**

## სასამართლო

# აღარც იური ტყეშელაშვილი მოსწონთ

(პირველი გვერდიდან)

გუშინ ახალი მოსამართლის გადადგომის თაობაზე სოსო ბარათაშვილმა ნახევარსაათიანი შუამდგომლობა წამოაყენა. ამას გურამ აბსანძემ საათნახევრიანი არზა მოაყოლა. ერთმაც და მეორემაც იმდენი ბრალდება წამოუყენა გენერალურ პროკურატურასაც და უზენაეს სასამართლოსაც, რომ მათ ჩამოთვლას მთელი ჩვენი გაზეთი არ ეყოფა.

გენერალურმა პროკურატურამ გამოძიება ტენდენციურად წარმართაო, ბრალდებები ვერ დამიდასტურაო. საქმის მასალების გასაცნობად დრო შემიზღუდაო, და საერთოდ, სმოლენსკიდან ტყუილუბრალოდ ჩამომიყვანაო. მე არც ხუთი რუსი ჯარისკაცის მკვლელობაში მიმიღია მონაწილეობა და არც 127.000 დოლარის გატაცებაშიო.

რას ერჩიან იური ტყეშელაშვილს?

იური ტყეშელაშვილმა 15 ნოემბერს განმწესრიგებელ სხდომაზე დაუსაბუთებელი განჩინება გამოიტანაო, არაფრად ჩააგდო ჩვენი შუამდგომლობები, — საქმე ხელახალ ძიებაში არ დააბრუნა და გურამ აბსანძეც უკანონო პატიმრობიდან არ გაათავისუფლაო.

ყველაზე ძალიან ამ განჩინებიდან ადვოკატებსაც და განსასჯელსაც აღიზიანებთ ორი პუნქტი: 1. წინასწარი გამოძიება წარმართულია სრულად და ობიექტურად; 2. საბრალდებო დასკვნა შედგენილია კანონის შესაბამისად! ასეთი პუნქტების ჩამომყალიბებელი მოსამართლე სამართლიან განაჩენს ვერ გამოიტანს, ამიტომაც პროცესს უნდა ჩამოსცილდესო.

გურამ აბსანძემ აქვე გამოთქვა აზრი, რომ იური ტყეშელაშვილი განიცდის ხელისუფლების ზეწოლას, ზემდგომთა დაკვეთას ასრულებს. ამის გარდა, განსასჯელმა რამდენჯერმე ძალზე არაკორექტულად მოიხსენია პროკურატურაც და ხელისუფლებაც. ამის გამო მოსამართლის შენიშვნა დაიმსახურა.

იური ტყეშელაშვილის აცილებას მხარი დაუჭირა ხუთიოდე განსასჯელმა. სამაგიეროდ, ახლანდელი მოსამართლის წინააღმდეგ ერთიანად გაილაშქრა ადვოკატურამ. ყველა დამცველი გურამ აბსანძის გვერდით დადგა. როგორც ჩანს, ადვოკატების მიმართ იური ტყეშელაშვილის მიერ ადრე გამოთქმულმა მკაცრმა შეფასებებმა ისინი საკმაოდ გააწიწმატა.

პროკურორებმა ანზორ ხვადაგიანმა, მალხაზ ესაკიამ და გელა ბადრიაშვილმა მხარი არ დაუჭირეს შუამდგომლობას. მათი აზრით, იური ტყეშელაშვილის აცილება გამიზნულია დროის გასაჭიანურებლად, სასამართლო პროცესის „გასაჭიმად".

იური ტყეშელაშვილმა 15 ნოემბერს გამოტანილ განჩინებასთან, აგრეთვე, შუამდგომლობებში წამოწეულ ბრალდებებთან დაკავშირებით განაკეთა მოკლე ახსნა-განმარტება და მსაჯულები სათათბირო ოთახში გაისტუმრა. მათ გურამ აბსანძისა და მისი ადვოკატების მოთხოვნები არ დააკმაყოფილეს და ახალი მოსამართლე კვლავ თავის პოსტზე დატოვეს.

ამის შემდეგ გურამ აბსანძემ დააყენა პროკურორ ანზორ ხვადაგიანის აცილების შუამდგომლობა, მაგრამ ამაზედაც უარი უთხრეს.

**ბონდო გულიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პრეზიდენტი ელცინი კვლავ ავადაა

რუსეთის პრეზიდენტი ელცინი, რომელიც ხუთშაბათს ჩაწვა, მოსკოვის ქალაქგარეთა რეზიდენციაში იმყოფება. ოფიციალური ცნობის თანახმად, მას აქვს მწვავე ბრონქიტი და ვირუსული ინფექცია. ექიმების აზრით, პრეზიდენტს ერთ-ორ კვირაში აღუდგება ჯანმრთელობა. ბი-ბი-სის მოსკოველი კორესპონდენტი იუწყება, რომ ელცინის ახლანდელი ავადმყოფობა, შესაძლოა, არ არის ძალიან საშიში, მაგრამ იგი ხშირად ავადმყოფობს და წინათ, როდესაც ოფიციალური პირები ამტკიცებდნენ, გაციედაო, სინამდვილეში პრეზიდენტს რამდენიმე ინფარქტი ჰქონდა, რის გამოც გაუკეთეს გულის შუნტირების ოპერაცია.

# მოითხოვენ ევროკავშირის შეიარაღებული ძალების შექმნას

საფრანგეთ-ბრიტანეთის ლონდონის უმაღლესი დონის შეხვედრაზე გადაწყდა, გააფართოონ ორი ქვეყნის თანამშრომლობა თავდაცვის დარგში. პრემიერ-მინისტრის ტონი ბლერის თქმით, თათბირზე შეათანხმეს ზოგიერთი კონკრეტული ამოცანა, რომლებიც ეხებოდა ევროპის კავშირის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას – ნატოს შემავსებელ ფუნქციას. ევროპელ ხელმძღვანელთა თქმით, მთავარი მიზანი ის არის, რომ ევროკავშირს მიენიჭოს შესაძლებლობა, ადეკვატურად რეაგირებდეს რეგიონულ კრიზისებზე. ისეთებზე, როგორიც იყო კოსოვოს კონფლიქტი, – შეერთებული შტატების დაუხმარებლად. ნავარაუდევია, შეიქმნას სწრაფი რეაგირების საერთო-ევროპული ძალები 60 ათასი კაცის ოდენობით, რომლებსაც გამოიყენებენ ნატოს ქვეყნების ფარგლებსგარეთ ძალისმიერი ჩარევისათვის.

# ვეშაპებს და დელფინებს თავიანთი ნაკრძალი ექნებათ

ხმელთაშუა ზღვაში იქმნება ვეშაპებისა და დელფინების ნაკრძალი, რომელიც პირველია ჩრდილოეთ ნახევარსფეროში. მისი ფართობი შეადგენს 84 ათას კვადრატულ კილომეტრს – შვეიცარიაზე დაახლოებით ორჯერ მეტს – და საფრანგეთის სამხრეთის ქალაქის ტულონიდან გაიჭიმება სარდინიის ჩრდილოეთ საზღვრამდე და ტოსკანის (იტალია) სანაპირომდე. იტალია, საფრანგეთი და მონაკო 10 წლის განმავლობაში ეწეოდნენ მოლაპარაკებას ამგვარი ნაკრძალის შექმნის შესახებ.

## განცხადება

### სალიკვიდაციო ბანკების აქტივების შეძენით დაინტერესებული პირების გამოსავლენად

საქართველოს ეროვნული ბანკი სალიკვიდაციო კომერციული ბანკების ფინანსური და სხვა აქტივების რეალიზაციის მიზნით ეძებს ამ აქტივების შეძენით დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს. აღნიშნული აქტივები მისი რეალიზაციისა და ნაღდ ფულად გადაქცევის შემდეგ გამოყენებული იქნება დახურული ბანკების კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების დასაფარავად.

სალიკვიდაციო კომერციული ბანკების ფინანსური აქტივები მოიცავს სავალო ვალდებულებებს, სესხებს, დებიტორულ დავალიანებებს, ფასიან ქაღალდებს და სხვა აქტივებს. სხვა აქტივებში შედის მიწა, შენობები (ყოფილი ბანკების შენობები), სამრეწველო და სხვა დანადგარები, საოფისე ავეჯი, ინვენტარი, მოწყობილობა, აპარატურა და სხვა ნივთები.

უმოკლეს ხანში სალიკვიდაციო ბანკები გაყიდიან ან სხვა ფორმით განკარგავენ ჩამოთვლილ აქტივებს საბაზრო ფასებში.

*დაინტერესებულმა პირებმა დარეკეთ შემდეგ ნომერზე: 92-13-26.*

**საქართველოს ეროვნული ბანკი.**

# ბრიტანეთი ტერორისტებს საშობაოდ ელოდება

ბრიტანეთის მთელ ტერიტორიაზე ხორციელდება „უსაფრთხოების გაძლიერებული ღონისძიებანი" იმის გამო, რომ შობა-ახალწლისწინადს მოსალოდნელია ტერორისტული აქტები, სკოტლანდ-იარდმა გააფრთხილა ბრიტანეთის დიდი კომპანიებისა და სამსახურების ხელმძღვანელები, საქალაქო ობიექტების მენეჯერები, აგრეთვე, ზოგიერთი თვალსაჩინო პოლიტიკოსი და სამხედრო, რომ შესაძლებელია უახლოეს კვირებში დაიწყოს ტერორისტული აქტები. სკოტლანდ-იარდის შიში ემყარება კრიმინალური დაზვერვის მონაცემებს, რომელიც აღრიცხავს ტერორისტული ირა-საგან გამოყოფილი გასამხედროებული ჯგუფების გაძლიერებულ აქტიურობას. პოლიციისა და კრიმინალური დაზვერვის აზრით, ამჟამად წარმოიშვა „ტერორისტული აქტის ყველაზე დიდი საფრთხე 1998 წლის აგვისტოს შემდეგ", როდესაც ქალაქ ომაში მომხდარ აფეთქებას 28 კაცის სიცოცხლე შეეწირა. ეს დაკავშირებულია გარდატეხასთან ჩრდილოეთ ირლანდიის სამშვიდობო პროცესში, სადაც არსებითი პოზიტიური ძვრები მოხდა.

ჩრდილოეთ ირლანდიის საქმეთა მინისტრის პიტერ მანდელსონის თქმით, დეკემბრის დამლევს შეიძლება განხორციელდეს დევოლუცია, ანუ ხელისუფლების ნაწილობრივი გადაცემა პროვინციის საკანონმდებლო ასამბლეისათვის, აგრეთვე, ჩამოყალიბდეს ამ ასამბლეის აღმასკომი, ანუ ადგილობრივი მთავრობა. თავის მხრივ, ირა-მ გამოთქვა მზადყოფნა, დანიშნოს თავისი შუამავალი იარაღის ჩაბარების საერთაშორისო კომისიასთან კონტაქტების საკითხებში. ამ პოზიციურმა ძვრებმა კი გამოიწვია ირა-ს დისიდენტური დაჯგუფებების მკვეთრი უკმაყოფილება, რომლებიც შეიარაღებულ ბრძოლას ჩრდილოეთი და სამხრეთი ირლანდიის გაერთიანების მეთოდად მიიჩნევენ, და მათი უკმაყოფილება შეიძლება გამოიხატოს ტერორისტული აქტებით.

# ეთნოსთაშორისი შეტაკებანი ნიგერიაში

ნიგერიის უდიდეს ქალაქ ლაგოსში პოლიციას ებრძანა, გაუფრთხილებლად დაუშინოს ცეცხლი არეულობის ორგანიზატორებს: გუშინ ეთნოსთაშორის შეტაკებათა შედეგად ქალაქში დაიღუპა სულ ცოტა 27 კაცი. ქვეყნის პრეზიდენტმა ოლუსეგუნ ობასანჯომ განაცხადა: იმათ, ვინც მხეცივით იქცევა, ისე მოვეპყრობით, როგორც მხეცებსო. ლაგოსის შეტაკებებში მონაწილეობენ ორი უდიდესი და ყველაზე გავლენიანი ტომის – იორუბასა და ხაუსის წარმომადგენლები. არეულობა დაიწყო დიდი სასურსათო ბაზრისადმი კონტროლის გამო. როგორც ბი-ბი-სის ნიგერიელი კორესპონდენტი იუწყება, ყოველგვარ შეტაკებას იორუბასა და ხაუსის წარმომადგენლებს შორის უაღრესად სერიოზული შედეგები მოჰყვება, ვინაიდან მათი თემები მეზობლად ცხოვრობენ პრაქტიკულად ქვეყნის ყოველ ქალაქსა და სოფელში.

# მაიკლ პორტილო კვლავ პარლამენტშია

ბრიტანეთის თავდაცვის ყოფილი მინისტრი მაიკლ პორტილო ბრიტანეთის პარლამენტში ბრუნდება დამატებითს არჩევნებში გამარჯვების შემდეგ. იგი დამარცხდა 1997 წლის საყოველთაო არჩევნებში და ახლა აიღო დამაჯერებელი რევანში — მოიპოვა ხმების 56 პროცენტი და უკან ჩამოიტოვა თავისი ლეიბორისტი მეტოქე. მეთვალყურეთა აზრით, პორტილოს კონსერვატიული პარტიის შესაძლო მომავალ ლიდერად განიხილავენ.

# გროზნოს მიწასთან ასწორებენ

გროზნომ გუშინ განიცადა ყველაზე დამანგრეველი მასირებული დაბომბვა სამი თვის საბრძოლო მოქმედების მანძილზე. ქალაქს თავს დაატყდა ასობით რაკეტა, განუწყვეტლივ მოქმედებდა ავიაცია და არტილერია. ცნობები დაღუპულთა რიცხვისა და ნგრევის მასშტაბის შესახებ ჯერჯერობით არ არის. ცოცხლად გადარჩენილი მცხოვრებნი უკვე რამდენიმე დღეა, არ ამოდიან სარდაფებიდან. რუსეთის სამხედრო წყაროების ცნობებით, „ბოევიკები" განამტკიცებენ ქალაქის თავდაცვას, ნაღმავენ გზებს, ხიდებსა და შენობებს.

# ერევანი: აფეთქება რუსეთის საელჩოში

ერევნის რუსეთის საელჩოში მეზობლად მდებარე სამშენებლო ობიექტიდან საბრძოლო ხელყუმბარა შეაგდეს. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა, მაგრამ დაზიანდა შენობა. ეს პირველი ამგვარი ინციდენტია სომხეთის დედაქალაქში უცხოეთის დიპლომატიური წარმომადგენლობის მიმართ.

# ასამართლებენ პაკისტანის პრემიერყოფილს

ყარაჩის ანტიტერორისტულმა ტრიბუნალმა გადადო ბრალდებების წაყენება გადაყენებული პრემიერ-მინისტრის ნავაზ შარიფისათვის, რათა ბრალდების მხარეს მეტი დრო ექნეს გამოსაძიებლად. შარიფი ტრიბუნალის წინაშე წარსდგა თავის ძმასთან და დამხობილი ადმინისტრაციის კიდევ ხუთ წარმომადგენელთან ერთად. იგი კატეგორიულად უარყოფს ბრალდებას, რომ სამხედრო გადატრიალების დღეს, ოქტომბერში, ხელს უშლიდა ყარაჩში სამოქალაქო ავიალაინერის დაჯდომას, რომელშიც გენერალი პერვეზ მუშარაფი იმყოფებოდა, მიუხედავად იმისა, რომ თვითმფრინავს საწვავის მარაგი უთავდებოდა. შარიფის თქმით, გენერალ მუშარაფის ერთადერთი მოტივია პირადი შურისძიება.

# აღმოჩენილია უკვდავების გენი!



ბიოლოგმა ოუენ უაიტმა, როკვილის (აშშ) გენომის შემსწავლელი ინსტიტუტის თანამშრომელმა, აღმოაჩინა, რომ ბაქტერიას **Deinococcus Radiodurans**-ს ჰქონია საოცარი უნარი — აღმოაჩინოს და აღმოფხვრას დეფექტები საკუთარ გენურ სტრუქტურაში. ეს ბაქტერიას პრაქტიკულად უკვდავს ხდის: მას იოლად გადააქვს ძლიერი მჟანგველების, ულტრაიისფერი და მაიონებელი გამოსხივების ზემოქმედება. ამერიკელმა მეცნიერმა შეძლო, მთლიანად გაეშიფრა ორი ქრომოსომის გენური სტრუქტურა, რომლებშიც მოქცეულია ბაქტერიის მთელი მემკვიდრეობითი ინფორმაცია. ამასთან, უაიტმა დაადგინა, რომ ბაქტერიას აქვს უნიკალური ფერმენტული სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევს უმოკლეს ვადაში აღადგინოს თითქმის ნებისმიერი დეფექტი, რომლებიც მის გენებში წარმოიშობა გარე ფაქტორების ზემოქმედებით. უფრო მეტიც, ბაქტერიის არსენალშია გენური უწესივრობის „რემონტის" სამი სხვადასხვა მექანიზმი, რომელთა არჩევანსაც უკარნახებს გარე ზემოქმედების ხასიათი, იუწყება ჟურნალი „**Science**"

---

**XX საუკუნე: საიდუმლოებანი**

## ერთი ცალკე აღებული ქვეყნის მაგალითით

# ბეზღის დიდი ენციკლოპედია

БЭС
1.
А–Н
БОЛЬШАЯ ЭНЦИКЛОПЕДИЯ СТУКА

***ბეზღი, ენის მიტანა. რატომ არის ეს მოვლენა ესოდენ ფეხმოკიდებული რუსეთში? ჩვენ რა, სხვებზე უარესები ვართ? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ცდილობს ჟურნალ „ოგონიოკის" №35-ში ა.ა. გორბოვსკი — ისტორიკოსი, სოციოლოგი და ფუტუროლოგი, რომელიც ლონდონში ცხოვრობს.***

### III

### მონარქს ეამა ამ სიმების ხმა

ასე იყო და ასე გრძელდებოდა მას შემდეგ, რაც რუსეთი გაქრისტიანდა.

მაგრამ დროთა განმავლობაში დაისახა „რაოდენობის გადასვლა თვისებრიობაში": მოხალისე მაბეზღარების გარდა, რომლებიც დასმენის ბარათებს შემთხვევიდან შემთხვევამდე წერდნენ, რუსეთში გაჩნდნენ მუდმივი ინფორმატორები. თავისთავად ცხადია, რომ ამ პირთა ქმედობა იდუმალებით იყო მოცული, და მხოლოდ შემთხვევა წარმოაჩენდა ხოლმე, ზოგჯერ – მრავალი წლის შემდეგ.

სწორედ ასეთმა შემთხვევამ აღმოგვაჩენინა ცოტა ხნის წინათ ანა დე პალმეს სახელი. ბეზღის მოყვარულ ჰანოვანს ჰქონდა ერთი სისუსტე – ლიტერატურის ტრფიალი, რაც მის პროფესიას არ ეპატიებოდა. მადამ დე პალმეს „საიდუმლო ჩანაწერები" შემორჩენილია ერთ-ერთ რუსულ არქივში.

დღეს უაღრესად საინტერესოა საბუთებში იმის კითხვა, თუ როგორ ხდებოდა 200 წლის წინათ „აგენტურული დამუშავება". მოცემულ შემთხვევაში სიტუაციას ამარტივებდა ის, რომ თვით ანამ კანცლერ ბეზბოროდკოს პირით შეუთვალა ეკატერინე II-ს, მზად ვარ გემსახუროო. რამდენიმე დღის შემდეგ, წერს ქალბატონი დე პალმე, „მისმა საიმპერატორო უდიდებულესობამ მიბრძანა, დამეკავებინა ზემოხსენებული თანამდებობა სრულიად საიდუმლოდ, და ჩემი შრომის ნაყოფი მიმეტანა ხოლმე ბეზბოროდკოსთან". ამ ცნობას რომ გაეცნო, კანცლერმა დასძინა: „შეუდექით ახალ თანამდებობაზე მოვალეობის შესრულებას და ჯამაგირის მიღებას". რაზეც ინფორმატორი პათოსით შეეპასუხა:

– ღვთის გულისათვის, თავადო, მე არასდროს მიფიქრია, მემსახურა ჯამაგირის გულისათვის, მე მხოლოდ სახელი მამოძრავებდა.

– ჩვენ არ ვუკადრისობთ ჯამაგირისა და წყალობის მიღებას მეფეთაგან, – შენიშნა მრავალნაცადმა დიდებულმა. – ამრიგად, მე გირჩევთ, მიიღოთ მისი უდიდებულესობისაგან ეს წყალობა – ყოველწლიურად დანიშნული 12000 მანეთი...

მოგვიანებით ქ-ნი დე პალმეს მომსახურებით სარგებლობდა იმპერატორი პავლე პეტრეს ძეც – და ფრიად აქტიურად: „ამ ხელმწიფის მეფობისას მე ჭეშმარიტად უჩინმაჩინს ვემსგავსებოდი, ანუ, ისე ვუძღვებოდი მთელ ჩემს ქმედობასა და ყოფაქცევას, რომ ყველაფერი მცოდნოდა, ყველაფერი შემემჩნია, ის კი არა, განმეჭვრიტა კიდეც, ისე რომ, არავის არაფერში შევემჩნიე და არ აეღო ეჭვი". სიტყვამ მოიტანა, და „ბეზღის სარეწის" მდგომარეობა უტყუარი ინდიკატორია ამა თუ იმ მონარქის მმართველობის ხასიათის შეფასებისა. პავლე პირველი, შესაძლოა, ყველაზე წინააღმდეგობრივი ფიგურა იყოს რუსეთის ისტორიისა. მას სიცოცხლეშივე უწოდებდნენ „რაინდს", „რუს ჰამლეტს". აი, სწორედ ამ რაინდმა თავისი ხანმოკლე მეფობის დასაწყისშივე, გარდა იმისა, რომ გააუქმა ცენზურა და გადასახლებიდან დააბრუნა რადიშჩევი, ბრძანა, ზამთრის სასახლის ლობეზე ჩამოეკიდებინათ დიდი ყვითელი ყუთი. ამიერიდან ყოველ მოქალაქეს შეეძლო ჩაეგდო ამ ყუთში თავისი ბეზღის ბარათი, მერე კი, პავლე პირადად არჩევდა და ეცნობოდა „კორესპონდენციას". და, თუ, საჭიროდ მიიჩნევდა, გამოჰქონდა გადაწყვეტილება, რომელიც გადასინჯვას არ ექვემდებარებოდა. მაგალითად, როდესაც შემოვიდა ბეზღის ბარათი გვარდიის ოფიცერზე, რომელსაც ქუდი არ ეხურა ფორმის მიხედვით – კინკრიხოზე ჰქონდა მოგდებული, – სამხედროს მაშინვე ბორკილი გაუყარეს და ციმბირში გაამწესეს...

ალექსანდრე I-ის ტახტზე ასვლის შემდეგ ქ-მა პალმემ კეთილგონივრად მიიჩნია, არ ეცნობებინა ყმაწვილი ხელმწიფისათვის, თუ რა სამსახურს უწევდა მამამისს. იმპერატორისადმი წერილში, ნათქვამია ჩანაწერებში, „მე ვაცნობე ხელმწიფეს, თუ რაოდენ დიდი წყალობა მქონდა მიღებული მისი უავგუსტესი დიდედისაგან და რას ვაკეთებდი მასთან საიდუმლოდ. მოვსინჯე, აგრეთვე, ზოგიერთი სიმი, რომლებიც კეთილგონიერ მმართველობასა და იმ სიფრთხილეს მოითხოვდა, მმართველობას რომ სჭირდება. ამ სიმების ხმა ეამა მონარქს..."



*ეს გახლავთ ხელმწიფე იმპერატრიცა ეკატერინე დიდი. დიდი მცოდნე, – მათ შორის, ბეზღისა.*

იმდენად ეამა, რომ დამსმენს დაავალეს, ამიერიდან თავისი ცნობები კვირაში ორჯერ გამოეგზავნა თავადი გოლიცინის მეშვეობით. მონაცემებს, რომლებსაც დამსმენი უგზავნიდა მეფისკარის კულისსმიღმა ცხოვრების შესახებ, იმდენად მნიშვნელოვნად მიიჩნევდნენ, რომ, როდესაც ხელმწიფე საზღვარგარეთ ბრძანდებოდა, ამ მონაცემებს საგანგებო შიკრიკით უგზავნიდნენ. ეს ბეზღის ბარათები, როგორც ჩანს, ისეთი საშიში იყო, რომ იმპერატორი წაკითხვისთანავე წვავდა...

ქაოსის რეჟიმში ადრე თუ გვიან წარმოიშობა ხოლმე თვითორგანიზებადი მომენტი. სწორედ ეს მოხდა 1826 წლის გაზაფხულზე, როდესაც შეიქმნა მისი საიმპერატორო უდიდებულესობის საკუთარი კანცელარიის მესამე განყოფილება.

ამიერიდან, დასმენის საქმეში მკაცრი წესრიგი მყარდებოდა. შედგა იმ პირთა ნუსხა, რომელთა შესახებ ხელისუფლებს უნდა სცოდნოდათ ყველაფერი, ისევე, როგორც დამსმენთა სია. გრაფმა ბენკერდოფმა, ახალი უწყების თავკაცმა, ამას უწოდა შესაძლებლობა „გამოიყენონ პატიოსანი ადამიანების აზრი, რომლებსაც ამოძრავებთ სურვილი, აცნობონ მთავრობას მოსალოდნელი შეთქმულების ამბავი, ანდა რაიმე საინტერესო სიახლენი".

ფორმულირების მთელი სინატიფის მიუხედავად, ავტორმა საჭიროდ მიიჩნია, დაერთო დამატებითი შენიშვნა, რომ მთავრობა სულაც არ ზღუდავს ენის მომტანთა წრეს „პატიოსანი ადამიანებით", რომლებიც საზოგადოებაში ყოველთვის ცოტანი არიან. ასეთ საქმეებში ამრევა არ გამოდგება. ხელისუფლებისათვის მნიშვნელოვანი ცნობების მოწოდება, განაგრძობდა ბენკერდორფი, შეუძლია, აგრეთვე, „ღრმა და უბირ ხალხს". თავისთავად ცხადია, რომ უნდა გადაებირებინათ თავიანთ მხარეზე „მომხვეჭელობის მოყვარული ადამიანები".

### IV

### დეკაბრისტები – პირველი ჩეკისტები

ამ ისტორიულ მოვლენამდე რამდენიმე თვით ადრე, რუსეთში კინაღამ მოხდა მეორე მოვლენა, რომელსაც შეეძლო, ძირეულად შეეცვალა ქვეყნის ბედი. მე დეკაბრისტთა წარუმატებელ ამბოხებაზე მოგახსენებთ. ტრადიციისამებრ, დეკაბრისტთა შეთქმულებაზე რომ ლაპარაკობენ, თვალებს ცისკენ აღაპყრობენ ხოლმე და ლამის მუხლი მოიდრიკონ. მაგრამ ბევრი არც კი დაფიქრებულა, რას მოუტანდნენ ხალხს შეთქმულები, რომ გაემარჯვათ. გადავშალოთ საპროგრამო დოკუმენტი – პესტელის „რუსკაია პრავდა". პირველი, რის გაკეთებასაც აპირებდნენ დეკაბრისტები ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ, – ეს იყო „სახელმწიფო სევსეიანობის" სამინისტროს დაფუძნება. ჟღერს ლამაზად, მაგრამ თავისი ფუნქციებით „სევსეიანობა" ნაცნობი მოეჩვენება ყველას, ვინც იცის, რა არის ჩეკა ან [illegible]. „სევსეიანობას" უნდა ემოქმედა „კანონით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში", ანუ ჩვენი საუკუნის ენაზე რომ ვთქვათ, ეხელმძღვანელა „რევოლუციური მართლშეგნებით". თავისი უკანონობის გამო „სევსეიანობა" „უკუნ წყვდიადს" მოითხოვს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დათმობოდა „საიდუმლო მაცნეების" დაქირავებას – მათ ევალებოდათ „გაეგოთ, როგორ იქცევიან კერძო პირები".

იმათაც კი, ვინც რუსეთის ახალ გზებზე ოცნებობდა, ვერ წარმოედგინათ მისი მომავალი დაუბეზღებლად და დაუსმენლად. ამ გეგმების განხორციელებაში კი დეკაბრისტებს ხელი შეუშალეს იგივე „საიდუმლო მაცნეებმა". საბოლოოდ, შეთქმულთა გეგმებს გრაფმა ბენკედორფმა შეასხა ხორცი.

უკიდურესობანი, როგორც ვიცით, ერთმანეთს ეკვრიან. ყველა წოდებასა და კლასში მიმოფანტული დამსმენები მონადირის ალღოთი გრძნობდნენ და ეტმასნებოდნენ მოაზროვნე, არაორდინარულ ადამიანებს. როდესაც პეტერბურგში მ. ვ. პეტრაშევსკის პოპულარული წრე შეიქმნა, დამსმენები იყვნენ მის ყველაზე თავგამოდებულ მონაწილეებს შორის. კრებების ფინალი იოლი გასაჭვრეტი იყო: ერთბაშად – ყველა მონაწილის დაპატიმრება, საპყრობილე, სასამართლო. მერე კი – ვის რა ერგებოდა წილად: სიკვდილის განაჩენი, ეშაფოტი თუ ციმბირი.

ამ შეხვედრების ერთ-ერთი მონაწილე მოგვიანებით იხსენებდა: „იყო რამდენიმე ახალი სახე, სხვათა შორის, ერთი ქერა კაცი... გაუნათლებელი არ ეთქმოდა, თავისი აზრებით ლიბერალური იყო, მაგრამ მისი მონაწილეობა უპირატესად სხვებს განაწყობდა საკუთარი აზრის გამოსათქმელად..."

ამის დამწერი მერეღა მიხვდა, თუ რა მიზნით დადიოდა ეს „ქერა კაცი" მათს კრებებზე.

შტატიანი მსტოვრების გარდა, დამსმენთა არმიის მნიშვნელოვან ნაწილს კვლავინდებურად შეადგენდნენ მოხალისენი. უაღრესად ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ მოყვასის დაღუპვის მზადყოფნით პროვინცია დედაქალაქებს არ ჩამორჩებოდა. „თქვენ ყოველდღე, ყოველ საათს გრძნობთ საფრთხეს, რომ შეიძლება დაიღუპოთ ვისიმე ფარული დასმენის, ცილისწამების შედეგად", – ასე აღიქვამდა ამ მოვლენას არა ვიღაც ლიბერალი, არამედ სახელმწიფო მოხელე – ცენზორი ა. ვ. ნიკიტენკო. მისი თანამედროვე სმოლენსკის გუბერნიიდან წერდა: „ბეზღის წერის ტრფიალნი ისე მომრავლდნენ, რომ უამრავი მოხელე დასჭირდებოდა მარტოოდენ იმას, ყველა ბეზღის ბარათი რომ წაეკითხა... ვინც ოდნავ მაინც იცის წერა-კითხვა, ახლა ბეზღის ბარათების წერაზეა გადასული".

არადა, რომ დაფიქრდე, ეს ხომ ვეგეტარიანული დრო იყო. რომელიმე მზარეულ ქალს ან კარისკაცს თავისი ბატონის პოლიციაში დაბეზღებაზე უარი რომ ეთქვა, ამას არავითარი განსაკუთრებული უსიამოვნება არ მოჰყვებოდა. არც უცხოეთში წასვლას აუკრძალავდნენ და არც სამუშაოდან გააგდებდნენ. მაგრამ უარს არავინ ამბობდა. რაღაც წინათგრძნობა უკარნახებდა: ისინი დაბადებული არიან სხვა, არა იმ ხვედრისათვის, რომელიც ერგოთ – კარი უღონ და საჭმელი უკეთონ სტუმრებს. თითქმის ათი წლის შემდეგ ეს მოსაზრება ჩამოყალიბდება ფორმულად: „ყოველმა მზარეულმა ქალმა უნდა ისწავლოს სახელმწიფოს მართვა"...

*ეს პავლე პეტრეს ძეა. უყვარდა ბეზღი. მაგრამ ერთი ავისმდომი არ დაუბეზღეს და სწორედ იმან გამოასალმა წუთისოფელს.*

* * *

ერთი ინგლისელი მოგზაური პეტერბურგში სეირნობისას მივიდა იმ ადგილზე, სადაც ბაგირის ფაბრიკა შენდებოდა. მშენებლობის ამბავი ქალაქში ყველამ იცოდა, მასზე ხშირად წერდნენ გაზეთები. მაგრამ, როდესაც საუბრის დაწყებას ცდილობდა და მშენებლებსა და გამვლელებს ეკითხებოდა, აქ რა ექნებათ, ყველანი პირშეკრულებივით ერთხმად უპასუხებდნენ:

– ეს იცის მხოლოდ უფალმა და მეფემ!

ამ ეპიზოდმა განაცვიფრა ინგლისელი: არსად და არასდროს არ ენახა, ხალხს ასე შინებოდა რაღაცის დაუსჯელად თქმა.

**(დასასრული იქნება)**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 320.**

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით გვერდს უძღვებიან

**არჩილ მანჯგალაძე, კახა ძორიძე.**

შემოქმედი

# ვახტანგ კოტეტიშვილი – ქედუხრელი რაინდი-მეცნიერი

ვახტანგ კოტეტიშვილი ჩვენი საუკუნის კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელია; ის ერთ-ერთი დიდი მემკვიდრეა იმ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისა და ბრძოლის, რომელსაც სათავე დიდმა ილიამ და აკაკი წერეთელმა დაუდეს.

ვახტანგ კოტეტიშვილი იყო ერთი იმათგანი, რომელსაც თავისი დაპყრობილი ქვეყნის ბედი მოაზრებული ჰქონდა მსოფლიოს პროგრესული ერების არეალში და მთელი შეგნებით მტკიცედ იბრძოდა მისი განთავისუფლებისათვის. განგებიდან მომადლებული თანდაყოლილი ნიჭი და შრომისმოყვარეობა საშუალებას აძლევდა კულტურის ყველა სფეროში – თეორიულ და პრაქტიკულ მოღვაწეობაში – გაბრწყინებულიყო, როგორც მწერალი – ლიტერატურისმცოდნე; ეროვნული და ევროპული ქვეყნების ისტორიისა და ლიტერატურების მკვლევარი, ავტორი ფუნდამენტური გამოკვლევებისა ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში, სახვითი ხელოვნების დარგთა არა მხოლოდ თეორეტიკოსი, არამედ შემოქმედიც, მეცნიერული პოეტიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი და ყველა ამ თვისებასთან ერთად ვახტანგ კოტეტიშვილს ახასიათებდა მძაფრად გამოხატული ქართული ტემპერამენტი და ხასიათი, ადამიანისადმი თანადგომის გრძნობა და ეროვნული სიამაყე, მაღალი ესთეტიკური გემოვნება, მუსიკის, სიმღერისა და მოლხენის უნარი...

* * *

„შავი წიგნი“, რომელიც ვახტანგ კოტეტიშვილმა ჯერ კიდევ ოცდაერთი წლისამ, 1915 წელს დაწერა პეტერბურგში და მიუძღვნა შიო არაგვისპირელის შემოქმედებას, იწყება გალაკტიონის ცნობილი სტრიქონებით:

**ვის უნახავს შავი წიგნი,**
**წიგნი წითელ ასოებით,**
**დაწერილი სისხლის**
**წვეთით,**
**დაწერილი სასოებით.**

ეს ეპიგრაფი, თუ ღრმად ჩავუფიქრდებით, სავსებით გამოხატავს შიო არაგვისპირელის უძირო სევდასა და სულიერ ტკივილებს. იგი ესეია, რომელიც წიგნაკის სულ 29 ნახევარ გვერდს მოიცავს და დაწერილია ჭეშმარიტი პოეტის ერთი სულთქმით.

თქვენ გახსოვთ სათაურები შიო არაგვისპირელის ესკიზეტიუდებისა? – მიმართავს ავტორი მკითხველებს, – მაგრამ რა, შეიძლება არც გახსოვდეთ. ძალიან ხშირად, სათაურებზე უფრო, შინაარსი ახსომდება ადამიანს, მაშ, აბა ყური დაუგდეთ: „ეჰ, ჯანდაბას ჩემი თავი და ტანი“, „მხრებილა ავიჩნე“, „შემუსვრილი სამი მცნება“, – „ღმერთო, რა დაგიშავე?.. „ბეჩა, რადა მკლავ?“, „სულ ერთია“, „ეჰ, ესაა ჩვენი ცხოვრება“, „ბალღი ყოფილხარ“ და სხვ... სულ ასე შავად შეფერილი, სულ ასე სისხლით დაწერილი! თითქმის ამ სათაურებითვე შეგვიძლიან გავითვალისწინოთ გონი მისი შემოქმედებისა...

... ესაა ჩვენი ცხოვრება, – განაგრძობს ავტორი, – სადაც შემუსვრილია „სამი მცნება“, სადაც შავი კაცი ხელის მომკრელი განუწყვეტლად ხითხითებს და ხითხითებს, ხოლო ადამიანი კი, კაცთა ხროვა, ჰგოდებს სასოწარკვეთილი, „ვაი, ჩვენი ბრალიც“, „ღმერთო, დაილოცოს შენი სამართალიო“.

ასეთია მწერლის აზრით, ადამიანთა ცხოვრება...

ვახტანგ კოტეტიშვილი ხედავს, რომ არაგვისპირელმა შენიშნა კონფლიქტი ადამიანის სურვილებსა და რეალურ ყოფას შორის: „ადამიანს სურს გაიგოს პიროვნების მნიშვნელობა მსოფლიო სრბოლაში, სურს იხილოს მისი მძლეობა... მაგრამ... ადამიანო, დაცხრი, დაწყნარდი!.. – მოესმის „ყოველი მხრიდან, გეყოფა სიჯიუტე, კმარა!“.. და აქვე ინასკვება მწერლის სევდა“... (გვ. 4-5).

ვ. კოტეტიშვილის აზრით, XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში თუ ერთი მთავარი ჰანგი გაისმის და „ეროვნულმა დაჩრდილა ყველა სხვა მხარე... მხატვრულ მწერლობაში პირველი სიტყვა შ. არაგვისპირელმა თქვა და „ჩვენს მხატვრულ მწერლობაში ფილოსოფიურ მიმდინარეობას დაუდო სათავე. მან ადამიანის „შიშველი სული“ გაიხადა რკვევისა და ძიების საგნად... დიახ, – განაგრძობს კრიტიკოსი, – შიო არაგვისპირელი „შიშველი სულის“ მწერალია უმთავრესად“ და იგი აქ მიდის უკიდურეს პესიმიზმამდე, რადგან მას ჰგონია რომ „ბუნების მეფეა“, მაგრამ ვირიც კი ყროყინით დასცინის...

კოტეტიშვილის აზრით, არაგვისპირელის ნოველებში წინა პლანზეა ხორციელი სიყვარული და აქ განიცდის პშიბიშევსკის გავლენას; თუ გავითვალისწინებთ, რომ არაგვისპირელი სწავლობდა პოლონეთში, ეს გავლენაც გასაგებია...

„ერთი სიტყვით, – დაასკვნის ვახტანგ კოტეტიშვილი – შიო არაგვისპირელი უარყოფის მწერალია, მან მხოლოდ ნაკლნი შეიტანა თავის რეპერტუარში, რადგან ღირსება ვერაფერს ვერ ამოუჩინა“. რა თქმა უნდა, ბოლომდე ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ, რადგან არაგვისპირელს აქვს იმედიანი ნაწარმოებებიც, თუმცა მთავარი ისაა, რომ კოტეტიშვილს ჰქონდა უფლება მისი შემოქმედება „შავი წიგნით“ შეეფასებინა...

* * *

ვახტანგ კოტეტიშვილს აქვს საინტერესო წერილები ალექსანდრე ყაზბეგზე, ვაჟა ფშაველაზე, „მესამე დასზე“ და ა. შ. მას მიაჩნია, რომ ის დიდი მოძრაობა, რომელიც ჩვენში „მესამოციანებმა“ დაიწყეს, თანდათანობით ფართოვდებოდა, ახალ მიმართულებას იღებდა, უფრო მეტსა და მეტ სივრცეზე იმლებოდა და XX საუკუნის დასასრულისათვის, უკვე მასობრივ მოვლენად იქცევა; სახალხო მოძრაობა, – წერს იგი, – ჯერ კაბინეტებში დაიბადა, შემდეგ ინტელიგენციის ფართო წრეებს მოედო და ეხლა კი მუშათა კლასზე გადადიოდა. ამისდა მიხედვით იცვლებოდა მსოფლმხედველობაც, თეორიასთან ერთად ახალი პრაქტიკული ამოცანები ჩნდებოდნენ“ („ქართული ლიტერატურის ისტორია, მესამე ნაწილი, 1927, გვ. 137). აქ საინტერესო ისაა, რომ ვახტანგ კოტეტიშვილი 900-იანი წლებიდან ქართველი ერის სახალხო გამოსვლებს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ არა სოციალ-დემოკრატებს, არამედ ილია ჭავჭავაძის ეროვნულ-გამანთავისუფლებელ იდეასა და ხალხის „შეცვლილ ფსიქოლოგიას“ უკავშირებს.

ვახტანგ კოტეტიშვილი დიდი ერუდიციისა და ფართო ჰორიზონტის მეცნიერია; იგი თავისი ერის მომავალს წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთიანობაში ხედავს; ამიტომ იბრძოდა ქართული კულტურის ჰარმონიული განვითარებისათვის; ცნობილია, რომ როგორც რუსეთში, საქართველოშიც, ათიანი წლების II ნახევრიდან დაისვა კითხვა, თუ რა გზით უნდა განვითარებულიყო ქართული კულტურა, როგორი უნდა ყოფილიყო მისი ორიენტირი – დასავლური თუ აღმოსავლური?

ამ გზაზე, ისე როგორც რუსეთში, საქართველოშიც ზოგიერთი მწერალი უკიდურეს გზას ირჩევდა: ზოგი აღიარებდა დასავლეთს და ზოგიც აღმოსავლეთს; ვახტანგ კოტეტიშვილიც ისე როგორც გრ. რობაქიძე, გ. ქიქოძე და სხვ. აღმოსავლურისკენ იხრებოდნენ, მაგრამ ირჩევდნენ ევროპულისა და აღმოსავლურის ქართულთან შერწყმას...

განსაკუთრებით ინტენსიურად მუშაობს ვახტანგ კოტეტიშვილი ოციანი წლებიდან; ჩვენი ქვეყნის ანექსიამ, თითქოს ენერგია გაუსამკეცაო; პრესაში აქვეყნებს წერილებს და ესთეტიკურ-ლიტერატურულ სტატიებს ალექსანდრე ყაზბეგზე (1924), ივანე მაჩაბელზე (1924), ნიკო ლორთქიფანიძეზე (1925), ნიკო ნიკოლაძეზე (1928), ანტონ ფურცელაძესა და ეკნატე ნინოშვილზე (1929), გიორგი წერეთელზე (1930), ილია ჭავჭავაძესა და ხალხურ შემოქმედებაზე (1937), „ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ანთოლოგიაზე“ (1928), კულტურულ კავშირებზე (1929), ლევ ტოლსტოიზე (1928). ასევე ენერგიულად თარგმნის უოლტ უიტმენს, წერილებს ბეჭდავს სახვითი ხელოვნების დარგებში: კერძოდ, მხედველობაში მაქვს წერილი „ქართული ხელოვნებათმცოდნეობისათვის“ (1929), დავით კაკაბაძე (1925), თანამედროვე ქართული ხელოვნება (1926), ქართველ მხატვართა გამოფენა თბილისში (1925) და სხვ.

თუ გავითვალისწინებთ ვახტანგ კოტეტიშვილის ამ მრავალგანზომილებიან მუშაობას, როგორც ლიტერატურაში, ასევე სახვითი ხელოვნების დარგებში, ადვილი გასაგებია, რომ ჯერ კიდევ 1921 წელს აურჩევიათ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილედ, ხოლო შემდეგ 1930 წლამდე, როგორც ცნობილია, თავმჯდომარეობდა ქართველ მხატვართა კავშირს.

მაგრამ ჩემი დღევანდელი მოხსენების მიზანია, რამდენადმე მაინც წარმოვაჩინო ვახტანგ კოტეტიშვილი, როგორც პატრიოტი, პოლიტიკოსი და საბჭოური წყობილების წინააღმდეგ უშიშარი მებრძოლი: საქმე ისაა, რომ ჩვენი პრესა ჯერ კიდევ შეუსწავლელია და რამდენადაც ვიცი, ეს საკითხი გამუქებული არ არის:

მაგრამ ვიდრე ამ საკითხს შევეხებოდე, მინდა განვაცხადო, რომ მე არ ვიზიარებ დღესაც ოფიციალურ დონეზე გავრცელებულ მოსაზრებას იმის თაობაზე, თითქოს საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე საქართველოში წინააღმდეგობა და ბრძოლა ლეგალური თუ არალეგალური გზებით იყო და ის გაუგონარი რეპრესიები, რომლებიც დაიწყო ოციანი წლებიდანვე და გაგრძელდა 1990 წლამდე, ყოველთვის უსაფუძვლოდ მიმდინარეობდა: სხვათა შორის ამგვარი წერილი დაიწერა ვახტანგ კოტეტიშვილზე, რაც ძნელად გასაზიარებელია.

რა თქმა უნდა, აპატიმრებდნენ ისეთებსაც, რომლებიც არ იბრძოდნენ, მაგრამ აპატიმრებდნენ მათაც, რომლებიც იბრძოდნენ და ამ უკანასკნელთა შორის იგულისხმება ვახტანგ კოტეტიშვილიც.

ბევრისთვის ცნობილი არ არის, რომ ვახტანგ კოტეტიშვილი იყო ერთ-ერთი ის ცხელი გული, რომელმაც საქართველოს ანექსიის პირველი დღეებიდანვე თავის თავს „პოლიტიკური მოღვაწე“ უწოდა, მოითხოვა „ქვეყნის ინტერესებისათვის“ მებრძოლთა შორის დგომა და „მსხვერპლად შეწირვა“...

1921 წლის 16 ივნისის გაზ. „სოციალისტ ფედერალისტში“ იგი წერს:

„...დიახ, ამხანაგებო, ჩვენში ბევრი რამ მოხდა და ჩვენც ხმა უნდა ამოვეღო, ბევრი რამ, ალბათ, კიდევ მოხდება და ჩვენც ამ სადარაჯოს არ მოვცილდებით, რადგან ჩვენი გაგებით, პოლიტიკური მოღვაწენი რომ ვართ, იმიტომ ვართ, რომ ქვეყნის ინტერესებს დარაჯად დავუდგეთ და ყოველგვარი მსხვერპლი პირველად ჩვენ გავიღოთ“.

ცნობილია, რომ გასაბჭოების დღიდან საქართველოში უნებართვოდ და უბოდიშოდ შემოდიოდა სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიური მრწამსის ათიათასობით ადამიანი; 1922 წელს სომეხ ლტოლვილთა რიცხვმა 20.000 მიაღწია, მათ ემატებოდნენ ვოლგისპირეთის დამშეულები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები... ლტოლვილები მოდიოდნენ რკინიგზით, ზღვით, საქართველოს სამხედრო გზით (ლ. თოიძე), აღსანიშნავია, რომ 1922 წლის აღწერით აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში ქართველთა რიცხვი მხოლოდ 36,5 პროცენტია, თბილისში 34,6 პროცენტი, მაშინ, როცა ერთი არამკვიდრი მოსახლეობის რაოდენობა აღმოსავლეთ საქართველოში 38,1 პროცენტს შეადგენს, თბილისში კი 36,5 პროცენტს.

ეს ვითარება აუტანელი შეიქმნა ეროვნული ინტელიგენციისათვის და, როგორც მოსალოდნელი იყო, ხმა აღიმაღლა, სხვებთან ერთად, ვახტანგ კოტეტიშვილმაც: „კარგა ხანია, – წერს იგი, – რაც თბილისი ბაბილონად არის გადაქცეული. საბჭოთა რეჟიმამდეც ისე იყო თბილისის კარები ყოველმხრივ გაღებული, რომ ყველა მავნე, უსაქმური და „მყუდროების“ მაძიებელი არხეინად დაბრძანდებოდა ჩვენი დედაქალაქის ქუჩებში და ისედაც მძიმე ატმოსფეროს უფრო ამძიმებდა...

ვინ არ მოიყარა დღეს თავი თბილისში? სპეკულანტი, შარლატანი, შავრაზმელი, ქურდი, „დიდ რუსეთზე მეოცნებენი“, უვარსკვლავო და ვარსკვლავიანი ქართველთმოძულენი, პერმის თუ ვორონეჟის სათეატრო დასები, ნ. კიტოვას ოპერეტა, კოვნოელი „დელეცები“ და სხვ... ბაქო-ერევან-კავკავის რაიონები რომ არ ჩავაგდოთ სათავალაემი... ჩვენ ველით ტფილისის გაწმენდას და რათაც უნდა დაჯდეს, ეს საქმე წესიერად უნდა დავაგვირგვინდეს. „დღევანდელი ტფილისი საშინელია“ (მეთაური წერილი, „ტფილისი“, რომელიც გამოქვეყნდა გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტში“, 1921, 20 ივლისი).

ვახტანგ კოტეტიშვილი აქ არ გაჩერებულა, წერილში „ლტოლვილების შესახებ“ კატეგორიულად მოითხოვა, რომ საქართველოში დაკმაყოფილებულიყო ქართველი ხალხის პოლიტიკური უფლებები. „ქართველი ხალხი და ქართველობის სამსახური მთავრობისათვის უნდა შეადგენდეს არსებობის უმთავრეს პირობასო“, – წერდა.

სხვათა შორის, სწორედ ამ პერიოდში წერდა პეტრე მირიანაშვილი, მარქსმა თქვა: პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდითო, მაგრამ ის კი არ უთქვამს, საქართველოში შეერთდითო.

მაგრამ ვახტანგ კოტეტიშვილი იბრძოდა არა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიისა და საზღვრების დასაცავად, და ქართველი ერისათვის პოლიტიკური უფლებების მოსაპოვებლად, არამედ ჩვენი ხალხის განათლებისა და მშობლიური ენის განვითარებისათვის.

ოციანი წლების დასაწყისში საქართველოში იყო დაწესებულება „ГрузКаврость“, სადაც 900-მდე მოხელე მუშაობდა. მათგან განათლებისა და სოციალისტური კულტურის მუშაკთა კონფერენციაზე უნდა აერჩიათ 18 კაცი, მაგრამ სინამდვილეში არც ერთი ქართველი არ აირჩიეს“ (ანალოგიურად მიმდინარეობდა არჩევნები განათლების მუშაკთა კრებებზეც).

ამის გამო ვახტანგ კოტეტიშვილი პრესაში კითხვას სვამს: „ნუთუ ამას ვერ ხედავენ ის კომუნისტები, რომლებიც ამ კრებებს ესწრებიან?

თუ ხედავენ, ისე როგორ დაეცა საქართველო, ისე როგორ გაკონტრრევოლუციონერდა მათი სამშობლო, რომ რევოლუციის ისტორიულ ქვეყანაში, პროპაგანდისტების ამ დიდ კლუბში, საეჭვო პირები გვასწავლიან რევოლუციას?

როგორ? ქართველი რევოლუციონერები რუსეთში მეთაურობდნენ ყველა რევოლუციას და საქართველოში კი უნარი დავკარგეთ?

მეტად გამჭვირვალეა ის წითელი ქსოვილი, რომელსაც ბევრი იფარავს თეთრ, ყვითელ და შავ კანზე“ (გაზ. სოციალისტ-ფედერალისტი, 1921, 22 მაისი).

იგივე ავტორი ერთგვარად აჯამებს საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ-კულტურულ ვითარებას და წერს:

„ბევრი დაწესებულებიდან განდევნილია ქართული ენა, ბევრი დაწესებულება პირდაპირ უცხო, გუშინ მოსული უცნობი ელემენტების ხელშია ჩავარდნილი. საქართველოში ქართული კოლორიტი იკარგება და საქართველოს დედაქალაქში ქართველი მოქალაქე თავს უფრო შებორკილად და უუფლებოდ გრძნობს, ვიდრე რუსეთის რომელიმე ქალაქში. ქართული ხელოვნება აღარა ჩანს, რუსული კი პირდაპირ ქუჩაშია გამოჭრილი და პლაკატების სახით ჰკიდის. ქართული პრესა თუ ოპერა, უფრო სასტიკ ცენზურას განიცდის, ვიდრე რუსული“... (იქვე).

შემდეგ კიდევ უფრო კატეგორიულად განაგრძობს:

„კომუნიზმის იდეა კომუნისტების შემოსვლამდე კი არა, გაცილებით უფრო ადრე შეითვისა და შეიყვარა ქართველმა ხალხმა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის ხალხი გაჰყვეს ყველას, ვინც კი ამ სახელით მივა მასთან. ამაოდ უწოდებთ ამ ჩვენს მოთხოვნილებას შოვინიზმს, რაღა ის არის შოვინიზმი, რომ საქართველოში ქართული ენა გავაბატონო და არა ის, რომ საქართველოში რუსული ენა გაბატონონ“.

საქართველოს მშრომელი ხალხი აიტანს სიმშილს, სიცივეს, შავ ჭირს, თვით სიკვდილის წინაშეც კი არ შედრკება, მაგრამ თავისი ქვეყნის თავისუფლებას და დამოუკიდებლობას კი არ დათმობს არასოდეს. (გაზ. სოციალისტ-ფედერალისტი, 1921, 19 ივლისი).

აი, ასეთი იყო ვახტანგ კოტეტიშვილის ის ეროვნული და კულტურულ-პოლიტიკური პრინციპი, რომელსაც, როგორც თვითონ ამბობდა, ფიზიკურად ემსხვერპლა კიდეც.

დიდად საინტერესო იყო მისი გამოსვლა საქართველოს მწერალთა კავშირის პირველ ყრილობაზე (1926), სადაც მან გააკრიტიკა მარქსისა და ენგელსის დებულება: „პროლეტარიატი არას დაჰკარგავს გარდა თავისი ბორკილებისაო“ და ამ ფორმულის „რევიზიის“ საკითხი დააყენა. ამასთან, გარანტია მოსთხოვა ფ. მახარაძეს იმის გამო, რომ ყველა შემოქმედებით გაერთიანებას ერთგვარი უფლებები ჰქონოდა და პრივილეგია არც ერთი ასოციაციისათვის არ მიეცათ; თავის გამოსვლაში მან დაიცვა ქართული სიტყვა, ქართული ენა, რომელიც შერყვნილი იყო დაწესებულებებში, შერყვნილი იყო გარეთ, მაღაზიის აბრებზე და შერყვნილი იყო გაზეთებსა და აფიშებში; „ყველგან ილახება ქართული სიტყვა – განაცხადა მან, – ის დამახინჯებულია, ქართული მეცნიერება ერთი საუკუნის განმავლობაში ტყვეობას განიცდიდა, ჩვენ წართმეული გვქონდა საშუალება გვემსახურნა ქართული სიტყვისათვის“...

ამის გამო ვახტანგ კოტეტიშვილი მთელი კატეგორიულობით მოითხოვს: „დაარსდეს ქართული სიტყვის ერთგვარი აკადემია!“.

ამ სიტყვისათვის ვახტანგ კოტეტიშვილი ქართველ მწერალთა პირველმა ყრილობამ ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა.

* * *

ვახტანგ კოტეტიშვილის ასეთი გაბედული ბრძოლა მაგალითი იყო არა მხოლოდ თანამოკალმეთათვის, არამედ მთელი ხალხისათვის.

ჩვენ, მისმა მომდევნო თაობებმა, ღირსეულად უნდა დავაფასოთ ვახტანგ კოტეტიშვილის, ამ ქედუხრელი რაინდი-მეცნიერის თავგანწირვა!..

დრო გადის და ჩვენი სამშობლო დღითი დღე შედის მსოფლიო ფარვატერში და იმისათვის, რომ ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობა შევინარჩუნოთ, აუცილებელია წინ გვიძღოდეს ფანატიკოსი პატრიოტისა და მებრძოლი პოლიტიკოსის ნათელი სახე.

ვახტანგ კოტეტიშვილის კარ-მიდამოში მისი ძეგლი უნდა დაიდგას!..

**დავით თევზაძე.**

---

იუბილე



**დღეს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში 13 საათიდან სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთი“ და საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო, ქართულ-იტალიური ცენტრი „ჯოიტა“ და საქართველოს მშენებელთა ფედერაცია მართავს საქართველოს დამსახურებული მშენებლის, სახელმწიფო პრემიების ლაურეატის, მრავალი ორდენების კავალრის კარლო მორეტის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო რესპუბლიკურ თავყრილობას.**

**მოხსენებით კარლო მორეტის ცხოვრება და მოღვაწეობა გამოვა საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრი მერაბ ჩხენკელი. საქართველოს ამ დიდ პიროვნებას მოგონებებით გაიხსენებენ საზოგადოება „კოლხეთისა“ და საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ალექსანდრე კუჭუხიძე, იოსებ ხარატიშვილი, ირაკლი ციციშვილი, ვახტანგ დავითაია, მერაბ ნიკოლაიშვილი, დევი სტურუა, ნოდარ ჭითანავა, გივი კვიჟიძე, გურამ მირიანაშვილი, გოდერძი გვერდწითელი, ვახტანგ სიხარულიძე, თამაზ ჟორდანია, ვალიკო ჭელიძე, ომარ გოგია, ამირან დავითიძე, გივი ლობჟანიძე, თეიმურაზ ბაბუნაშვილი და სხვები.**

**დასასრულ გაიმართება დიდი კონცერტი.**

# იტალიელი კარლო მორეტი – საქართველოს მშენებელი

ისეთი არაჩვეულებრივი პიროვნების, როგორიც იტალიური წარმოშობის, მაგრამ დაბადებიდან დაწყებული მთელი თავისი არსით ჭეშმარიტად ქართველი დიდი ხუროთმოძღვრის, სიცოცხლეშივე ქართველ მშენებელთა პატრიარქად აღიარებული – კარლო მორეტის შესახებ, ყველაზე უფრო კარგად ის უნიკალური ძეგლები მოგვითხრობენ, რომელთა მშენებლობაშიც ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის 10-იანი წლებიდან ჭაბუკი ოსტატი და შემდგომში, 70-იანი წლების ჩათვლით დაოსტატებული ღრმად ერუდირებული დიდოსტატი ამ ძეგლების ჭეშმარიტი შემოქმედი მონაწილეობდა. ამიტომ ვიდრე ეს ძეგლები იარსებებენ, მის სახელს საქართველოში დავიწყება ნამდვილად არ უწერია.

ჩვენი აზრით, ამ მადლცხებული და დაუჯერებლად ხელხვავიანი პიროვნების შესახებ უნდა ითქვას, რადგან ჯერ ერთი; მისი ცხოვრების მაგალითი ახალგაზრდა თაობებისათვის საუკეთესო ნიშანსვეტი იქნება იმისა, თუ როგორ უნდა უყვარდეს ადამიანს თავისი სამშობლო, თავისი საქმე და მეორეც, მისი უმდიდრესი გამოცდილების გადმოცემა, რომელიც ისევ და ისევ თავისი სამშობლოს – საქართველოს ეროვნული სიმდიდრის გამრავლებასა და მისი ძლიერების საქმეს მოემსახურება.

კარლო მორეტი, თავისი იტალიური წარმოშობის მიუხედავად, საქართველოს უცილობლად თავის სამშობლოდ თვლიდა და მისი დღედაღამ მუხლჩაუხრელი შრომისა და ქართული ეროვნული ძეგლების შექმნით გატაცების გამო, ერთხელაც არ ჰქონია ბედნიერება ფეხი დაედგა თავისი მორეული წინაპრების მიწაზე, ერთხელ მაინც შეეხედა იტალიის ბუნებისათვის, მისი ცისათვის, აღექვა ამ ანტიკური ქვეყნის უნიკალური ძეგლები ნატურაში, თუმცა, მათ ლიტერატურიდან ისე კარგად იცნობდა, წარმატებით იყენებდა თავისი მშენებლობის პრაქტიკაში იტალიური მშენებლობის ტექნოლოგიის საფუძვლებს. აკადემიკოსი ირაკლი ციციშვილი მიუთითებს, რომ „ქართული ისტორიული ძეგლებისადმი კარლო მორეტის ინტერესი და სიყვარული მისი, როგორც დიდი ხუროთმოძღვრის, თანდაყოლილი თვისებაა“. ასევე სამართლიანად აღნიშნავდა თანამედროვეობის დიდი არქიტექტორი – ალექსი შჩუსევი, რომ: „კარლო მორეტი ერთი იმ პირველთაგანია, ვისაც მე ვიცნობ ქართველ შემოქმედთა შორის, რომელსაც მთრთოლვარედ უყვარს უძველესი ქართული ხუროთმოძღვრების ეროვნული ფორმები და კლასიკური ტრადიციები და წარმატებით იყენებს მას თავის სამშენებლო პრაქტიკაში“...

იგი დაიბადა 1899 წელს თბილისში, ქვისმთლელის, მარმარილოსა და მოზაიკის ოსტატის – ბიაჯიო მორეტის ოჯახში, რომელიც თავისი ბრიგადით XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში მონაწილეობდა თბილისის ოპერის თეატრის, ხოლო XX საუკუნის დასაწყისში რუსთაველის გამზირზე ქაშვეთის ეკლესიის მშენებლობაში.

ბიაჯიო მორეტი დაბადებული იყო იტალიის ქალაქ უდენში, ხოლო კარლოს დედა – კატერინა იორიო, ლესალოში (პიემონტის პროვინციაში), რომლებიც სამუშაოს საძებნელად სხვადასხვა დროს იყვნენ ემიგრირებული საქართველოში. აქ შეხვდნენ ისინი ერთმანეთს და შექმნეს ოჯახი... მათ ბინაში ყველაზე თვალსაჩინო ადგილზე ეკიდა იტალიის ეროვნული გმირის ჯუზეპე გარიბალდის პორტრეტი..

ბევრ თბილისელს დღესაც ახსოვს რუსთაველის გამზირზე მოსიარულე (იგი ლადიძის წყლების თავზე ცხოვრობდა), შესანიშნავი, ბრგე, მკვიდრად შეკრული და სანდომიანი სახის მქონე ვაჟკაცი, რომელიც მთელი თავისი გარეგნობით კეთილშობილებას, კეთილგანწყობილებასა და ძლიერ ნებისყოფას ასხივებდა და დიდი შინაგანი ძალითა და ადამიანური ხიბლით გნუსხავდა. კარლო მორეტის მსგავსი დიდი ქართველი პატრიოტები ცოტანი თუ არსებობდნენ...

ის პერიოდები, როცა კარლო მორეტი მოღვაწეობდა, საქართველოსთვის რთული და წინააღმდეგობრივი ხასიათისა იყო. ჯერ იყო პირველი მსოფლიო ომი, შემდგომ სამოქალაქო ომითა და რევოლუციით გამოწვეული ნგრევა, ხოლო ოცდაათიანი და ორმოციანი წლების საქართველოსთვის მძაფრი აღმშენებლობა. ამ დროისათვის საქართველოში უცნობი იყო ისეთი ცნებები, როგორიც ინვესტიციები, ტენდერები, კამდესიუსა და ვულფენსონის გრანტები და სხვა გახლავთ. იმ პერიოდში ქართველი ხალხი თვითონ აშენებდა თავის სამშობლოს. ქმნიდა და ავითარებდა ეროვნულ ეკონომიკას...

იმ პერიოდის ჭეშმარიტმა აღმშენებლობითმა ენთუზიაზმმა, მასობრივმა შემოქმედებითმა აღტყინებამ ამ მასშტაბური პატრიოტული მოძრაობის ნიჭიერი მეთაურებიც წარმოაჩინა, რომელთა შორის თავიდანვე გამორჩეული ადგილი ეკავა კარლო მორეტს – დიდ მშენებელს, მხატვარს, ორგანიზატორს, ჭეშმარიტ შემოქმედსა და ახალგაზრდობის აღმზრდელს.

დღეს ვიხსენებთ კარლო მორეტს, როგორც უმაღლესი რანგის პროფესიონალს, რაც საქმის ზედმიწევნით ცოდნასთან ერთად უდიდეს პასუხისმგებლობას, მაღალ დისციპლინასა და იმის უნარსაც გულისხმობდა, რომ ყოველთვის, ნებისმიერ სიტუაციაში ემუშავა თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმით.

მისი ბინა, წიგნები, სურათებით სავსე ალბომები, რომლებიც სხვადასხვა სამშენებლო ობიექტების მშენებლობის ეტაპებს შეიცავდნენ, მაშინვე საინტერესო საუბრისათვის განაწყობდა მასთან მისულ ადამიანებს და ისიც უმეტესად უყვებოდა ამ ობიექტების მშენებლობის შესახებ ქართველს – წმინდა ქართული ენით (იმ ენით, რომლითაც საუბრობდნენ XX საუკუნის დასაწყისში, ილია ჭავჭავაძის ენით), რუსს – რუსულად, რომელსაც ასევე ბრწყინვალედ ფლობდა, აზერბაიჯანელს – აზერბაიჯანულად, სომეხს – სომხურად, გერმანელს – გერმანულად და იტალიელს – იტალიურად. მოგიყვებოდათ დღენიადაგ შრომასა და რუდუნებაში გატარებულ დღეებზე, იმ ობიექტების მშენებლობის შესახებ, რომლებიც უკვე საქართველოს მშენებლობის ისტორიის განუყოფელი ნაწილი გამხდარიყო.

ამ სტატიის თანაავტორს ახსენდება 60-იან წლებში საქართველოში გერმანიიდან, ლაიფციგის სამშენებლო ინსტიტუტის რექტორის ფიდლერ კურტისა და დოქტორ ვოლფგანგ შალენის მასთან სტუმრობა და მათი აღტაცება კარლო მორეტის მიერ ახალი და უძველესი ქართული არქიტექტურული ძეგლების მისეული აღწერით (იგი მათ გიდობას უწევდა გელათის, ბაგრატისა და სვეტიცხოვლის დათვალიერებისას). ასევე გაოცებულნი დარჩნენ ისინი კარლო მორეტის გერმანული გოთური სტილის ძეგლების მისეული აღწერითაც, რითაც მათ ბევრი სიახლე გაიგეს მისგან.

ფიდლერ კურტმა – ლაიფციგის სამშენებლო ინსტიტუტის რექტორმა, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დათვალიერების შემდეგ შთაბეჭდილებათა წიგნში შემდეგი ჩანაწერი გააკეთა – „მთელი სიცოცხლის მანძილზე დაუვიწყარი იქნება ჩემთვის უძველესი კულტურისა და თანამედროვე სამშენებლო პროგრესის პრაქტიკის შესანიშნავი ძეგლების გაცნობით და ხუროთმოძღვრების ქართველი კლასიკოს-პატრიარქთან კარლო მორეტთან რამდენიმე დღის მანძილზე ურთიერთობით გამოწვეული ესთეტიკური სიამოვნება“.

მეტად საინტერესოა თანამედროვეობის უდიდესი არქიტექტორის, ფინური დიზაინის მამამთავრის ალვარო აალტოსა და კარლო მორეტის შეხედულებების თანხვედრა ხუროთმოძღვრების დანიშნულებასა და მიზნებზე. ამ ორ დიდ შემოქმედს სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტიათ ერთმანეთთან მეგობრული მიწერ-მოწერა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ალვარო აალტოც კარლო მორეტის თანატოლია და მასაც წელს შეუსრულდა 100 წელი. რაც მალზე ფართოდ აღნიშნა ფინეთის საზოგადოებრიობამ. ალვარო აალტოს იუბილე ერთ თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა და იგი აღინიშნა, როგორც ჰელსინკში, ასევე სხვა ქალაქებშიც. საგაზეთო სტატიის ჩარჩოები ვერ დაიტევს ჰელსინკში, ტაპიოლასა და ლასტში კარლო მორეტისა და ალვარო აალტოს მეტად საინტერესო შეხვედრების შესახებ საუბარს, რომლებიც შემდეგ მათ მტკიცე მეგობრობაში გადაიზარდა, მაგრამ მაინც გვინდა მოვიტანოთ ალვარო აალტოს სიტყვები მათი ჭეშმარიტი მეგობრობის მიზეზის შესახებ: „სიმეტრია და თავისუფალი ხაზები, ბუნებაში უხეში ჩარევის გარეშე, ხუროთმოძღვრული ძეგლების ბუნებასთან თანაარსებობა, აი ის საერთო, რაც მე და თანამედროვეობის დიდებულ მშენებელს – კარლო მორეტს, ასე გვაახლოვებს“.

კარლო მორეტმა წლების გაველის შემდეგ დიდებულად და მეტად საინტერესოდ აგვიწერა თავის წიგნში „საქართველოს მშენებლობებზე“ გერმანიისა და ფინეთის არქიტექტურული ძეგლები. ამავე წიგნშია აღწერილი მისი მონაწილეობით შექმნილი და ქართული ისტორიული არქიტექტურული ძეგლების აღწერა, რაც დიდებული სახელმძღვანელოა ქართველი მშენებლებისა და არქიტექტორებისათვის.

თბილისში აღზრდილი, ზრდადასრულებიდან სიცოცხლის ბოლო დღემდე საქართველოში მოღვაწე, ჩვენს ქვეყანაში და საერთოდ მსოფლიოში ფართოდ აღიარებული ხუროთმოძღვარი, წლების განმავლობაში იყო „თბილმშენის“, „საქკურორტმშენის“, „საქკვებმშენისა“ და სხვა რესპუბლიკური სამშენებლო ორგანიზაციების მმართველი და სწორედ მისი უშუალო ხელმძღვანელობით ქართველმა მშენებლებმა შექმნეს უნიკალური არქიტექტურული ძეგლები, რომლებითაც დამშვენებულია საქართველოს დედაქალაქი, მისი სხვა ქალაქები, საკურორტო ადგილები.

კარლო მორეტი იყო არა მარტო დიდი ხუროთმოძღვარი, არამედ დიდი და სამაგალითო ადამიანიც, წარმოშობით იტალიელი, მთელი თავისი არსებით ჭეშმარიტი ქართველი, საქართველოს სახელოვანი და დიდი პატრიოტი მოქალაქე.

საქართველოში იშვიათად თუ იყო და არის დღესაც ისეთი თვალსაჩინო და დიდი პიროვნება, რომელსაც კარლო მორეტის შესახებ თავისი მოსაზრება არ გამოეთქვას. აი, ამისი რამდენიმე მაგალითი:

**კანდიდ ჩარკვიანი:** „რა იქნებოდა თბილისი ჩვენი საუკუნის 30-60-იანი წლების შესანიშნავი შენობა-ნაგებობების გარეშე? ეს ჩვენი არქიტექტორებისა და მშენებლების დიდი დამსახურებაა, რომელთა შორისაც კარლო მორეტის წვლილი გადაუჭარბებლად უზარმაზარია“.

**ვასილ მჟავანაძე:** „კარლო მორეტი თავისი მოქალაქეობრივი მრწამსით უპატიოსნესი და ჭეშმარიტი ქართველი მამულიშვილია“.

**ედუარდ შევარდნაძე:** „კარლო მორეტის პიროვნება საქართველოს ყველა მამულიშვილის პატივისცემას იმსახურებს თანაბრად, აი, ვის უნდა მიბაძოს ყოველმა ჭეშმარიტმა პატრიოტმა“.

**ივანე ბერიტაშვილი:** „კარლო მორეტის გარეშე ქართული სამშენებლო მეცნიერების მიღწევებზე ლაპარაკი შეუძლებელია, რადგან იგი მშენებლობის პრაქტიკის ყველა სიახლის დანერგვის ინიციატორია“.

**კირიაკ ზავრიევი:** „კარლო მორეტის ღვაწლი ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების აგებაში, არქიტექტურაში, ახალგაზრდა თაობების აღზრდაშიც ფასდაუდებელია. რაც შემეხება მე, ყოველთვის სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ კარლო მორეტის მოწაფე ვარ“.

**მარკ გლატკინი:** „ქართულ ტრადიციებზე აღზრდილი კარლო მორეტი დიდი მოღვაწეა, დიდი შემოქმედია. მას უნდა უმადლოდეს ქართული საზოგადოება ეროვნული არქიტექტურის უზადო ძეგლების შექმნისათვის“.

და, მართლაც, ქართული საზოგადოება დიდად უმადლის, საქართველოს სახელოვან პატრიოტად ქცეულ კარლო მორეტს.

— ამ მადლიერების უტყუარი მაგალითია, კარლო მორეტის დაბადებიდან 100 წლისთავის აღნიშვნა, სწორედ მის მიერვე აქტიური მონაწილეობით რეკონსტრუირებული თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის შენობაში;

— ამ მადლიერების უტყუარი მაგალითია კარლო მორეტის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავად დღეისთვის გაზეთ „განათლება, მეცნიერება, ბიზნესისა“ და გაზეთ „მშენებლის“ საგანგებო ნომრების გამოშვება; უამრავი სტატია გაზეთებში „საქართველოს რესპუბლიკაში“, „თბილისში“, „სვობოდნაია გრუზია“ და სხვა.

— ამ მადლიერების უტყუარი მაგალითია კარლო მორეტის დაბადებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით ქართველთა მიერ საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში კარლო მორეტის საფლავის კეთილმოწყობა;

— ამ მადლიერების უტყუარი მაგალითია, კარლო მორეტის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ქართველ მეცნიერთა ჯგუფის მიერ ქართულ, რუსულ და იტალიურ ენებზე გამოსაცემად სქელტანიანი წიგნის მომზადებასა და გამოცემაზე ზრუნვა;

— ამ მადლიერების უტყუარი მაგალითია კარლო მორეტის ხელმძღვანელობით აგებულ უნიკალური ძეგლებისა და შენობებისათვის დედაქალაქის მიერ სპეციალური სახელობითი მემორიალური დაფების დამზადებისა და დედაქალაქის ერთ-ერთი ქუჩისათვის კარლო მორეტის სახელის მიკუთვნებისათვის ზრუნვა.

იმისათვის, რომ სწორად იქნეს გაგებული კარლო მორეტის, როგორც ქართველი ხუროთმოძღვრის უზადო ფენომენი, საჭიროა მისი ბიოგრაფიის წარმოჩენა. ალბათ, დადგა დრო დაიწეროს წიგნი კარლო მორეტის შესახებ. ამ წიგნში ასახვა ჰპოვოს ამ დიდებული პიროვნების ნაღვაწმა და მისმა მდიდარმა შინაგანმა სამყარომ.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ, აგრეთვე, არქიტექტორთა კავშირს, თბილისში კარლო მორეტის ძეგლის დადგმის შესახებ მის მიერვე გაშენებულ ვაკის პარკში.

კარლო მორეტის პატივსაცემად კიდევ ბევრი სხვა ღონისძიების გამართვაა გათვალისწინებული და გააზრებული საქართველოსა და დედაქალაქის ხუროთმოძღვართა, მშენებელთა და მეცნიერთა მიერ, რაც ჩვენი საზოგადოების მიერ ამ შემოქმედის ღირსეული დაფასების კონკრეტული გამოხატულება იქნება.



**ალექსანდრე კუჭუხიძე,**
სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთის“ და ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი;

**დევი სტურუა,**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

**შოთა ფუთურიძე,**
საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, საინჟინრო-ეკონომიკური ინსტიტუტის პროფესორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩრდილოეთით

# ლატვია მსოფლიო სივრცეში

**საქართველოში ლატვიის რესპუბლიკას წარმოადგენს არა სახელმწიფო დიპლომატიური სამსახური, არამედ საპატიო კონსული. საკონსულოს მმართველობა საქართველოს მოქალაქეს რეგინა იაკობიძეს ევალება, რომელიც წარმოშობით ლატვიელია. 1997 წლის აგვისტოდან იგი საქართველოში ლატვიის საპატიო კონსულის მოვალეობას ასრულებს. საპატიო კონსულის დიპლომატიური სტატუსით სარგებლობენ ის ქვეყნები, რომლებსაც არ გააჩნიათ ფინანსური შესაძლებლობები ბიუჯეტის ხარჯზე შეინახონ სრულფასოვანი საელჩოები.**

ლატვია ბალტიის ზღვისპირა სახელმწიფოა, დედაქალაქი – რიგა, ტერიტორია 64,6 ათასი კვადრატული კილომეტრი, მოსახლეობის რაოდენობა 1997 წლისათვის – 2,5 მილიონი იყო.

ლატვია – ახალგაზრდა სახელმწიფოა, 1918 წლის 18 ნოემბერს იგი რესპუბლიკად პირველად გამოცხადდა. ეს დღე დღემდე ლატვიის დამოუკიდებლობის დღედ ითვლება, ამიტომ, წელს ლატვიის დამოუკიდებლობის 81 წლისთავს ვიზეიმებთ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის მიერ ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ოკუპაციის ფაქტის აღიარების აქტიურმა მოთხოვნამ საფუძველი დაუდო საბჭოთა კავშირის დაშლას, რადგანაც პირველად გახმოვანდა საბჭოთა კავშირიდან კანონიერად გასვლის შესაძლებლობის იდეა. ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმა საბჭოთა კავშირიდან გასვლა, იურიდიულადაც და ფაქტობრივადაც, სხვა რესპუბლიკებზე ადრე შეძლეს.

ლატვიამ დამოუკიდებლობის მეორედ მოპოვების პირველივე დღიდან ევროსაბჭოში და ნატოში გაერთიანების კურსი აიღო. ლატვიელები სწორედ ამაში ხედავენ თავიანთი დამოუკიდებლობის შენარჩუნების გარანტიას. რუსეთი კვლავ რჩება ლატვიისათვის ყველაზე მსხვილ პარტნიორად გარე ეკონომიკურ მოღვაწეობაში. მდგომარეობა ოდნავ შეცვალა რუსეთის 1998 წლის 17 აგვისტოს ფინანსურმა კრიზისმა, რომელმაც რუსეთის ბაზარზე ლატვიის პროდუქცია არაკონკურენტუნარიანად აქცია. დაზარალდნენ ლატვიის ბანკებიც.

თუ ლატვიის მთლიანი საერთო პროდუქციის ზრდის ტემპი 1997 წელს იყო 8,6 პროცენტი, 1998 წლის მეორე ნახევარში შექმნილი პირობების გამო 3,6 პროცენტამდე დაეცა, ხოლო 1999 წელს იგი შეიძლება შეადგენდეს მხოლოდ 2 პროცენტს. ამ კრიზისის შედეგად ლატვიაში საგრძნობლად გაიზარდა რეგისტრირებულ უმუშევართა რიცხვი, 1999 წელს კი – დასაქმებულთა საერთო რაოდენობიდან 10 პროცენტს მიაღწია.

თუმცა ლატვიამ მაინც გაუძლო ამ კრიზისს, რაც მისი ეროვნული ვალუტის სტაბილურობაში გამოვლინდა. 1994 წლიდან ლატის კურსი დოლართან მიმართებაში თითქმის უცვლელია (1 დოლარი=0,6 ლატს) და ითვლება, რომ ინფლაცია წელიწადში 1 პროცენტსაც ვერ აღწევს.

ლატვია ამაყობს, რომ ბოლო წლების მსოფლიო ფინანსური კრიზისები – აღმოსავლეთის, ბრაზილიის, რუსეთის – არ იქცა მისთვის ფატალურად და განაგრძობს საბაზრო ეკონომიკის დასავლური მოდელის შექმნისაკენ მიმავალ კურსს, რომელიც კერძო საკუთრებაზე, კონკურენციასა და საგარეო ეკონომიკაში ლიბერალიზმის პრინციპზეა დამყარებული.

როგორც უნდა იცვლებოდეს ლატვიის მთავრობის შემადგენლობა, ევროკავშირისაკენ აღებული გეზი პრიორიტეტულად რჩება. 1991 წლის 27 აგვისტოს ეროგაერთიანებამ ლატვიის დამოუკიდებლობა ოფიციალურად სცნო, ხოლო 1992 წლის 1 იანვარს ბალტიის ქვეყნები – ლიტვა, ლატვია და ესტონეთი PHARE-ის პროგრამაში ჩართეს, რომლის ფუნქციაა ფინანსურად დაეხმაროს ევროკავშირში შესვლის ყველა კანდიდატ ქვეყანას. თუ ლატვია 2000 წლისათვის შეძლებს გარკვეული პირობების შესრულებას, ფინანსურმა მხარდაჭერამ შესაძლებელია 40-დან 70 მლნ ევრომდე მიაღწიოს წელიწადში.

1999 წლის 10 თებერვალს ლატვია მიიღეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრად.

ლატვიას დიდი იმედი აქვს, რომ 2000 წლის აგვისტოში მიიღებს მოწვევას ლისაბონის შეხვედრაზე და ევროკავშირში შესვლის ნებართვას. მაგრამ ევროკავშირში შესვლა დაკავშირებულია დიდ პრობლემებთან. პრობლემები აქვს არა მარტო ლატვიას და სხვა კანდიდატ ქვეყნებს, არამედ თვით ევროკავშირსაც, რომელიც ინსტიტუციონალურად არ არის მზად ასეთი მკვეთრი გაფართოებისათვის.

1996 წლის 29 მარტს ტორინოში მუშაობა დაიწყო ევროკავშირის ახალმა სტრუქტურამ – „სამთავრობათშორისო კონფერენციამ", რომელმაც უნდა მოამზადოს ევროკავშირი გაფართოებისათვის ცენტრალური ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ხარჯზე. ჯერჯერობით ამ კონფერენციის მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს არაოფიციალური აღიარება იმისა, რომ ევროკავშირი მხოლოდ ოცი ქვეყნის მიღებას შეძლებს (დღესდღეობით ევროკავშირში 15 ქვეყანაა).

სულ ცოტა ხნის წინათ ინგლისურმა ჟურნალმა „ეკონომისტმა" გამოაქვეყნა ევროკავშირში გაერთიანების პროგნოზი:

2003-2004 წ. წ. უნგრეთი, პოლონეთი, კვიპროსი;
2004-2005 წ. წ. ესტონეთი, მალტა, ჩეხეთი, ლატვია.
2005-2006 წ. წ. სლოვენია, ლიტვა, სლოვაკია.
2008-2009 წ. წ. ბულგარეთი, რუმინეთი.
2011-2012 წ. წ. თურქეთი (რომელსაც ევროკავშირი, როგორც კანდიდატს, ჯერჯერობით არ განიხილავს).

ლატვიის პრეზიდენტს ვაირა ვიკე-ფრეიბერგას, რომელიც მოვალეობის შესრულებას 1999 წლის 8 ივლისს შეუდგა, პირველივე დღეებში მოუწია სიმამაცისა და ნების გამოვლენა, როდესაც ხელახლა დასამუშავებლად გაგზავნა „კანონი სახელმწიფო ენის შესახებ", რომელიც მიღებულ იქნა სეიმზე მეორედ მოსმენის შემდეგ. ევროპული კომისიის ექსპერტები ამ კანონს არადემოკრატიულად მიიჩნევენ და თვლიან, რომ იგი დისკრიმინაციას უწევს ეროვნულ უმცირესობებს (ლატვიაში მათ ძირითადად რუსები წარმოადგენენ).

საქართველოში არის ლატვიელთა პატარა დიასპორა, რომელიც 150 ადამიანს ითვლის. ისინი გაერთიანებული არიან „AVE SOL"-ის საზოგადოებაში. ასე ჰქვია ლატვიელი სახალხო პოეტის იან რაინისის პოემას – „გაუმარჯოს მზეს!"

საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩვენ პრაქტიკულად არ ვერევით, სამაგიეროდ აქტიურად ვმონაწილეობთ ლატვიელებსა და ქართველებს შორის კულტურულ ურთიერთობაში.

ლატვიელთა საზოგადოებისათვის საქართველოში 1999 წლის ყველაზე დიდი მოვლენა იყო იული სტრაუმეს 125 წლის იუბილის დღესასწაული. სტრაუმე 16 წელი (1908-1923) მუშაობდა საქართველოში. ასწავლიდა ხატვას პედაგოგიურ სასწავლებელში, იყო კავკასიის კომიტეტის წევრი-მხატვარი, მან დახატა და შეაგროვა სპარსული ხალიჩების ორნამენტების კოლექცია. შემოიარა საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, დაღესტანი. იული სტრაუმემ გააფორმა სათავადაზნაურო ბანკის ინტერიერი. დღეს ეს საჯარო ბიბლიოთეკის I კორპუსია: ორნამენტები ბელეტაჟის ჭერზე, სამკითხველო დარბაზის შემოსასვლელი ხის კარი, კარადები, რომლებსაც დღეს წიგნების დასაწყობად იყენებენ, ი. სტრაუმემ გამოყენებითი ხელოვნების ექსპონატებისათვის შექმნა.

იული სტრაუმეს ეკუთვნის ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის საქართველოში შექმნის იდეა. იგი თვითონვე გახდა მისი დამფუძნებელი და ექსპონატების პირველი მიმწოდებელი.

ჩვენ მადლობას ვუხდით ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს, მადლიერნი ვართ მუზეუმის თანამშრომლებისა და, განსაკუთრებით, მისი დირექტორის დავით კიკნაველიძის, რომელიც გვეხმარებოდა იული სტრაუმეს იუბილის მოწყობაში.

მუზეუმში მომზადდა ლატვიელი მხატვრის ნამუშევრების გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო მისი 96 ნამუშევარი. ორი მათგანი წარმოდგენილი იყო პარიზში 1925 წელს. ამ ხალიჩებმა დაიმსახურეს მთავარი პრიზი და პარიზის გამოფენის ოქროს მედალი.

1999 წლის 11 და 12 ივნისს მუზეუმის ბაზაზე გაიმართა სტრაუმეს მემკვიდრეობისადმი მიძღვნილი კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ ქართველი ლატვიელები, რუსები, პოლონელები, სომხები, ქართველები, სტუმრები რიგიდან და მოსკოვიდან. შეიძლება ითქვას, რომ სტრაუმეს წყალობით ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი აღსდგა ახალი ცხოვრებისათვის.

ლატვიელები და თვით სტრაუმე იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ საქართველო, რადგან საქართველოში მმართველობა ხელთ იგდეს ბოლშევიკებმა და ძალით შეიყვანეს საბჭოთა რუსეთში.

მას შემდეგ სტრაუმე არაერთხელ დაბრუნდა საქართველოში, უკვე როგორც სტუმარი.

რიგაში 13 ივლისს ლატვიის გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმში იული სტრაუმეს საპატივსაცემოდ გაიხსნა გამოფენა, რომელსაც „AVE SOL"-იდან ექვსი კაცი დაესწრო. ამ გამოფენიდან გამომდინარე, საქართველოში დარჩა დიდი და საუკეთესო ნაწილი მხატვრის მემკვიდრეობისა.

რიგაში სტრაუმეს ნამუშევრების გამოფენა მოინახულა ქართულმა დიასპორამ, მისი დამფუძნებლის, ბატონ მარლენ მიქიანის ხელმძღვანელობით. გამოფენა მოინახულეს იმ ლატვიელებმაც, რომლებმაც საქართველო 90-იან წლებში დატოვეს. ამ ღონისძიების ორგანიზატორები საქართველოში ლატვიელთა საზოგადოება „AVE SOL"-ის წევრები იყვნენ. ჩვენ ვეწვიეთ ი. სტრაუმეს მუზეუმს ლატვიაში დრუვიენ იანუგუბენსკის რაიონში, სადაც ის დაიბადა, გაიზარდა და სწავლობდა. მუზეუმი ძველი სკოლის შენობაში მდებარეობს. ჩვენ უცნაურად მოგვეჩვენა, რომ მუზეუმის თანამშრომლებმა არაფერი იციან ი. სტრაუმეს ქართული პერიოდის შესახებ და ძალიან ვეცადეთ ამ მხრივ გაგვენათლებინა ისინი.

18 ნოემბერს დღესასწაული – ლატვიის რესპუბლიკის გამოცხადების დღე – ჩვენმა საზოგადოებამ ლატვიის საპატიო კონსულის ხელმძღვანელობით ხალხურ და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმში საზეიმოდ აღნიშნა.

**რეგინა იაკობიძე,**
ლატვიის საპატიო კონსული,
ლატვიის საზოგადოების „AVE SOL"-ის თავმჯდომარე.

**სურათზე:** 18 ნოემბრის დღესასწაულზე.

**შპს „ევკაზი" აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა პირებმა, გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: უზნაძის ქ. №4, ან დარეკონ ტელ: 94-39-09.**

**შპს „ევკაზის" სალიკვიდაციო კომისია.**

---

## ევროპის XII საჭადრაკო ჩემპიონატის წინ

# თქვენი სვლაა, დიდოსტატებო!

ქართული ჭადრაკის, განსაკუთრებით ჩვენი ქალების დიდებული მიღწევების კიდევ ერთ აღიარებად მიიჩნია საზოგადოებრიობამ ის ფაქტი, რომ ევროპის XII გუნდური ჩემპიონატის გამართვა, ევროპის საჭადრაკო კავშირის ძალისხმევით, ბათუმში გადაწყდა. არადა, ამ ასპარეზობის მასპინძლობის სურვილი ევროპის 13 ქალაქს ჰქონდა.

ევროპის საჭადრაკო კავშირმა და მისმა პრეზიდენტმა სლოვენიელმა ბორის კუტინმა ირწმუნეს, რომ აჭარის დედაქალაქი ღირსეულად უმასპინძლებდა „ბებერი კონტინენტის" უძლიერეს ვაჟთა და ქალთა გუნდებს და, როგორც ირკვევა, არცთუ უსაფუძვლოდ. შეჯიბრების ორგანიზატორებმა ყველაფერი იღონეს, რომ ამ ასპარეზობის ყველა მონაწილემ – მსაჯებმა, დელეგაციათა წარმომადგენლებმა, ჟურნალისტებმა თუ საპატიო სტუმრებმა თავი იგრძნონ კომფორტულ გარემოში, შემოქმედებისა და ნაყოფიერი მუშაობის, აგრეთვე დასვენების ყველა პირობა ჰქონდეთ. 400-მდე სტუმრის მისაღებად, ფაქტობრივად, მზად არის სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის აგებული სამსართულიანი ჭადრაკის სასახლე, მძლავრი კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი პრესცენტრი, დარბაზები მაყურებელთათვის, ოთახები – მსაჯებისა და მონაწილეებისათვის. ეს უკანასკნელნი იცხოვრებენ დიდებულ კომპლექს „ოაზისში", აგრეთვე, ქალაქის სასტუმროებში, სადაც მართლაც ოაზისში იგრძნობენ თავს და, სტუმართმოყვარე მასპინძლების ყურადღებით გარემოსილნი, ჩემპიონატის დღეებში 64 უჯრასთან დახარჯული ფსიქოლოგიური და ფიზიკური ენერგიის აღდგენას სრულფასოვნად შეძლებენ.

როგორც საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ იოსებ დიდებულმა განაცხადა, ამ ასპარეზობისთვის სპეციალურად დამზადდა საჭადრაკო ინვენტარი. გამარჯვებული გუნდებისა და საუკეთესო ინდივიდუალური შედეგების მქონე მოჭადრაკეებისათვის, ცალკეული საუკეთესო პარტიებისათვის, ყველაზე ორიგინალური კომბინაციისთვის, ტურნირის ახალგაზრდა მოჭადრაკეებისთვის სხვადასხვა ორგანიზაციამ სპეციალური პრიზები დააწესა. ჩემპიონატის გენერალური სპონსორი გახლავთ „საქართველოს დემოკრატიული აღორძინების კავშირი".

ტურნირზე მოელიან ევროპის ბევრ გამოჩენილ მოჭადრაკეს, ცნობილი გახდა ისიც, რომ რუსეთის გუნდი, ამ ქვეყნის ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელთა დაუდევრობითა და უგულისყურობით, მხოლოდ ახალგაზრდული შემადგენლობით იასპარეზებს. ამის მიუხედავად, ჩვენს ინტერესს აძლიერებს ის, რომ აქ ითამაშებს უდავოდ პერსპექტიული დიდოსტატი, ჩვენებური მიხეილ ქობალია.

რაც შეეხება მასპინძელი – საქართველოს ნაკრებ გუნდებს, ბათუმში იასპარეზებს ქალთა სამი და ვაჟთა ორი გუნდი.

სამწუხაროდ, გარკვეული მიზეზების გამო, ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონმა მაია ჩიბურდანიძემ ჩემპიონატში მონაწილეობაზე უარი განაცხადა, რაც ოქროს მედლებისთვის მებრძოლი საქართველოს ნაკრებისთვის უთუოდ მძიმე დანაკლისი იქნება. თამაშზე უარი თქვა ჭადრაკის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა დიდოსტატმა ზურაბ აზმაიფარაშვილმაც, რომელმაც ამ დღეებში გამართულ ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომაზე განაცხადა, რომ შეჯიბრების დღეებში საასპარეზოდ არ ეცლება.

ამდენად, ჩემპიონატში მონაწილე საქართველოს გუნდების შემადგენლობა ასე გამოიყურება: **ქალთა I გუნდი:** ნინო ხურციძე, ქეთევან არახამია, სოფიკო ნიკოლაძე; **ქალთა II გუნდი** (აჭარა): ნანა იოსელიანი, ნინო გურიელი, დიანა დარჩია; **ქალთა III გუნდი:** სოფიკო ტყემელაშვილი, ინგა ჭარხალაშვილი, მაია ლომინეიშვილი.

ვაჟთა ნაკრებ გუნდებში ითამაშებენ: გია გიორგაძე, ზურაბ სტურუა, გიორგი ყაჭეიშვილი, თამაზ გელაშვილი, გიორგი ბაღათუროვი, ბადურ ჯობავა, მიხეილ მჭედლიშვილი, გიორგი ბახტაძე, ალექსანდრე ყამაშვილი, ვალერი გაფრინდაშვილი, ოღონდ, რომელი მოჭადრაკე რომელი ნაკრების ღირსებას დაიცავს, ეს 27 ნოემბერს გაირკვევა.

ამრიგად, ბათუმი მზადაა დიდი საჭადრაკო ფორუმისათვის.

თქვენი სვლაა, დიდოსტატებო!

**ანზორ ბასილაია,**
**ვაჟა დანელია.**

---

## ღიმილის დოზა

# „რა მალე გარბის დრო!"

განთქმული დიდოსტატი სამუელ რეშევსკი გაოცებული დარჩა, როდესაც ერთ-ერთ ამერიკულ ტურნირში ახალგაზრდა ოსტატმა ჯეიმს შერვინმა არაფერი დაუთმო. იგებდა რეშევსკი, იგებდა შერვინიც. ტური ტურს მისდევდა, დიდოსტატმა კი ვერაფრით ჩამოიტოვა მეტოქე. დადგა მათი პირადი შეხვედრის დრო – მეტოქეებს კვლავ ერთნაირი ქულები ჰქონდათ.

– თქვენ რა, ამ ტურნირში ჩემს გასწრებას აპირებთ? – უთხრა პარტიის წინ რეშევსკიმ პარტნიორს, – დღეს მე მომიხდება თქვენი შეჩერება.

– პირიქით რომ მოხდეს?

– ეს მომდევნო 1000 წლის განმავლობაშიც კი არ მოხდება!

პარტია შერვინმა მოიგო. მან ველარ მოითმინა და რეშევსკის უთხრა.

– ხემი, რა მალე გარბის დრო!

---

## ხელბურთი

# ლიდერი პოზიციებს არ თმობს

საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა გუნდებმა ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე ჩაამთავრეს, ათი მატჩის შემდეგ 20 ქულით ქვეყნის უცვლელი ჩემპიონი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მართვე" ლიდერობს. ოთხი ქულით ნაკლები აქვთ თბილისელ არმიელებს. საგულისხმოა, რომ ზოოვეტის გუნდმა ათივე შეხვედრა წააგო.

ბომბარდირთა დავაში 133 ბურთით თბილისის ასკ-ს წევრი მიხეილ კერესელიძე დაწინაურდა. ელნარ ქარციევაძე (ბათუმის „მენავთობე") და გიორგი წიეწიევაძე („მამული"), შესაბამისად, 118 და 113 ბურთით მეორე-მესამე ადგილებზე არიან.

ორი წრის შემდეგ გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ – „მართვე" | 10 | 10 | 0 | 0 | 20 |
| ასკ (თბილისი) | 10 | 8 | 0 | 2 | 16 |
| ასკ (თელავი) | 10 | 5 | 0 | 5 | 10 |
| „მენავთობე" (ბ) | 10 | 4 | 0 | 6 | 8 |
| საუ – „მამული" | 10 | 3 | 0 | 7 | 6 |
| ზოოვეტი | 10 | 0 | 0 | 10 | 0 |

---

## ყოველი მხრიდან

### „თეთრები" იწყებენ, „წითლები" აგრძელებენ...

ჩოგბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის მესამე დღე დაიწყო „თეთრების" – რუსეთელ ევგენი კაფელნიკოვისა (2) და შვედ ტომას ენკვისტის (4) ორთაბრძოლით. მეტოქეები მშვენივრად იცნობენ ერთმანეთს. ამის ნათელი დადასტურებაა მათი შეხვედრების საერთო ანგარიშიც – 4:4. მორიგი მატჩი ძალზე პრინციპული იყო, ვინაიდან გამარჯვებული ჯგუფის ლიდერი ხდებოდა. თანაც თითქმის [illegible] ნახევარფინალში გასვლას. შეხვედრა 2 საათი და 5 წუთი გაგრძელდა და კაფელნიკოვის გამარჯვებით დამთავრდა 7:5, 3:6, 6:4.

„თეთრებს" მეორე წყვილში გერმანელმა ნიკოლას კიფერმა (6) შედარებით ადვილად დასძლია ამერიკელი ტოდ მარტინის (7) წინააღმდეგობა – 6:3, 6:3.

ახლა კაფელნიკოვმა, „თეთრებში" პირველი ადგილი რომ დაიკავოს, აუცილებლად უნდა დაამარცხოს ენკვისტი.

შემდეგ ასპარეზი „წითლებს" დაეთმოთ. მატჩი გვიან საღამომდე გაგრძელდა. ამერიკელმა ანდრე აგასიმ (1) კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმა. ამჯერად მან ბრაზილიელი გუსტავო კუერტენი (3) დაამარცხა – 6:4, 7:5.

**სურათზე:** მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი პიტ სამპრასი მორიგ გამარჯვებას ულოცავს ამჟამად პირველ ჩოგბურთელს ანდრე აგასის.

### წითელი ბარათი – სარეკორდო დროში

რეკორდი ათასნაირი არსებობს, ახლა მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ამ დღეებში მსოფლიო რეკორდების ნუსხა კიდევ ერთი ახალი მიღწევით შეივსო: ის ეკუთვნის იამაიკის ნაკრების თავდამსხმელს უოლტერ ბოიდს, შარშანდელი მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის მონაწილეს.

მიმდინარეობდა ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატის მესამე დივიზიონის გუნდების „სუონსისა" და „დარლინგტონის" შეხვედრა. ბოიდი შეცვლაზე გამოვიდა საფინალო სასტვენამდე 7 წუთით ადრე. მან ვერც კი მოასწრო თამაშის დაწყება, როცა მსაჯმა კლივ უილკოქსმა წითელი ბარათი უჩვენა მოწინააღმდეგე მოთამაშესთან უხეშობის გამო.

უნდა შევნიშნოთ, რომ ადრინდელი რეკორდი ამ „დარგში" ეკუთვნის „ბოლონიის" მოთამაშეს ჯუზეპე ლორენცოს. 1990 წელს „პარმასთან" ორთაბრძოლაში ის თამაშიდან გააძევეს მინდორზე ყოფნის მე-10 წამზე.

### სპეკულანტებს ციხე ემუქრებათ

სპორტულ შეჯიბრებების ბილეთებით ვაჭრობა მალე ძალზე საშიშ საქმედ იქცევა ჰოლანდიაში. ქვეყნის ძირითადმა ოპოზიციურმა პარტიებმა – ქრისტიანულ-დემოკრატიულმა მოწოდებამ და „მწვანე მემარცხენეებმა" – ჰოლანდიის პარლამენტის მეორე პალატაში განსახილველად შეიტანეს წინადადება, რაც ბილეთებით სპეკულაციისათვის დასჯის მკაცრი ზომების გამოყენებას მოითხოვს. მასში გათვალისწინებულია ძალზე დიდი ფულადი ჯარიმები, აგრეთვე თავისუფლების აღკვეთა ერთ წლამდე.

კანონპროექტის ავტორებს იმედი აქვთ, რომ მას გაისად, აპრილში მიიღებენ, ის ძალაში იქნება უკვე 2000 წლის ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატისთვის. მისი ერთ-ერთი მასპინძელი, ბელგიასთან ერთად, ჰოლანდიაა. როგორც წესი, ასეთი ტურნირები როგორც ევროპის, ისე სხვა ქვეყნების გულშემატკივართა დიდ მოზღვავებას იწვევს. მართალია, ბილეთები ეროვნულ ფედერაციებს უნაწილდება, მაგრამ ზოგიერთი მათგანი ვერ ახერხებს კუთვნილი რაოდენობის გამოსყიდვას, რის გამოც „შავ ბაზარზე" ბილეთების საკმაოდ მოზრდილი ნაწილი ხვდება. სპეკულანტები კი ყველაფერს აკეთებენ ფეხბურთით ხელის მოსათბობად.

---

## ფეხბურთი

# შინ და გარეთ

**ეროვნული და უეფას თასების გათამაშების მეთექვსმეტედფინალური მატჩები იშვიათი შედეგიანობით აღინიშნა. გაუწყებთ მათ შედეგებს:**

**საქართველოს თასი**
**(II რაუნდი).**

**აღმოსავლეთი ზონა.** „ლოკომოტივი-2" – **„ლოკომოტივი"** 1:3 (0:5),
**მსს აკადემია** – „არსენალი" 1:0 (0:0),
„ცხინვალი" – **„მერანი"** 0:1 (0:1),
„თბილისი" – **„ჭაბუკიანი"** 1:3 (1:0),
**ზოოვეტი** – „სიონი" 1:0 (2:1),
**„ვიტ-ჯორჯია"** – „იბერია" 2:3 (4:1),
„თორი" – **„დინამო"** 0:7 (0:7).
**დასავლეთი ზონა.** „მუქურა" – **„კოლხეთი"** (ფოთი) 1:6 (0:6),
„ოკეანე" – **„ბათუმი"** 0:1 (0:2),
„მეტალურგი" (ზესტაფონი) – **თსუ** 2:5 (1:1),
„იბერია-2" – **„სამგურალი"** 0:3 (0:3),
„სამეგრელო" – **„ტორპედო"** 0:4 (0:7),
**„გურია"** – „კოლხეთი" (ხობი) 3:0 (1:3).

**უეფას თასი**
**(I რაუნდი)**

„აიაქსი" – „მალიორკა" 0:1,
„რომა" – „ნიუკასლი" 1:0,
„ლიონი" – „ვერდერი" 3:0,
„გლაზგო რეინჯერსი" – „ბორუსია" 2:0,
„ლანსი" – „კაიზერსლაუტერნი" 1:2,
„დეპორტივო" – „პანათინაიკოსი" 4:2,
„პარმა" – „შტურმი" 2:1,
„სელტა" – „ბენფიკა" 7:0,
„ოლიმპიაკოსი" – „იუვენტუსი" 1:3,
„არსენალი" – „ნანტი" 3:0,
„სლავია" – „სტიაუა" 4:1,
„სპარტაკი" – „ლიდსი" (გადაიდო და 2 დეკემბერს სოფიაში გაიმართება).

# გაჭიანურებული დავა

უშედეგოდ დასრულდა გიორგი ქინქლაძის 1995 წლის ტრანსფერტიდან საკომპენსაციო თანხის გადახდასთან დაკავშირებით ხუთშაბათს შემდგარი მოლაპარაკება საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს" დირექტორთა საბჭოსა და საფეხბურთო კლუბ თბილისის „მრეტების" წარმომადგენლებს შორის.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილ შენობაში შემდგარ მოლაპარაკებას ესწრებოდა სფფ-ის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია.

როგორც ჩოლარიამ პრაიმ-ნიუსს უთხრა, თბილისის „დინამოს" მხრიდან პირველად ითქვა, რომ მზად არის კომპენსაცია გადაუხადოს „მრეტებს" იმ ორი წლისთვის (1990-დან 1992 წლამდე), როდესაც გიორგი ქინქლაძე „მრეტებში" ირიცხებოდა.

„დინამოს" წარმომადგენლობა ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ გიორგი ქინქლაძე „დინამოს" ბავშვთა საფეხბურთო სკოლაში აღიზარდა და მხოლოდ ამის შემდეგ თამაშობდა „მრეტებში".

მიუხედავად ამისა, „მრეტების" ხელმძღვანელობა თავის პოზიციაზე რჩება. და 1995 წელს განხორციელებული ტრანსფერტიდან, რომლის შედეგადაც ინგლისის „მანჩესტერ სიტიმ" გიორგი ქინქლაძეში თბილისის „დინამოს" 3 მილიონ 200 ათასი აშშ დოლარი გადაუხადა, 50 პროცენტს მოითხოვს.

ჩოლარიას თქმით, „დინამოს" ხელმძღვანელობის წინადადებას „მრეტები" უახლოეს დღეებში განიხილავს და 30 ნოემბერს ისევ სფფ-ის ყოფილ შენობაში თავის პოზიციას საბოლოოდ დააფიქსირებს.

„მრეტების" ხელმძღვანელობის მხრიდან „დინამოს" წინადადების უარყოფის შემთხვევაში, სფფ-ს ამ საქმის განხილვის ვადა ეწურება, ამიტომ ფედერაცია ოფიციალურად შეატყობინებს ფიფას, რომ მოლაპარაკებამ შედეგი ვერ გამოიღო და ფიფაც შემდგომში თავად განსაზღვრავს საკომპენსაციო თანხის რაოდენობას, – თქვა ჩოლარიამ.

**პრაიმ-ნიუსი.**

---

## ათლეტიზმი

# დედაქალაქის პირველობაზე

ახლახან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში გაიმართა თბილისის მოზარდთა და ჭაბუკთა პირველობა ძალისმიერ სახეობა აჭიმვაში, რომელშიც მონაწილეობდა თბილისის ათლეტური კლუბების 20-მდე წარმომადგენელი. ასპარეზობა მოეწყო 10 წონით კატეგორიაში. აი, გამარჯვებულნიც: ლაშა მეტრეველი – 52 კგ („ამირანი"), ჯაბა ხობნელიშვილი – 56 კგ („გლადიატორი"), კობა თოფურია – 60 კგ. („ამირანი"), ლევან ზირაქაშვილი – 67,5 კგ. („დიდომი"), გია ელიზბარაშვილი – 75 კგ („გლადიატორი"), ოთარ ბერანიძე – 82,5 კგ („გოლიათი"), ნიკა ბეჟაური – 90 კგ. („გოლიათი"), თემურ ბიბილაშვილი – 100 კგ („გოლიათი"), გია ველიაშვილი – 125 კგ („ამირანი"), ილია ბერძენიშვილი – 125 კგ („ამირანი").

ტურნირს უძღვებოდა საქართველოს ათლეტიზმის ფედერაციის მსაჯთა ბრიგადა მთავარი მსაჯის, უმაღლესი კატეგორიის არბიტრის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის გიორგი დარჩიასა და მეჯიბრების მდივნის, საქართველოს ათლეტიზმის ფედერაციის პასუხისმგებელი მდივნის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ელგუჯა კვიკვინიას ხელმძღვანელობით.

გამარჯვებულებს დიპლომები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.

**ნაზი გოგიშვილი,**
უმაღლესი კატეგორიის მსაჯი.

**სურათზე:** ასპარეზობის მონაწილეთა ჯგუფი.

ამ დღეებში ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ პორტლენდში დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი ათლეტიზმში. პროგრამაში იყო ძალისმიერი აჭიმვა და ამოწევა.

ჩვენგან ასპარეზობაზე ჩასვლა მოახერხა მხოლოდ ახალგაზრდა (20 წლის) მძიმეწონოსანმა ათლეტმა – გიორგი მინდიაშვილმა – შარშანდელმა მსოფლიო ჩემპიონმა 110 კგ-მდე წონით კატეგორიაში. ამჟამად გიორგი მისთვის ახალ აბსოლუტურ წონით კატეგორიაში ცდიდა ძალას. ამის მიუხედავად, მან საპატიო მეორე ადგილი მოიპოვა. მსოფლიო ჩემპიონი კი გახდა გამოცდილი ამერიკელი ათლეტი ბილ სტიუარტი.

**ზურაბ ჟავჟანიძე.**

**სპორტის რედაქცია.**

## ალბომი

### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



**სურათზე:** სენაკელი სერგო ჭავჭანიძე, თავის მეგობრებთან ერთად.
თბილისი, 1912 წ.

შემოგვეხმიანეთ, გამოგვიგზავნეთ ფოტოსურათები. დედნები დაგიბრუნდებათ. ტელ: 99-66-10.

## ღიმილის დოზა

ძალიან მსუქანი პაციენტი ექიმს ეკითხება:

რომელი ვარჯიშებია საუკეთესო გასახდომად?

ექიმი:

— გირჩევთ თავი მიაბრუნოთ ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ.

— რამდენჯერ?

— რამდენჯერაც ნამცხვარს შემოგთავაზებენ.

* * *

— ნახე ჩემი საცოლე? ფეხები ყურებიდან ეწყება.

— ვნახე; შენს საცოლეს ფრიად ანომალურად აქვს ყურები განლაგებული.

## შაბათი, 27 ნოემბერი

10.00 "დილის პაემანი". 11.30 "თბილისის დროით". 11.50, 15.50, 17.50 "უ-თუ-ოდ". 12.00 "უდანაშაულო დამნაშავე". 13.17 ზღაპარი პატარებისათვის. 13.30 "კლუბი-700". 14.00 "კვალი". 14.20 მუსიკა ეთერში. 14.40 მღერის გ. ანდღულაძე. 15.00 "ვესტნიკი". 15.15 "რეიტინგი". 15.30 "ახალი ქართ. პროექტი". 15.55 დოკ. პროგრამა. 16.20 "საქართველო და გარე სამყარო". 16.35 "ეძიე ქალი". 16.55 "რეგიონები". 17.15 "აბლა-ბუდა". 17.30 "ირაო". 18.00, 20.00, 0.00 მოამბე. 18.20 კონცერტი. 19.00 სტადიონი. 19.15 "საოჯახო ლოტო". 19.41 "ბასტი-ბუბუ". 20.45 "მაესტრო". 21.46 "მჯერა!" 22.20 "სრულიად საიდუმლოდ". 00.15 "ტერმინალი-72". 00.37 "ბოლერო".

19.00, 20.30 ინფორმაცია. 19.15 ჩიპო. 19.45 "ოაზისი". 20.00 ავტოსპორტი. 21.00 ჯაზ-სპრიტი. 21.25 ექსტრა. 21.40 ვარსკვლავები გვამცნობენ... 21.55 "უმანკოების ეპოქა". 00.05 ჰიტ-პარადი.

08.00, 11.00 მუსიკა. 09.00 კურიერი 09.10 მულტსერიალი 09.40 საბავშვო ფილმი 11.15 „სიმფსონები" 11.45 „ლუისი და კლარკი" 12.30 „სიყვარულის ერთგულება" 13.20 მხ. ფ. 18.00, 21.00, 00.40 კურიერი 18.15 „ლუისი და კლარკი" 19.10 ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა 20.05 „სიყვარულის ერთგულება" 21.50 „ბალღები". 00.50 „წითელი ფეხსაცმლის დღიურები" 01.30 ღამის ჯაზი.

**იბერია**

09.00, 19.00, 22.00, 00.15 ახალი ამბები 09.10, 20.25 „ბურთი და მოედანი" 09.25 „ქალაქი" 09.50 „ძველი პანგები" 09.55 „ყველა ჩემი შვილი" 10.40, 02.00 „ოვაცია" 10.50, 19.45 „სტუდია დიალოგი" 11.25 „ცხოველთა სამყარო" 11.35 „ულისეს მზერა" 14.30 დოკ. ფ. 14.55, 16.30, 17.25, 19.20 მუსიკალური ტალღა 15.00 „თოჯინები იცინიან" 16.35 ნახ. ფ. 16.55 „ფრთხილად, კარები იკეტება" 18.25 დოკ. ფ. 20.35 „ძველი პანგები" 21.10 „სახეები" 21.25 დოკ. სერიალი 22.35 „ველური, ველური დასავლეთი" 00.15 „ნოსტალგია" 00.30 „რვა თავი ერთ ჩანთაში".

12.00 მულტფილმი 13.20 „ჯუმანჯი" 15.00 „სასიკვდილო იარაღი" 17.00, 20.30, 00.00 „დღე" 17.30 ღვთიური სიტყვა რიკ რენესთან 18.00 მუსიკა 18.10 „სპორტი, სპორტი, სპორტი" 19.00 სტუდია „სპექტრი" 21.00 „ვარსკვლავები". 21.45 „სასტიკი თამაშები". 23.35 „ჯაზ-პარნასი" 00.15 მუსიკალური კალეიდოსკოპი.

**ევრიკა** 11.00 „სტუდია-25" 11.30 „ზღაპრის ტელედარბაზი" 12.00 „101 დალმატინელი". 13.40, 20.50, 23.15 მუსიკა 14.00 „ერალაში" 14.30 დოკ. ფ. 15.00 „თქვენი ადვოკატი". 16.00 „სფერო". 18.05 სცენის ოსტატები. 18.30 საბავშვო გადაცემა „სტილი". 19.00 „ფოლადის მაგნოლიები". 21.00 „სიყვარულის მსხვერპლი". 23.20 „ორასი სიგარეტი".

08.00 „ტონიკი" 10.30 „ჯერი მაგუაიერი" 12.50 მულტფილმი 14.10 „კათინო და მიმზიდველი" 15.30 კლიპ-მიქსი 18.00 მულტფილმი 19.00 „სიყვარული და სიკვდილი ლონგ-აილენდში" 20.35 „ჟანა დარკი" 22.10 „ჟანა დარკი" 23.45 „ლეონი". 01.55 ნონ-სტოპი.

09.00 ინფორმაცია „დილას" 09.15, 10.05, 21.10, 23.05, 23.40 მუსიკა 09.30 მულტფილმი 10.15 დოკ. ფ. 11.10 „ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან" 18.00 საინფორმაციო პროგრამა 18.15 მულტფილმი 18.50, 02.20 „დისქავერი" 20.30 საინფორმაციო პროგრამა 20.55 გადაცემა „ზნენია სამამაცონი" 21.30 „ნიღაბი" 23.20 დოკ. ფ. 00.00 საინფორმაციო პროგრამა 00.15 „მისი თამაში".

---

საქართველოს საზღვაო სავაჭრო ნავსადგური

# ბრძანება №1/4-472

„12" „11" 1999 წ.

**ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურში ცემენტის კლინკერის გადამუშავებაზე შეღავათიანი ტარიფის დაწესების შესახებ**

ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურში დამატებითი ტვირთის მოზიდვის მიზნით, აგრეთვე ქარხანა „რუსთავცემენტის" მომართვის გათვალისწინებით, საქართველოს ტრანსპორტის მინისტრის 1999 წლის 26 მარტის №20 ბრძანებით მინიჭებული უფლების საფუძველზე ვბრძანებ:

1. ცემენტის ნაყარი კლინკერის გადამუშავების სატარიფო განაკვეთი განისაზღვროს 2 აშშ დოლარის ოდენობით ყოველ გადამუშავებულ ტონაზე.
2. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში.

ბათუმის საზღვაო სავაჭრო
ნავსადგურის უფროსი
ჯ. ნინიძე.

---

### ჩემი თაობა

# მოგონებები გარდასულ დღეთა

სეზონი დავხურეთ თუ არა, თეატრის ადგილკომში მე, ნანა ბექუაშვილი და შოთა დალაქიშვილი გამოგვიძახეს. პროფკავშირიდან ტამისკარის უფროსკლასელთა ბანაკის სამი საგზური მოვიტანეთ, შვილებს არავინ გზავნის და იქნებ თქვენ წახვიდეთო.

ბანაკის ცხოვრებას, სამწუხაროდ, არცერთი არ ვიცნობდით და ამიტომაც შემოთავაზებული წინადადება სიხარულით მივიღეთ.

სამ ყელსახვევიან პიონერში (ძალიან გვინდოდა ბავშვებს დავმსგავსებოდით) თითქმის მთელმა ბანაკმა მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობები უმალვე შეიცნო, მაგრამ დირექტორს (იქაურ მკვიდრს) მსახიობის შვილებად, ანუ თბილისის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეებად წარუდგინა. 17-18 წლისანი ვიყავით, სცენაზე პიონერისა და კომკავშირელის როლები არ გვაკლდა, ამიტომაც 24 დღის განმავლობაში დირექტორთან თამაში არ გაგვჭირვებია. შოთა რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს, ნანა — ორგანიზატორად, მე — კედლის გაზეთის რედაქტორად, სპორტულ სექციას ხელმძღვანელობდა თბილისის 47-ე სკოლის უფროსკლასელი, რეჟისორობაზე მეოცნებე ნუგზარ ბოკუჩავა.

შეიკრა თანამოაზრეთა მეგობრული წრე. ჩვენი შემოქმედებითი თანამშრომლობის პროდუქცია სიამოვნებას ანიჭებდა როგორც სხვა ბანაკის პიონერებს, ისევე მოაგარაკეებს და ადგილობრივ მცხოვრებთაც.

ეს იყო განუმეორებელი, სიცოცხლითა და ხალისით აღსავსე დღეები, რომელიც თბილისშიც გაგრძელდა.

ერთხელ ნუგზარმა წყნეთში მიგვიწვია. რამდენიმე ტაქსით ავგრიალდით. მძღოლებმა რომ გვკითხეს, სად მიგვიყვანოთო, აღმოჩნდა, მისამართი არცერთმა არ ვიცოდით. უთავბოლო მგზავრები მანქანებიდან გადმოგვეაბრძანეს და იძულებული გავხდით, პროფესორ სერგო ბოკუჩავას აგარაკის ძებნაში ზემო და ქვემო წყნეთი ფეხით მოგვევლო. ნუგზარს გახსენებია, რომ მისამართი არავის გვეკითხავს და თავქუდმოგლეჯილი ტრასაზე დავშვებულა. ერთმანეთის ძებნით დაღლილ-დაქანცულებს (შეხვედრა საღამოს შედგა) მთელი ღამე არ გაგვენელებია ლექსების კითხვასა და სიმღერაში შეჯიბრების სურვილი.

სოფელი წყნეთი აღარ გაგვახსენოო, — ვუტეხდით ნუგზარს და ლაღიძის წყლის მაღაზიის თავზე, მისი კოპწია ბინისკენ მივიწევდით. გულიკო ჩაგანავა გულში ჩამწვდომი ხმითა და გიტარით გვატკბობდა, გურამ გაბუნია — პაროდიებით, კინოგადაღებიდან დაბრუნებული სოსო ბერძენიშვილი შთაბეჭდილებებს გვიზიარებდა, ნუგზარი ჩვენი თეატრების რეპერტუარზე მსჯელობდა.

მუსიკოსთა მრავალი თაობის აღმზრდელის, კონსერვატორიის ისტორიის კათედრის გამგის სერგო ბოკუჩავასა და მისი მეუღლის, კონსერვატორიის მედპუნქტის გამგის, ნადეჟდა კუჭუხიძის ოჯახში მუდამ ხალხმრავლობა იყო. აქ პოულობდნენ თავშესაფარს ბატონი სერგოს ხელმოკლე სტუდენტები, ჩვენ გვიხაროდა და გვეამაყებოდა იმ ჭერქვეშ ყოფნა, სადაც იკრიბებოდნენ გამოჩენილი მუსიკოსები, მხატვრები, მწერლები.

ასეთ ზნეკეთილ, სულიერად ამაღლებულ ადამიანთა შორის იზრდებოდნენ ჯონი, ნინო და ნუგზარი, ჯონიმ ვოკალური დაამთავრა, ნინომ — საფორტეპიანო, ნუგზარი კი (რადგან იმ წელს სარეჟისოროზე მიღება არ იყო) სამსახიობოზე მოეწყო.

ცოტა ხნით ჩვენი გზები გაიყარა, მაგრამ ამ გზაზეც თვალს ვადევნებდით ერთმანეთს. დღეს გურამ გაბუნია საქართველოს კონტროლის დეპარტამენტის ქვემო ქართლის რეგიონული ბიუროს უფროსია, ნუკრი ნაცვლიშვილი — პოლიტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, გულიკო ჩაგანავამ თავის და-ძმასთან (გულნაზ და ვაჟასთან) ერთად, ვინ იცის რამდენ ქვეყანაში, მაყურებლებით გაჭედილ რამდენ დარბაზს მოჰფინა თბილისური სიმღერების მადლი. დათო წერეთელი საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოადგილეა. ... გივი ალხაზიშვილი პოპულარული პოეტია, სოსო ბერძენიშვილი ცნობილი გეოლოგია და ა. შ. (ჩემი აზრით, თითოეული მათგანი იმსახურებს მკითხველთან ცალკე წარდგენას).

ნუგზარი თეატრალური ინსტიტუტიდან უნივერსიტეტში, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე გადავიდა. მალე ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში" გაჩნდა მისი ვრცელი, ღრმა და საფუძვლიანი პუბლიკაციები თეატრალურ, საოპერო და სახვით ხელოვნებაზე. გამომცემლობა „ხელოვნებასა" თუ პირველი მაისის რაიკომში, კინოსტუდიასა თუ კინოფიკაციის სამმართველოში მუშაობამ უფრო მეტად გააღვივა შემოქმედებითი ცეცხლი. ამის დასტურია შრომები, გამოკვლევები, მონოგრაფიები, ნარკვევები ჟურნალისტიკისა და ქართული კულტურის საკითხებზე, რომელსაც ნუგზარ ბოკუჩავა პერიოდულად აქვეყნებდა და დღესაც აგრძელებს ამ კუთხით მუშაობას. არიან ადამიანები, სავარძელში რომ „ჩაფუმფულდებიან", წარსული ავიწყდებათ, ნუგზარს კი დასავიწყებლად არც წარსული ემეტება და არც მეგობრები, რადგან მის პიროვნულ ღირსებებს ჩრდილი არასდროს დასცემია.

დღეს სახელმწიფო კანცელარიის საორგანიზაციო-სარედაქციო განყოფილების უფროსს რომ ვეკითხები — სახელმწიფო მოხელეობა არ მოგწყინდა-მეთქი, უკვირს — შენ ხომ იცი, მე ყველაფერს შემოქმედებითად ვუყურებ.

ასეა, ნუგზარს ერთგულების, სიყვარულის, აღმაფრენის გარეშე არსებობა ვერ წარმოუდგენია. ეს კარგად ვიცით ჩვენ — მისმა მეგობრებმა, იცის მისი ცხოვრების თანამგზავრმა რუსუდან ერისთავმა, შვილებმაც და პატარა მარიამმაც კი, რომელიც ბაბუას ინგლისურად ეტიტინება, ბაბუა კი მეგრულად უპასუხებს: სკანი გოლუაფირო!

**ლეილა კოშკაძე.**

---

### გვწერენ

## იხაროს თქვენმა ოჯახმა

ძვირფასო რედაქციავ, გთხოვთ, მომეცით საშუალება თქვენი გაზეთით უღრმესი მადლობა მოვახსენო ჩოხატაურის რაიონის გამგებელს ბატონ გია ცინცაძეს, რომელმაც გულთან ახლოს მიიტანა ჩემი ოჯახის გაჭირვება, და ყველაზე მძიმე პერიოდში უდიდესი თანადგომა გამიწია — მისი უშუალო დახმარებით აშკარა დაღუპვას გადაგვირჩა 2 წლის ბავშვი, რომელიც თავისი მანქანით სასწრაფოდ ქუთაისში გადაგვაყვანინა და იქაც ყურადღებას არ გვაკლებდა.

უღრმესი მადლობა, ბატონო გია, ასეთი გულისხმიერებისათვის, თანადგომისა და უანგარო დახმარებისათვის, რომელსაც ვერასოდეს დავივიწყებთ.

იხაროს თქვენმა ოჯახმა ისეთივე დიდი სიხარულით, როგორი სიხარულიც დღეს თქვენი წყალობით ჩვენს ჭერქვეშაა.

**ლიანა გუდავაძე,**
ჩოხატაურის რაიონი, სოფ. ზენობანი.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი შპს „პრესა-98"-მა ხელმისაწვდომ ფასებში ცალკე ბროშურად დასტამბა მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული კანონები:

**საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.**

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ბროშურის შეძენა შეუძლიათ: თბილისში — წიგნის მაღაზიებსა და სს „მაცნეს" საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე, უშუალოდ გამომცემელთან (თბილისი, მ. კოსტავას 14. ტელ: 93-26-33), დედაქალაქის ფარგლებს გარეთ კი - შპს „საქპრესის" საგაზეთო ჯიხურებში.

---

### იუბილე

# დღე სიყვარულისა და მადლიერებისა

## მარჯორი უორდროპის დაბადებიდან 130 წლისთავის გამო

ისტორიაში განსაკუთრებული მოვლენაა, როდესაც მთელი ქვეყანა, მთელი ერი უცხო ქვეყნის შვილს ისე გულითადად შეეგებება და შეიყვარებს, როგორც შეეგება და შეიყვარა XIX საუკუნის მიწურულის საქართველომ მარჯორი უორდროპი. ეს იყო სიყვარული სიყვარულის წილ, იმ უანგარო სიყვარულის წილ, რომლითაც მარჯორის და მის უფროს ძმას ოლივერს, ინგლისელ არისტოკრატთა ოჯახის ღირსეულ წარმომადგენლებს, უყვარდათ საქართველო და ქართველი ხალხი, ყოველივე ქართული. ამ სიყვარულს, ამ მეგობრობას უზარმაზარი რეზონანსი ჰქონდა და, შეიძლება ითქვას, რომ ეს მოვლენად იქცა ერის ცხოვრებაში. სენსაციად იყო აღქმული ქართულად დაწერილი ერთი პატარა ბარათი შორეული ინგლისიდან, უცნობი ქალიშვილის მიერ დიდი ილიას სახელზე გამოგზავნილი:

**„მოწყალეო ხელმწიფევ!**

ინგლისურად თარგმანი ვჰქმენ თქვენსა „განდეგილსა", რომელსა უკეთესისა ლექსისაა თქვენი მშვენიერი ენაში რომ მე ვკითხე, და რომელსა ქონება ყველას მწერლობას დიდება უნდა იყოს.

მე დიდი სურვილი მაქვს გავუზიარო ჩემს თანამემამულეთ ის სიამოვნება, რომელიც მე ამ ლექსმა მაგრძნობინა. ამისთვის ვკადრებ თხოვნა თქვენი ნება ეს ჩემი თარგმანი გამოცემად.

ესცადე სიტყვითი სიტყვითად მას გამოთქმა, მაგრამ ბევრი მისი მშვენიერება უნდა იყოს, საჭიროდ, დაკარგული უცხო თარგმანში.

ჩემი ძმა დიდი პატივი ქონდა, რაოდენიმე წელიწადნი უკან, ტფილისში, თქვენი გაცნობა ქმნა, და მე დიდი იმედი მაქვს, რომ მეც მაგასთან მალე მოვალ საქართველოში, ქვეყანა, რომელკენ მე გულწრფელი სიყვარული ვჰგრძნობ, და სურვილი მაქვს, რომ მერე მე შევძლებ პირ და პირ გამოთქმა უღრმესი პატივისცემა თქვენის ნიჭისათვის და დიდებულის მსახურობისათვის მიცემული თქვენგან ძველებურს მეგობას საქართველოსათვის.

მე ვარ, ბატონო, მომლოდინე ჩემთვის სასიხარულო ნებისა თქვენი პატივისმცემელი, **მარჯორი უორდროპი**".

მარჯორის თვითნასწავლი ქართულით აღფრთოვანებულმა ილია ჭავჭავაძემ ეს წერილი გაზეთ „ივერიის" პირველ გვერდზე გამოაქვეყნა (1894 წ. №191). ძლიერი და მოულოდნელი მხარდაჭერა აღმოჩნდა ეს პატარა ბარათი ილიას, აკაკის, იაკობ გოგებაშვილის და სხვა ერის კაცთა ძალისხმევისა იმ ბრძოლაში, რასაც ისინი ეწეოდნენ ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის, ქართული ენის შერყეული პოზიციების გაძლიერებისათვის. ილიას მახვილმა ალღომ და გამჭრიახმა გონებამ მყისვე შეაფასა მოსალოდნელი ეფექტი და ამიტომაც იყო, რომ მიღებისთანავე გამოაქვეყნა მარჯორი უორდროპის ბარათი და პასუხიც დაუყოვნებლივ გაუგზავნა, სადაც იგი არა მარტო ნებას რთავდა თავის ნაწარმოებთა გამოქვეყნებისა, საქართველოში სამოგზაუროდაც იწვევდა მას.

ამ მოპატიჟების შემდეგ მალე, 1894 წლის 3 დეკემბერს მარჯორი თავის დედასთან და ძმასთან ერთად რამდენიმე თვით ეწვია საქართველოს. ბათუმის ნავსადგურიდან მოყოლებული ყველგან აუწერელი სითბოთი ეგებებოდა მათ ხალხი. მსგავსი ტრიუმფალური მსვლელობა მაშინდელ საქართველოში, ალბათ, აკაკი წერეთლის გარდა, თითქმის არავის რგებია წილად. ხალხი, რომელსაც ათეულობით წლების განმავლობაში არასრულყოფილების კომპლექსს უნერგავდნენ რუსეთის იმპერიის ჩინოვნიკები, შეძრა ამ მშვენიერი, მორცხვი და თავმდაბალი მანდილოსნის და მისი ძმის უანგარო სიყვარულმა. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ 57 წლის საქვეყნოდ აღიარებული მწერალი, საზოგადო მოღვაწე, ერის „უგვირგვინო მეფე" ზამთრის ცივ ღამეში მცხეთაში გაეგება მათ და თბილისამდე ჩამოაცილა. ამდენად დიდი მნიშვნელობის მოვლენად მიიჩნია ილიამ უორდროპების ვიზიტი საქართველოში. დღეს ჩვენ სწორედ ილიასეული პოზიციიდან უნდა შევაფასოთ მათი როლი და ადგილი ქართული ლიტერატურის, საერთოდ, ქართული კულტურის ისტორიაში.

სრულიად საქართველომ დაიტირა მარჯორი უორდროპი, როდესაც იგი ჯერაც ახალგაზრდა, 40 წლის ასაკში გარდაიცვალა ბუქარესტში, სადაც მისი ძმა მსახურობდა ბრიტანეთის კონსულის თანამდებობაზე. არ დარჩენილა არც ერთი ჟურნალი და გაზეთი, რაც კი მაშინ ჩვენში გამოდიოდა, რომ ნეკროლოგი არ მიეძღვნა მისი ხსოვნისადმი. „საქართველოს მოამბე" ასე ემშვიდობებოდა მარჯორის: „საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, როგორც შენს ძმა-მეგობარის ოლივერისათვის, ისე ჩვენს შორის, შენთვის, უცხო, მაგრამ ძვირფასს მეგობარ-ქართველთა შორის. ღვაწლი შენი დიდი იყო ჩვენს წინაშე და მადლობელი ქართველი ერიც ეცდება დაუვიწყარ ჰყოს შენი სახელი, სანამ საქართველო იარსებებს."

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ ამ ბოლო ფრაზას, სადაც საუბარია ერის მადლიერებაზე. მადლიერების გრძნობა ხომ ერთ-ერთი უმშვენიერესი ადამიანური გრძნობაა, რომელიც უპირისპირდება კაცობრიობის უდიდეს მანკიერებას — უმადურობას. ხოლო როდესაც მთელს ერს შეუძლია მადლიერების გრძნობის შენახვა-შენარჩუნება საუკუნეთა მანძილზე, ეს ამ ერის უდიდეს ჰუმანურობაზე მეტყველებს. მაგალითად, ამერიკელ ხალხს აქვს ასეთი გამორჩეული ეროვნული დღესასწაული — მადლიერების დღე და აღინიშნება ყოველწლიურად ნოემბრის მეოთხე ხუთშაბათს (წელს უწევს 25 ნოემბერს). პირველად კი იგი აღნიშნეს 1621 წ. მასაჩუსეტში ჩასულმა პურიტანელებმა, რომლებსაც დახმარების ხელი გაუწოდეს მეზობლად მცხოვრებმა ინდიელთა ტომებმა.

„საქართველოს მოამბის" ზემომოყვანილი „ნაანდერძევის" აღსასრულებლად მე გამოვთქვამდი ასეთ მოკრძალებულ სურვილს: საქართველოს იმ უანგარო და თავდადებული მეგობრების პატივსაცემად, ვინც ისევე გულით შეიყვარა და იღვაწა საქართველოსთვის, როგორც მარჯორი და ოლივერ უორდროპებმა, დავაწესოთ **„დღე სიყვარულისა და მადლიერებისა"** და აღვნიშნოთ იგი ყოველწლიურად მარჯორი უორდროპის დაბადების დღეს — 26 ნოემბერს!

ვთხოვ ჩვენს ახლადარჩეულ პარლამენტს, განიხილოს ეს წინადადება.

დაბოლოს, გუშინ, 26 ნოემბერს, პირველად საქართველოში აღინიშნა მარჯორი უორდროპის იუბილე — დაბადებიდან 130 წლისთავი. სამეცნიერო კონფერენცია და სტუდენტური კონცერტი გაიმართა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის პედაგოგიურ უნივერსიტეტში, რომლის რექტორი ბატონი ვახტანგ სართანია და ინგლისური ენის კათედრის გამგე ქალბატონი ლეილა თაქთაქიშვილი-ურუშაძე აქტიურად გამოეხმაურნენ ჩვენს წამოწყებას, რომ წელსაც ისევე უჩუმრად არ ჩაევლო ამ საიუბილეო თარიღს, როგორც ათი, ოცი თუ ოცდაათი წლის წინათ ჩაიარა.

**თეიმურაზ რუხაძე,**
საიუბილეო საინიციატივო ჯგუფის კოორდინატორი.

---

## ხსოვნა

### ივანე მანგალაძე

გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, პერსონალური მნიშვნელობის პენსიონერი **ივანე გიორგის ძე მანგალაძე**.

ივანე მანგალაძე დაიბადა 1915 წელს.

შრომითი საქმიანობა დაიწყო ქ. ტყიბულის ქვანახშირის შახტებში, სადაც განვლო გზა რიგითი ინჟინრის თანამდებობიდან შახტის მთავარ ინჟინრამდე. იგი პასუხსაგებ თანამდებობებზე მუშაობდა „ტყიბულნახშირის" ტრესტში, „საქნახშირის" კომბინატში, საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტში.

ივანე მანგალაძეს მიღებული ჰქონდა მთავრობის მრავალი ჯილდო.

ბატონი ივანე გამოირჩეოდა პრინციპულობით, ნათელი გონებით, მრავალმხრივი ტექნიკური ცოდნით და, რაც მთავარია, იყო უაღრესად პატიოსანი, წესიერებით აღსავსე, შრომისმოყვარე და გულმართალი ადამიანი.

ივანე მანგალაძის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მათ გულში, ვისაც მასთან უმუშავია.

**საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია;
სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება „საქნახშირი";
სააქციო საზოგადოება „ტყიბულნახშირი".**

---

გია, მარინა, ანა, ნინო იოსელიანები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა იოსელიანების ოჯახის უახლოესი ახლობელი და მეგობარი, სიკეთითა და სიყვარულით აღსავსე პიროვნება, ბატონი

ალიოშა ფარულავა

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს პარლამენტის აპარატის საკადრო საკითხთა დეპარტამენტი თანაუგრძნობს მალხაზ ირემაშვილს და დიანა ასათიანს დედის

ეთერ ბურჯანაძე-ირემაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

სააქციო საზოგადოება „თბილღვინო" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა „თბილღვინოს" მთავარი მეღვინე, მევენახეობისა და მეღვინეობის სახელმწიფო რეგულირების დეპარტამენტ „სამტრესტის" ღვაწლმოსილი მუშაკი

ბიძინა ერმალოს ძე კაკაბაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 28, 29 XI, 4 სთ. გამოსვენება 30 XI, 2 სთ-ზე. ზაჰესი, ავჭალის ქუჩა №50.

---

ლევან, პაატა, ზაალ გველესიანები ოჯახებით დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნელი (ნელიკო) ზორგასლიძე-სიხარულიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 27, 28, 29 XI, გამოსვენება 30 XI, 3 სთ. ჭავჭავაძის 11. III სადარბაზო, III სართული.

---

ოთარ ხაგიაშვილი, ნიკოლოზ ნეფედოვი, ბორის სარალიძე, შალვა კვინტრაძე, გურამ ფერაძე, თამაზ ჩხობაძე, მერაბ მღებრიშვილი, შოთა კირვალიძე, შოთა ჭალაგანიძე, გურამ გაბუნია, ჯიმი მიქელაძე, ლ. დოლმაზაშვილი ოჯახებით იუწყებიან მეგობრის

გრიგოლ ამბაკოს ძე ნიჟარაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა-98"

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ ზოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ზონდო მძინარაშვილი, დავით ონოფრიშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
რუსუდან ლორთქიფანიძე.
ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — PRESS-98@CAUCASUS.NET
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.